

საქართველოს იმპირიკა





ეურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს სამიმღლითეულ ასოციაციის ყოფელკარტალურ ორგანოს; ეურნალი გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ დაურიგდებათ საჯარო ბიბლიოთეკებში; ეურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება, როგორც ხელნაწერი, ასევე ელექტრონული ფორმით. აკრესუილი ტექსტი უნდა იყოს Sylfaen მოიფრით და გადმოიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე sakartvelosbiblioteka@gmail.com

აუტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს სამიმღლითეულ ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შენაარსზე

მთავარი რედაქტორი

ალექსანდრე ლორია

სარედაქციო კოლეგია:

გურამ თაყიაშვილი
გულნარა სტურია
მაია მიქაბერიძე
მირიან ხოსიტაშვილი
რუსულან ასათიანი

ყდის დიზაინი

გიგი გელაშვილი

რენიური რედაქტორები

მარინე შარაშენიძე
ლოლა სანაია

დაკადონება

მარიამ ნათაძე

საქართველოს ბიბლიოთეკა N3 (68) - 2017; გამოიცემა 2000 წლიდან
საავტორო უფლება: საქართველოს სამიმღლითეულ ასოციაცია.

ამ ეურნალში გამოვჭირებული იღია ჭიათურაძის და დურუ მეგრელის ფოტოები აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა "ივერიულიდან".



ილია ჭავჭავაძე - 180

„დიდი რამ არის, ვინც იცის კარგად წაყითხვა წასაკითხისა, ერთი ფრიდა სასიამოებო და ფრიდა სასარგებლო ხელოვნება ევ კარგად წაყითხვაა და ვისაც ამ ხელოვნების უნარი აქვს, შეუძლიან სთევას, რომ მეც მომზადლების მაღლი ღვთისაგანაო. კარგად წაყითხული სიტყვა ერთი ათად აძლიერებს აზრსაც, გრძნობასაც, რაღვანაც ურთხაც და მეორეხაც მეტისმეტად ამშვენიერებს და ამეობს, აცხოველებს აფერადებს. ამის გამო ხელოვნური, კარგი წაყითხვა არა მარტო სასურველია, სასარგებლოც არის, ნამეტნავად იქ, საცა წასაკითხს საქმე გრძნობასთან აქვს, საცა სიტყვამ გულამდე უნდა მიაღწიოს, რომ გული მოსძრას-მოსძრას, ჩვეულებრივ თვლემისაგან გამოაფხიზლოს“.

წმიდა ილია ჭავჭავაძე, 1890.
„იჯერია“, №37



ღურუ მეგრელი - 150

„ჩემი სამშობლოვ, რისთვის მიუვართარ,
რად მისქრის შენქენ ჩემი კონკრეტა.
მარადოს თვალწინ რისთვის მიღვახარ
და შენზე ფიქრი რად არ მშორდება?“

ლექსიდან „სამშობლოს“, 1897.

მიმართვა ბიბლიოთეკარებს

უკვებ ტრადიციად ჩამოყალიბდა, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ ყოველ ნომერში მოგითხოვთ საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ გაწეულ საქმიანობაზე, გაგიზიაროთ სიხარული მიღწეული წარმატებების გამო და გამცნოთ ჩვენი სამომავლო გეგმები. ამ მხრივ, არც ჟურნალის დღევანდელი ნომერია გამონაკლიისი. ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა იცის სოფლის ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაციის მასშტაბური პროექტის - „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკის“ შესახებ, რომელსაც საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, საქართველოს პარლამენტის ერთგნული ბიბლიოთეკა, კომპანია Beyond Access-თან და პრეზიდენტის ფონდთან ერთად ახორციელებს. ამ პროექტის ფარგლებში მხოლოდ 2017 წელს 33 ბიბლიოთეკა შეუერთდა ინტერნეტ სამყაროს. პროექტის მსვლელობისას ადმოჩნდა, რომ გარდა თანამედროვე ინტერნეტ მომსახურებისა, ბიბლიოთეკებს შეუძლიათ ადგილობრივი თემისთვის ბევრად მეტი სერვისის მიწოდება. ვფიქრობო რომ ბიბლიოთეკარს, სპეციალური გადამზადების შემდეგ, თავისუფლად შეუძლია შეითავსოს თემის მობილიზაციის ფუნქციაც. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად შეიმუშავა თემის მობილიზების პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ბიბლიოთეკარები გადამზადდებიან როგორც „თემის მობილიზაციონურები“. ამ მიზნით, 2017 წლის 5-7 ოქტომბერს, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ორგანიზებით, ქალაქ თელავში გაიმართა კონფერენცია თემაზე: „ბიბლიოთეკარი, როგორც თემის მობილიზატორი და თემის გამაძლიერებელი“. შეხვედრაში მონაწილეობდა 100-მდე ბიბლიოთეკარი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. პროექტის მიზანი სოციალური მიმართულებით თემის ბიბლიოთეკარის გადამზადებაა, რათა ის სოფლად გახდეს არა მხოლოდ ინფორმაციის გამცემი, არამედ



დაეხმაროს მოსახლეობას სოციალური პრობლემების მოგვარებაში, დააკავალიანოს და კონსულტაცია გაუწიოს მათ სოციალური დახმარების მიღების სურვილის შემთხვევაში.

თემის მობილიზება არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ადგილობრივი საჭიროებების მყისიერი შესწავლა, სოფლის მოსახლეობის დროული ინფორმირება უკვე არსებული რესურსების შესახებ და ამ რესურსებთან დაკავშირება. გარკვეულწილად, სოფელში თემის მობილიზატორის არსებობა ადგილებზე სოციალური მუშაკის გაზრდილ მოთხოვნასაც უპასუხებს, რაც განსაკუთრებით საჭიროა რეგიონებში. ადნიშნული პროექტის განხორციელებით გაიზრდება სოფლის ბიბლიოთეკარის ფუნქცია. ის სოციალური პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას.

ამდენად, ჩვენი ამოცანა - გავაფართოთ სოფლის ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკარის ფუნქციები, თანდათანობით ხორციელდება.

რუსუდან ასათიანი
საქართველოს საბიბლიოთეკო
ასოციაციის პრეზიდენტი

საქართველოს ბიბლიოთეკა №3 (68) - 2017 შენახსი

რუსულან ასათიანი - მიმართვა ბიბლიოთეკარებს.....1

წიგნის ისტორია

ნინო ხვედელიძე - ალბრეხტ პფისტერი და მისი გამოცემები3

გურამ თაყნიაშვილი - როგორ ვრცელდებოდა ქართული წიგნი სოფლად6

ბიბლიოგრაფიული ძიებანი

მაია მიქაბერიძე - ილია ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები: მოკლე მიმოხილვა11

დარეჯან თეთრაშვილი, გიორგი გაბუნია - შენიშვნა გ. ი. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის

ბიბლიოგრაფიის“ შემდგომი შევსება-სრულყოფისათვის.....15

ანა ჯაჯანიძე - გაყვითლებულ ფურცელთა ნაამბობი15

გურამ თაყნიაშვილი - პატარა ქართველების საყვარელი ლექსი.....19

IREX - ის ინფორმაცია

ფილოლოგიური ძიებანი

რუსულან წაქაძე - ილია ჭავჭავაძე ქართული ენის შესახებ.....21

ლატაგრა ბუკიძე - თელი სახოკია და იაკობ გოგებაშვილი.....23

კორესპონდენციები

მაია მუხაშავრია - გერმანული სოფელი თეთრიწყაროს რაიონში30

მარინე სამადაშვილი - გამოუთქმელი შუამაგალი31

ბიბლიოთეკის ურთიერთობა სახოგადოებასთან.....32

დოდო გოგელია - ქ. ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანების მონაცემები.....33

ნინო ფარცვანია - საინტერესო თემატური საღამო35

მანანა ზარიძე - აქცია - წიგნის პოპულარიზაციის საინტერესო მეთოდი36

ნაზი ლომაძე - ქალბატონი თანამედროვეობის განცდით37

ლილი გორდელაძე-მიმინოშვილი - დაგვიანებული ინტერვიუ ანუ წიგნის

განხილვა „გათარზისის“ ბიბლიოთეკაში.....38

ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკის ორი პროექტი39

ჩვენ გვიყვარს ჩვენი ქალაქი39

ქეთევან ნიკურაძე - ტრადიციული ლონისძიება.....40

მედეა კალანდარიშვილი - ახალგაზრდების სიყვარულით43

ნოდარ დუმბაძის ხსოვნას მიემდგნა.....44

რეცეზიები

ალექსანდრე ლორია - ქართველ ბაგშვებში მშობლიური ენის დაუყოლების მეცნიერებლი ძიება45

გურამ თაყნიაშვილი - ლიტერატურულ ლაბირინტებში მოგზაურის ნაფიქრალი46

გურამ თაყნიაშვილი - ბიბლიოთეკარის ნაშრომი ბიბლიოთეკარებისთვის.....48

კოლეგები ულოცავენ

დაუდალაგი მოდვაწე და დვაწლმოსილი ხელმძღვანელი49

საბიბლიოთეკო დარგის ენერგიული ორგანიზატორი51

მენეჯერი ადამიანური თვისებებით.....52

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრება: მოვლენები, ფაქტები.....54

ნიგნის ისტორია

ნინო ხველეიძე

ალბრეხტ პფისტერი და მისი გამოცემები


6იგნეჭდვის ხელოვნებას, მაინცის შემდეგ, ეზიარა ქალაქი ბამბერგი. მკვლევართა მოსაზრებით, ეპისკოპოს გეორგ I ფონ შაუმბურგის მოწვევით, სწორად ბამბერგში ჩავიდა იოჰან გუტენბერგი იოჰან ფუსტიან სასამართლო პროცესის წაგების შემდეგ. გუტენბერგმა ბამბერგშივე გამოსცა 36 სტრიქონიანი ბიბლია. ამის შესახებ არ მოიპოვება არანაირი დოკუმენტური მასალა, თუმცა შრიფტი, რომლითაც ეს ბიბლია დაიბეჭდა, ნამდვილად ბამბერგში აღმოჩნდა. აღნიშნული შრიფტი ინახებოდა ალბრეხტ პფისტერთან (დაახლ. 1410-1466 წწ.). იგი ეპისკოპოს გეორგ I-ის მდივანი გახლდათ. პფისტერის შესახებ პირველი ცნობები გვხვდება 1448 წლიდან და ეჭვგარეშეა, რომ იგი გუტენბერგის მოსწავლე იყო. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სწორედ მან დაბეჭდა 36 ბწყარიანი ბიბლია, თუმცა ბეჭდვის ხარისხით იგი გაცილებით უკეთესია ვიღრე პფისტერის გამოცემები.

ალბერტ პფისტერმა პირველი წიგნი 1461 წელს გამოსცა, 1466 წლის 13 აპრილს კი უკვე აღარ იყო ცოცხალი. ე. ი. თიოქმის ექვსი წლის განმავლობაში მან დამოუკიდებლად დაბეჭდა ცხრა ინკუნაბულა, რომელთაგან მხოლოდ ორს დაარქვა თავისი სახელი.

იმ დროისათვის იბეჭდებოდა მხოლოდ ქსილოგრაფიული წიგნები, რომელთა ტექსტი და გამოსახულება ხეზე გრავირების მეთოდით იყო დაბეჭდილი. პფისტერმა კი წარმატებულად გადაჭრა ამოცანა და ქსილოგრაფიული წესით დაბეჭდილი ილუსტრაცია შეუთავსა მოძრავი შრიფტით ანაწყობ ტექსტს.

პფისტერის წიგნები დიდი მოცულობით არ გამოირჩეოდნენ. ისინი

გათვალისწინებული იყო მოსახლეობის ფართო მასებისათვის და შესაბამისად, გამომცემელი მათ ბეჭდავდა არა ლათინურ, არამედ გერმანულ ენაზე. არაკვალიფიციურ მკითხველს ესაჭიროებოდა წიგნის განმარტებაც, რასაც პფისტერმა მიაღწია ილუსტრაციების გამოყენებით. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. თვით „ილუსტრაცია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს განმარტებას.




პფისტერის მიწათმოქმედი ანუ ქვრივის დიალოგი სიკვდილთან. 1461 წ.

პირველი ილუსტრირებული წიგნი – „ბოპემიელი მიწათმოქმედი ანუ ქვრივის დიალოგი სიკვდილთან“ პფისტერმა გამოსცა 1461 წლის 14 თებერვალს. ხეხი მწერლის იოჰან ფონ ტეპლეს (დაახლ. 1350 - 1414 წწ.) ეს ნაწარმოები გვიან შუასაუკუნეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მასში მოთხოვნილი იყო მიწათმოქმედი გლეხის ისტორია, რომელსაც უსაყვარლესი ახალგაზრდა მეუდღე გარდაეცვალა. უსამართლობით აღშეფოთებული გლეხი უშიშრად ეკამათება სიკვდილს. თხზულებაში ნაჩვენებია ადამიანის პიროვნული თვისებების განუსაზღვრელი შესაძლებლობები, რაც დამახასიათებელი იყო იოჰან ფონ ტეპლეს ადრეული ნაშრომები-

სათვის. „ბოკემიელი მიწათმოქმედი“
ოცდაოთხვერდიანი მომცრო ზომის
წიგნია. ტექსტი მხოლოდ შავი ფერის
სადებავითაა ნაბეჭდი. აბზაცის და-
საწყისი ინიციალები და რუბრიკები
ხელითაა შესრულებული. ამ წიგნის
1461 წლის გამოცემის მხოლოდ ერთი
და ისიც არასრულყოფილი ეგზემ-
პლარია შემორჩენილი, რომელშიც
ილუსტრაციები ვიღაცას ამოუხევია.
იგი გერმანიაშია დაცული. წიგნი
დიდი მოთხოვნით სარგებლობდა, რის
გამოც პფისტერმა 1463 წელს იგი
მეორედ დაბეჭდა. ცნობილია ამ გა-
მოცემის ილუსტრაციები, რომლებიც
შესრულებულია ხეზე გრავირების
მეთოდით. ისინი დაბეჭდილია ტექს-
ტის ანაწყობისაგან დამოუკიდებლად,
თუმცა კომპოზიციურად ტექსტოანაა
დაკავშირებული. მათი ზომები შეეს-
აბამება ტექსტისას და 220x140 მმ-ია.

թրացալցոցշնչութեան յամկոնիւզոյեծ
Մյեսըլլացեցուլու մեռլուց յրտո քան-
ջուրշնչու եանու. մեսեցուլգոնքյուրութեան
գրացոյշրյեծու մյեմնա օմ եանաց չյեր
կութեաց ար օւրունեն. յե գրացոյշրյեծու եյ-
լուու մարտեացուսացու ոյտ գառցալուս-
վոնցեցուլու. մարտլաց, պայլա մյեմուրիյ-
եուլ յցնեմձլարմու օլուսեթրացոյեծու
ելուուաա ճայցյերուլու. ևոյցուուու օգ-
մուսակյուլյեծու ձյրեանուցուրեցուլու
ճա մեսացարմա ոցո յանցադագրյուլու
իտնիես եանու թարմացցուցունա. յրտ
մյեմուեցութեան թաէթեյ ճածրմանցեցուլու
ելու մյեսացլացու օարացեծու նոհածու
ճա թյրայէցու շպարու. եեցա գրացոյշրանեա-
- ևոյցուուու որո ոյցյուրա: յրտո
թրացուուցուլու օւրու, մյուրյ յո մժ-
ցուլցուուա մյօսարացեցուլու. գրացոյշրյ-
եծու մյցյուրու քանջրասթյուլու յցըրյեծու
օլյեցերու. ևոյցուուու իցյուլյերու
յցալ-յցուու յցըրմու օամուսակացնեն.

წიგნის ილუსტრირების ტექნიკა-
ში წინ გადადგმული მნიშვნელოვანი
ნაბიჯი იყო პფისტერის მიერ 1461
წელს გამოცემული მეორე წიგნი -
„ძვირფასი ქვები“. მისი ავტორი გერ-
მანულენვანი შვეიცარიიდან მწერალი
ულრიხ ბონერია (დაბ. 1280-დაბ. 1350
წწ.). წიგნში თავმოყრილია ასი ზნეო-
ბრივი იგავი, რომელიც შეასაუკუნეე-
ბის მკითხველს თავისი დემოკრატი-
ულობითა და მშვიდობისმოყვარეობით



ძვირფასი ქვები. 1461 წ.

აოცებდა. „ძვირფასი ქვები“ პისტერ-მა ორჯერ გამოსცა. პირველი დათარი-დებულია 1461 წლის 14 თებერვლით, მეორე უთარიდოა და ითვლება, რომ იგი გამოცემული უნდა იყოს 1463-1464 წლების შუალედში. 88 ფურცელზე გა-ფანტული მომცრო - 80x110 მმ. ზომის 103 ილუსტრაცია ტექსტშია განთავსე-ბული. საგრავიურო დაფის პორიზონ-ტალური ზომა ანაკრეფის ბრკარების ზომის ტოლია. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ანაკრეფი და საგრავიურო დაფა ერთ ფორმას არ წარმოადგენდა. იმ დროისათვის ტექსტი და ილუსტრა-ცია ცალ-ცალკე იძეჭდებოდა: პირველ „გაგორებაზე“ ბეჭდნენ ტექსტს და ფურცელზე გრავიურისათვის ტოვებდნენ ადგილს, რომელზედაც მეორე გაგ-ორებისას გამოისახებოდა ილუსტრა-ცია.



ამავე ტექნიკოთაა დაბეჭდილი „ოთხი ისტორია“, რომელმაც დღის სინათლე იხილა 1462 წელს. სამოცდვერდიანი წიგნი მკითხველს აცნობს ბიბლი-

ურ პერსონაჟთა ცხოვრებას. გამოცემა შემკულია 61 ილუსტრაციით, რომელთაგან ხუთი გრავიურა ორჯერ მეორდება, სამი კი – სამჯერ. ე. ი. სულ გამოყენებულია 50 საგრავიურო დაფა. გათვალისწინებული იყო ამ გრავიურების შემდგომი გაფერადება და შემორჩენილ ეგზემპლარებში ეს



ბიბლიის დარიბთათვის. 1462 წ.

სამუშაო უზადოდაა შესრულებული.

1462 წლის ზაფხულში ალბრეხტ პფისტერმა გერმანულ ენაზე გამოსცა „ბიბლია დარიბთათვის“ - ბიბლიური ისტორიის უკიდურესად მოკლედ მოთხოვობილი თხზულება, რომელიც, ასევე, გათვალისწინებული იყო, მკითხველთა ფართო მასებისათვის. იოჰან გუტენბერგის 42 სტრიქონიან ბიბლიაში 641 ფურცელია, ზემოთ აღნიშნული კი 18 ფურცელზეა დატეული. ეს მცირე მოცულობის გამოცემა 136 გრავიურითაა გაჯერებული. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რის გამოც, იმავე 1462 წელს „ბიბლია დარიბთათვის“ პფისტერმა დათინურ ენაზეც გამოსცა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ კი დაიბეჭდა გერმანულენვანი ბიბლიის მეორე გამოცემა. მისი მოცელობა გაზრდილი იყო 22 ფურცლამდე და გრავიურების რაოდენობა – 176 ერთეულამდე. ამასთანავე,

წიგნი გაფორმებული იყო მრავალფორმატიანი ილუსტრაციებით. ამ შემთხვევაში გრავიურები აქტიურადაა შეჭრილი ტექსტში. ერთ სიბრტყეზე 5-6 ილუსტრაციის განთავსება საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენდა. იმ დროისათვის ამის შესაძლებლობა არავის პეტრი, ამიტომ სტამბამ ბეჭდური პროდუქციის მისადებად სხვა გზა აირჩია. პფისტერმა, პირველად წიგნის ბეჭდვის ისტორიაში, ერთ ფორმაში გააერთიანა ილუსტრაციის კლიშე და ტექსტის ანაწყობი. ამისათვის, საჭირო გახდა დაემზადებინათ ერთი სიმაღლის საილუსტრაციო დაფა და ტექსტის ანაწყობი. ასეთი კომბინირებული ფორმის საშუალებით კი შესაძლებელი იყო ბეჭდვა ერთი გაგორებით.

ადრე ფიქრობდნენ, რომ ალბრეხტ პფისტერი დამოუკიდებლად ამზადებდა საგრავიურო დაფებს. წიგნის თანამედროვე მკლევართა აზრით, თვითოველ დაფაზე მუშაობდა ორი-სამი გრავიორი, რომლებიც ნიურნბერგის სკოლასთან იყვნენ დაკავშირებულნი. ზემო ფრანკონიაში მდებარე ბამბერგი ნიურნბერგთან ახლოს მდებარეობდა, სადაც ფუნქციონირებდა იმ ხანად საუკეთესო სკოლა.

პოლიგრაფიის ისტორიაში ალბრეხტ პფისტერი მოიხსენიება პირველი ილუსტრირებული და პირველი გერმანულენვანი წიგნის მძებლავად. პფისტერი დიდი დამსახურება იყო ბამბერგში გამოცემული „ბიბლია დარიბთათვის“. ეს ის წიგნია, რომელშიც პირველად დაიბეჭდა ქსილოგრაფიული ტექნიკით შესრულებული საკმაოდ მაღალი ხარისხის გრავიურები. ისინი მკვერად განსხვავდებოდნენ მანამდე არსებული პრიმიტიული, კონტურებიანი ილუსტრაციებისაგან. ალბრეხტ პფისტერის მიგნება მნიშვნელოვანი ეტაპი იყო წიგნის ბეჭდვის ხელოვნებაში.

როგორ ვრცელდებოდა ქართული წიგნი სოფლად

ცაქართველოში ბატონების გაუქმების შემდეგ ქართული ინტელიგენციის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი აქტიურად იდგწოდა იმისათვის, რომ შექმნილიყო პირობები, თუ როგორ უნდა განთავისუფლებულიყო გლეხობა და საერთოდ, მოსახლეობის ქვედა ფენები გონებრივი სიბრძლისა და უმეცრებისაგან. ასეთი მისის შესრულებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართულ წიგნს, ქართულ პერიოდ-

საზოგადოების დაარსების პერიოდისათვის, მართალია, ქართული ენა იყო გამეცემული, მაგრამ წიგნები ქართულ ენაზე ნაკლებად იძებული იყო. ამ დროისათვის მოდვაწე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: პ. უშიკაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი, ა. სარაჯიშვილი, თ. იმედაშვილი, ი. როსტომაშვილი და ქართველი მწერლები დღის წესრიგში აყენებდნენ ე. წ. „სახალხო წიგნების“ გამოცემისა და გავრცელების



ულ გამოცემებს; სწორედ ქართულ წიგნს უნდა გაედვიძებინა ხალხში ეროვნულ-აზრიობული გრძნობები. 1879 წელს დაარსებულმა ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ დარაზმა და შემოიკრიბა მოწინავე ინტელექტუალური ძალები და ნახევარი საუკუნის განმავლობაში უანგარო სამსახური გასწია საქართველოში ცოდნა-განათლების გავრცელებისა და ეროვნული იდეების გამოღვიძებისათვის. ქ.შ.წ.კ.გ.

საკითხს. სახალხო-წიგნების სერიით გამოცემული წიგნები იწერებოდა მარტივი ენით, მარტივი იყო მათი შინაარსიც. 1890-იან წლებში თბილისში დაარსდა „წიგნის გამომცემლი ქართველთა ამხანაგობა“. ამხანაგობას ჰყავდა ე. წ. აგენტურა სოხუმში, ბათუმში, ფოთში, ოზურგეთში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში. საქართველოს გარეთ ქართული წიგნების გამავრცელებლები ჰყავდა განჯაში, ყარსში, კავკასში, ბაქოში და

სხვაგან.

როგორც ცნობილია მე-19 საუკუნის ბოლომდე ქართული წიგნები ოქმატურად იქნებოდებოდა „ბრძანებითა მეფისა და კურთხევითა პატრიარქისა“, ან „ბრძანებითა იმპერატორისა და კურთხევითა სინოდისა“. თუ ადრე ბეჭდური პროცესის დიდ ნაწილს საეკლესიო-რელიგიური შინაარსის წიგნები შეადგენდა, ახლა უკვე მკვეთრად იმატა მხატვრული ლიტერატურის, ბეჭდურისტიკის, საბავშვო ლიტერატურის წილმაც. ამავე დროს იზრდებოდა სასწავლო-პედაგოგიური და სამეცნიერო-პოპულარული გამოცემების რაოდენობაც. მათ გვერდით უპირატეს ადგილს იკავებს „სახალხო-წიგნების“ სერიით გამოცემული ლიტატატურაც. ამრიგად, სულ უფრო თვალსაჩინო ხდება საგამომცემლო პოლიკის დემოკრატიზაცია.

სოფლად წიგნების გავრცელებას ემსახურებოდა წიგნების გამავრცელებელი საზოგადოებები ბათუმში, ქუთაისში, გორში და სხვა ქალაქებში, იყვნენ წიგნის დამტარებლები, წიგნით მოვაჭრენი. ამ საქმეში მაინც წამყვან ადგილს იკავებდა ქ.შ.წ.კ. საზოგადოება, რომელსაც ილია ჭავჭავაძე „უწოდებდა „ეროვნულ თაგმესაფარს“. ი. გოგებაშვილი“ 1895 წელს მიმართავდა საზოგადოებას: „უნდა ამოირჩეს რამდენიმე განათლებული ქართველი და დაევალოს სკოლების მონახულება, ახალი სკოლების გახსნა და წიგნების გავრცელება“. იმავე წელს გაზირი „ივერია“ წერდა: „ ქართული წიგნების მკითხველი საზოგადოება დღით-იდე მატულობს, ქართველებს არა გვაქვს გამორკვეული და შემუშავებული კრიტერიუმები ლიტერატურული თხზულების და-საუფლებლად, ჩვენ გვაქვს რამდენიმე სამკითხველო, მათზე გვესმის, თუ ვინ და რა შესწირა, მეტი არაფერი, არ ვიციო, ვინ კითხულობს წიგნებს და რა წიგნებს კითხულობენ, გლეხებაცი ქალაქში არ დადის, უნდა გვყავდეს წიგნების დამტარებლები, ეს უნდა გადაწყვიტოს ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებამ. (ივერია, 1895, №40). იგივე გაზირი მოუწოდებდა ქართველ მწერლებს, ინტელიგენციას შეედგინა ისეთი შინაარსის სახალხო წიგნები, რომელთა შინაარსი ადგილად გასაგები და, ამავე დროს, ხელმისაწვდომი იქნებოდა სოფლის მოსახლეობისათვის.

ცნობილი გამომცემელი, მწიგნობარი და სოფლად წიგნების გამავრცელებელი ივანე როსტომაშვილი იგივე „ივერიაში“ გულისტ-

კივილით წერდა: „ჩვენში უმეტესი ნაწილი ხალხისა მოკლებულია სკოლურ სწავლას, ვინც სწავლობს, სწავლობს მხოლოდ მცირე ხანს, სოფელი სწორედ ჩვენთვის სტრიქონია, რამდენადაც გლეხებაცი გულდახაგრულია ქალაქში, იმდენად ამაყი და წელში გამართულია სოფლად. აქ არავინ არ ჰყავს მოქიშპე“ (ივერია, 1891, №49); „მოხევეები ძალიან ხალისიანები არიან და ეტანებიან წიგნებს, სულ რამდენიმე ცალი წიგნი გვაქვს, საჭიროა ქართული წიგნები მეტი რაოდენობით გამოაგზავნონ“ - წერდა ეს ხდებოდან მასწავლებელი გ. ნათაძე (ივერია, 1895 - №77);

ეხება, რა, სასკოლო განათლების საკითხებს, ივანე როსტომაშვილი აღნიშნავს,




ივანე როსტომაშვილი

რომ ჩვენი სკოლების დიდი ნაწილი ისეა მოწყობილი, რომ სრულიად ვერ აკმაყოფილებს მრავალი ჩვენგანის მოთხოვნებს. ამიტომ თვითონ უნდა ვეცადოთ თავისი თვის განვითარებას. „ამის საშუალებაა ხეირიანი მწიგნობრობა, მწიგნობრობა შველის ადამიანს, უფრო ადვილად და ჩქარა მიაღწიოს თავის საუკეთესო განზრახვას; მწიგნობრობა ქმნის და განამტკიცებს ჩვენს ხასიათს, აღორძინებს ადამიანში დამიურნის და ცხადად გვაგებინებს მას“ (ივერია, 1904- №192).

ქართული პერიოდული გამოცემები : „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მოგზაური“, „განათლება“, „დროება“ და სხვანი გულისტკივილით წერდნენ წიგნის კითხვისა და განათლებისადმი ქართველების გულგრილი დამოკიდებულების შესახებ: „ჩვენ ვცხოვრობთ უგეგმოდ, უწესოდ, უიდეალოდ, ვცხოვრობთ წუთით, არ ვართ მიჩვეული ქართული წიგნების კითხვას, არ ვცდილობთ გავიხადოთ ქართული წიგნი ჩვენი ცხოვრებისა და ბუნების უმთავრეს მოთხოვნილებად“, - წერდა ი. როსტომაშვილი (ივერია, 1904 - №192).

სოფლად ქართული წიგნების გავრცელებას ხელს უშლიდა ძირითადად ორი ფაქტორი: სოფლის მოსახლეობის აბსოლიტურად დიდი ნაწილი იყო წერა-კითხვის უცოდინარი, ხოლო ე.წ. „სახალხო-წიგნები“ შედარებით ძვირი დირდა. ამის შესახებ ს.



ზაქარია ჭიჭინაძე

მესხი წერდა: „40-50-იან წლებში გამოცემული წიგნების უმეტესობა განკუთვნილი იყო ფართო მკითხველებისათვის, მაგრამ „შაურიანი ლიტერატურის“ გამოცემაც საჭირო იყო. ეს წიგნები თავისი შინაარსით ახლოს უნდა ყოფილიყო მშრომელი ხალხის სულიერ მოთხოვნილებასთან“ (დროება, 1871. - №21). 1890 წლებისათვის საქართველოს სოფლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ისეთი წიგნები, რომლებიც იყო „ქალ-ვაჟი“, „ბარამიანი“, „ბეჟანიანი“, „ალექსიანი“, „დირიშიანი“, „არსენას ლექსი“ და სხვები. ილია ჭავჭავაძე გულმხერვალედ ეხმაურებოდა ქართული იაფასიანი, მაგრამ შინაარსიანი წიგნების გამოცემასს და სოფლად გავრცელებას. 1873 წელს მან რ. ერისთავთან ერთად დაბეჭდა „გლეხური

სიმღერები, ლექსები და ანდაზები“.

ქართულ სოფლებში და განსაკუთრებით აჭარის მადალმოიანეთში სოფლებში ქართული წიგნის დაუცხორომელი გამავრცელებელი იყო ზაქარია ჭიჭინაძე. მისი შემოქმედების მკაფიოვარები ერთხმად აღიარებული, რომ „ზაქარია ჭიჭინაძე“ მუდამ სუნთქავდა ქართული წიგნების მადაზიების პაერით“. 1903 წელს ზ. ჭიჭინაძემ გამოსცა ნაშრომი „ქართული სამეცნიერო წიგნები“. ზ. ჭიჭინაძეს სოლომონ დოდაშვილი მიაჩნდა ქართული საერთო ლიტერატურის გამოცემებისა და გავრცელების ინიციატორად. მთელ იმდროინდელი საქართველო მოფენილი იყო ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული წიგნებით, თვითონ ზ. ჭიჭინაძე იყო 200-ზე მეტი ქართული წიგნის ავტორი, შემდგენელი და გამომცემელი. მათი უმეტესობა გავრცელებული იყო ქართულ სოფლებში. 1889 წელს ზ. ჭიჭინაძემ დაბეჭდა იაფებასიანი წიგნები და ეწვია აჭარის სოფლებს. 1898 წელს ორჯერ ეწვია აჭარას.

ქართული წიგნის საშუალებით ზ. ჭიჭინაძემ გამოაღია ეროვნული გრძნობა აჭარაში, „მიჟეონდა ქართული წიგნები და კეთილი გული“. როგორც ამის შესახებ წერდნენ აჭარელი ინტელიგენციის წარმომადგენლები. მე-20 საუკუნის დასწყისისათვის მოწინავე ქართველი საზოგადოება უპირველეს და უკეთიდშობილებეს ამოცანად მიიჩნევდა ქართული წიგნის შეტანას სოფლებში. „საჭიროა სოფელი განთავისუფლდეს ტრადიციის საშინელი ბრჭყალებისაგან, საჭიროა, იმანაც იგემოს ახალი, განათლებული ცხოვრება, საჭიროა იმანაც ადამიანივით იცხოვროს, სინათლეში გამოვიდეს თავისი ბნელი სოროდან“ (ივერია, 1903 - №45). იაფებასიან სახალხო წიგნებს ელოდებოდნენ სოფლად, მივარდნილ ადგილებში. „ივერიის“ კორესპონდენტი ქიზიუდან წერდნენ, რომ „ქართველების 90%-ს თავისით აქვს შესწავლილი წერა-კითხვა, ასეთი ქალ-ვაჟი დღეს სანთლით დაეძებენ ქართულ წიგნებს სოფლებში. ჭკუაგონების საზრდოობანს დღეს ვერსად ვერ იპოვით მთელს ქიზიუდში, საჭიროა ქიზიუის დიდ სოფლებში დაარსდეს ბიბლიოთეკები“ (ივერია, 1903. - №46); ქართული სოფლების სულიერ აღორძინებას ნატრობდა ვაჟა-ფშაველა. 1891 წელს იგი წერდა: „უკელაზე მეტად საყურადღებო ჩვენში სოფელია, ჩვენი ძალა აქ არის დამარცული; დვთით თითო-თროლა კაცი ჩანდნენ

სოფელში მადლიზა მოწადინებული („ივერია“, 1891. - №161-162). სოფლად წიგნების გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების იდეა თბილისა და ქუთაისში გაჩნდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში. 1896 წელს „ცნობის ფურცელი“ წერდა: „საჭიროა დაარსდეს ისეთი საზოგადოება, რომელიც გამოსცემს მეცნიერულ-პოპულარულ წიგნებს, რომელიც შემოსავალს მისცემს პატრონს და ფრიად სასარგებლო იქნება თანამედროვე საზოგადოებრივი აზროვნებისათვის“ (ცნობის ფურცელი, 1896).

- № 52-53). იმავე 1896 წელს თბილისში დაარსდა წიგნების გამომცემელი საზოგადოება „ახალი მკითხველის“ სახელწოდებით. ჩვენმა ინტელიგენციამ - წერდა გაზეთი, - დიდი ხანია შეიგნო სახალხო წიგნების უქონლობა; ხალხს ესაჭიროება ისეთი გამოცემები, რომლებიც უფასოდ დაურიგდებათ მივარდნილ-მიყრუებულ ადგილებში. მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი სამეცნიერო-პოპულარული გამოცემების მიმართ. ასეთ გამოცემებს ხშირად წინ ეღობებოდა მეფის ცენტურა, მათი მითითებით ბევრ შემთხვევაში სახალხო წიგნების მოქლი ტირაჟი ნადგურდებოდა.

ქართული სახალხო წიგნებისადმი ინტერესი დღითიდებე იზრდებოდა საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში. 1902 წელს ამ საკითხს ეხმიანებოდა „ქუთაისის წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“ (კვალი, 1902. - №28). ბათუმში ქართული წიგნების გამოცემისა და გავრცელების შესახებ სისტემატურად იტყობინებოდა ზაქარია ჭიჭინაძე. როგორც იგი აღნიშნავდა, ქალაქში და აჭარის სოფლებში გაიზარდა მოთხოვნილება ქართული იაფებისათვის სახალხო წიგნების მიმართ. ბათუმში გაიხსნა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოების სკოლა, ბესარიონ და გერონტი კალანდაძესთან ბათუმში გაიხსნა ქართული წიგნების პავილიონი, შეკრიბეს ყველა ქართული წიგნი ჩვენი წარჩინებული მწერლებისა. კალანდაძეების გარდაცვალების შემდეგ ბათუმში გადმოვიდა გამოცემელი კოწია თავართქილაძე, გახსნა მაღაზია და სტამბა; ბოლოს ეს სტამბაც თბილისში გადმოიტანეს: „დღეს ბათუმში ვეღარ ხახავთ ხეირიან ქართულ წიგნს“ - წერდა გულისტკივილით ზ. ჭიჭინაძე (ივერია, 1902. - №174).

ქუთაისში წიგნების გამოცემელთა ამხანაგობის აზრით წიგნის სოფლად მიტანი-

საოვის აუცილებელია გვყავდეს წიგნების დამტარებლები. წიგნებს, ძირითადად, ავრცელებდნენ მანდილოსნები და არა-ვითარ ანაზღაურებას არ თხოულობდნენ (ივერია, 1902 - №142); ამავე საზოგადოების აზრით, წიგნების გამომცემელთა ამხანაგობა ვერ ბეჭდავდა ხალხისათვის ხელმისაწვდომ წიგნებს, ლექსებისა და ზღაპრების მეტი არა გამოუცდია რა; წიგნის მაღაზიის პატრონი იყო ვასილ ბეჭანეიშვილი.

სოფლად ქართული წიგნების გავრცელების საქმეს ფასდაუდებელი ამაგი დასდო პეტრე უშიკაშვილმა. ხალხური „არსენას ლექსის“ ვარიანტები სწორედ მან შექრიბა და ბოლო სახით გამოსცა. როგორც მაშინდელ საზოგადოებაში ამბობდნენ, იაკობ გოგებაშვილმა ხალხს შეასწავლა დედაენა, ხოლო „არსენას ლექსმა“ ხალხს კითხვა ასწავლაო. ქართული წიგნი ვრცელდებოდა წიგნის ბაზრობის საშუალებითაც, იყვნენ მოსიარულე წიგნის მოვაჭრენი. პირველი წიგნის მადაზია თბილისში გაიხსნა 1846 წელს. თბილისში წიგნის ვაჭრობის პიონერებად ითვლებოდნენ მმები ენფენჯიანები. სოფლად წიგნების გავრცელების შესახებ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს სისტემატურად ბეჭდავდნენ გაზეობი : „სასოფლო გაზეთი“, „შრომა“, „მწყემსი“ და სხვები. 1905 წლის რევოლუციამ უარყოფითი გავლენა იქონია სახალხო წიგნების გამოცემა-გავრცელების საქმეზე. იმატა რუსულგნოვანმა გამოცემებმა, ქართველების დიდმა ნაწილმა რუსულად კითხვა არ იცოდა.

წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი ამხანაგობები სისტემატურად აქვეყნებდნენ ყოველწლიურ ანგარიშებს, 1892 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებას თავისი წიგნის გამავრცელებლები 20 რაიონში ჰყავდა.

1880-იან წლებში პეტრე უშიკაშვილი გულისტკივილით აუწყებდა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებას, რომ ქართული წიგნი ცოტა იძებებოდა და ძვირად ფასობდა. „ამ დროისათვის მდაბიო თვალს ახელდა, მეცნიერებისა და წინსვლის წადილი მაღალა იწევდა, მათოვის წიგნები იყო საჭირო“ (ივერია, 1879. - №10). როგორც გაზეთი „ივერია“ იტყობინებოდა, ხალხი უფრო მეტად ისეთ წიგნებს ყიდულობს, რომლებიც 1 კაპიკზე მეტი არ დირს; სოფლად ხალხი წიგნებს დამტარებლისგან უფრო ყიდულობდა, ვიდრე წიგნების მაღაზიებიდან. „წიგნები კარზე მოპქონდათ, გლეხი არ დაეძებს მის

შინაარს, ხშირად წელიწადი ისე გაივლის, რომ ერთი სახალხო წიგნიც კი არ იძეჭდება, რაც იძეჭდება, ისიც საწყობში გვიწყვია და გვილპება“ (ივერია, 1902. - №20).

„ივერია“ სიამაყით ადნიშნავდა, რომ „წერა-კიოთხვის მცოდნები ჩვენში მხოლოდ გურიაშია შესამჩნევად გავრცელებული, მერე ქვემო იმერეთსა და სამეგრელოში.



პეტრე უმიქაშვილი

ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენში ნაკლებად იცემა იაფასიანი წიგნები, არ იწერენ უურნალ-გაზეთებს, მწერლობაც სუსტია, ხალხს არა აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში კიოთხვის სურვილი. ქართული წიგნი სოფლად კი არა, ქალაქშიც მნელად საშოვარია“ (ივერია, 1903. - №127).

დუტუ მეგრელი 1903 წელს მოუწოდებდა კარგად ცნობილ ქართველ მეწიგნებს შ. ნიკოლაძეს, გ. ბეჭანიშვილს და სპ. ჭელიძეს, რომ დაეარსებინათ გამომცემელი ამხანაგობა, სადაც გაერთიანდებოდა ყველა ადრე დაარსებული წიგნის გამომცემელი ამხანაგობები. „სოფლად და ქალაქიდ, - წერდა იგი. - „უდელში შექმული ქართველისათვის საჭირო გახდა გამოდინება და შექმნა სატენიკო-სამეურნეო ცოდნისა, ამისათვის

ეს ეხება ისეთ უცხო იარაღს, რომელსაც წიგნი ჰქვია; დაეძებს მას მშობლიურ ენაზე; უცხო ენა მან არ იცის; ქართველი იმიტომ კი არ ეძებს ქართულ წიგნს, რომ ქართველია, არამედ იმიტომ, რომ მან უცხო ენა არ იცის“ (ივერია, 1903. - №128). სახალხო წიგნებს, იაფასიან, მაგრამ შინაარსიან გამოცემებს შეეძლოთ ხალხის გონების გამოფხილება, მათი შეიარაღება პრაქტიკული ცოდნით: “გლეხის გონება ცალმხრივია - წერდა „ივერია“, - აქ მას უნდა მიეშველოს ინტელიგენტი, როგორც მცოდნე პედაგოგი; სარგებლობა სახალხო წიგნებისა დამოკიდებულია იმ მასალებზე და სისტემატურ ცოდნაზე, რაც მასში მარტივი ენითად გადმოცემული ავტორის მიერ“ (ივერია, 1895. - №40); ზოგ ჩვენს მწერალს, - იტყობინებოდა იგივე გაზეთი, - საბავშვო ლიტერატურა სახალხოდ მიაჩნია; ასე არ შეიძლება შევხედოთ მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს; ქართული წიგნი უნდა შევიდეს ყველგან, სადაც არსებობს საზოგადოებრივი აზრი, სადაც არის თავისუფლება აზრისა, სადაც უკვე შემუშავებულია საერთო იდეალები; თუ ადამიანი მოკლებულია საერთო საკიოთხებზე მსჯელობას, მაშინ მის გონებას რადაც აკლია. ამ საკიოთხებს ეხება წიაღში. წიგნი არის ერთადერთი სალარო, საიდანაც გამოქვებების მას გონებისა და ზნეობის შესამუშავებელი მასალა.

სოფლად ქართული წიგნების გავრცელების საქმეს თავის დროზე გამოეხმაურა ცნობილი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე. 1904 წელს „ივერიაში“ იგი ეხება სახალხო და სასწავლო-პედაგოგიურ წიგნების გამოცემის საკიოთხებს. „ჩვენებური სახალხო სკოლის მოსწავლეს, - წერდა იგი, - რომელსაც სახელმძღვანელოდ აქვს „დედა ენა“ და „ბუნების კარი“, თამაბად შეუძლია კიოთხვა და გაგება ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლობის ნიმუშებისა, რომლის ნაწილი უკვე გავლილი აქვთ სასწავლო წიგნებიდან, ჩვენებური სახალხო სკოლების ერთი ნაწილის კარგები, - წერდა იგი, - ბევრგან გამოკეტილია ისეთი სახელმძღვანელოებისათვის, როგორგიც „დედა ენა“ და „ბუნების კარი“. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ბევრი უჩივის ჩვენი სკოლების უნაყოფობას, სადაც დედა ენა აბუჩად არის აგდებული და არ უჭირავს საპატიო ადგილი“ (ივერია - 1904. - №223). ქართული წიგნის სოფლად გავრცელების

საქმეში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეეძლოთ ოჯახებს, სადაც ტრადიციულად იკრიბებოდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, მსჯელობდნენ ეროვნულ საკითხებზე. 1895 წელს გაზეოთ „ივერია“ წერდა: „ახლა, როდესაც ქართველისათვის მოქმედების სარჩიელი შევიწროვდა და შემცირდა, ოჯახი უნდა შეიქმნას ყოველგვარი თაოსნობისა და საეროვნო მოდვაწეობის უმთავრეს ადგილად, მოელი ოჯახი ნამდვილ სკოლად უნდა გადაიქცეს, სადაც ქართველი ზნეობრივად და გონიერივად იწვროებოდა; ოჯახი სკოლის მოვალეობას უნდა შეუდგეს და მრუდე მიმართულების ქიშპობა გაუწიოს, დავთის წყალობა იქნება, თუ ყველა ოჯახში „დედა ენას“ პატივით და სიყვარულით მოეკიდებიან“ (ივერია, 1895. - №4).

სოფლად ქართული წიგნის გავრცელების საქმეში თავიანთი მოკრძალებული წვლილი შექმნდათ მასწავლებლებს, რომლებიც სახელმძღვანელოების გარდა ბავშვების გონებას წვრთნიდნენ საყმაწვილო ლიტერატურის კითხვით, წიგნების შეტანა მივარდნილ ქართულ სოფლებში ნიშნავდა სინათლის უქრობი ლაპარის დანოებას, რითაც ქართველის გული უნდა აღევსო პატრიოტული გრძნობით, სამშობლოს სიყვარულითა და ეროვნული თვითშეგნების წყურვილით. წიგნის გავრცელება სოფლად მოითხოვდა ენოუზიაზმს, უტეს ნებასა და სურვილს. საკმარისია კვლავ მოვუბრუნდეთ ზაქარია

ჭიჭინაძის მიერ ამ მიმართულებით გაწეულ დვაწლს, რათა ადვილად დავრწმუნდეთ, რომ ამ კეთილშობილურ საქმეს ამოძრავებდა პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი, მიძინებული ქართული გენის გამოცოცხლება, ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება.

ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ქართული წიგნის სოფლად გავრცელების საჭიროება და აუცილებლობა გასული საუკუნის დასაწყისისა და მე-19 საუკუნის 70-90-იანი წლების პერიოდში. ამ სურათის შედარებით, ზოგადი დახასიათებაც ცხადფოფს, რომ ეს საკითხი დღესაც აქტუალურია ქართული კულტურისა და განათლების დარგისათის. პრობლემა სტატისტიკურად გამოკვლევასა და შესწავლას საჭირობს.

ლიტერატურა:

1. ხუციშვილი, ს. - მანათობებელი . - თბ., 1980 . - 124 გვ.
2. გუგუშვილი, პ. - ქართული წიგნი . - თბ., 1929 . - 372 გვ.
3. ჩხიტუნიძე, თ. - ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი სახოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოდვაწეობა . - თბ., 1980 . - 140 გვ.
4. მაცაბერიძე, ვ. - ქართული სახალხო წიგნების შემდგენელ-გამომცემელი . - თბ., 1977 . - 104 გვ.

ბიბლიოგრაფიული ძირანი

მაის მიკაბები

ილია ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები: მოკლე მიმოხილვა

ლია ჭავჭავაძის, როგორც განსაკუთრებული მოვლენის შესახებ საქართველოს ისტორიაში, შექმნილია მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური ნაშრომები, მიუხედავად ამისა, ამოუწურავია რესურსი ილიას პიროვნებისა და შემოქმედების შესწავლა-ანალიზის თვალსაზრისით.

საქართველოს დღევანდელი მძიმე სოციალ-პოლიტიკური მდგრადირეობიდან გამოსახვლელი გზების მიება, ქართული საზო-

გადოების ზნეობრივი იდეალების მსოფლიო გლობალურ ჭრილში გააზრება და დირებულებათა ჩამოყალიბების როლი პროცესი ისევ და ისევ ილიას სიბრძნისკენ გვაძრუნებს. ეს კი თავისთავად განაპირობებს მისი ნააზრევისა და მის შესახებ შექმნილი მასალების აღნუსხვა-სისტემატიზაციისა და რეგისტრაციის აუცილებლობას.

დღეისათვის დამუშავებული და გამოცემულია ი. ჭავჭავაძისადმი მიძინებული სხ-

ვადასხვა სისრულისა და მნიშვნელობის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები - ბიობიბლიოგრაფიები, ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანები, სარეკომენდაციო საძიებლები და სიები, ბიბლიოგრაფიული ქრონიკები და ა.შ. ჩვენი წერილის მიზანია, ამ მრავალ-ფეროვნებიდან მხოლოდ ყველაზე მოცულობითი და მნიშვნელოვანი ნაშრომების მიმოხილვა.

ი. ჭავჭავაძის შესახებ ბიბლიოგრაფია მის სიცოცხლეში არ შექმნილა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის საცნობარო ლიტერატურის შედგენის კულტურა ჩვენთან შედარებით გვიან შემოვიდა. თვით ტერმინი - „ბიბლიოგრაფია“ აღნიშნავდა ამა თუ იმ ნაშრომის შესახებ დაწერილ რეცენზიას, შენიშვნას. ილიას შესახებ პირველი დასურათებული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი, მის ტრაგიკულ აღსასრულობას დაკავშირებით შეიქმნა:

„ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“ - ტფ: 1907 - 282 გვ.

ეს გამოცემა არ იყო ბიბლიოგრაფია კლასიკური გაგებით. იგი შედგებოდა მასალის არა ბიბლიოგრაფიული აღწერილობებისაგან, არამედ ილიას სიკვდილთან დაკავშირებული სიტყვებისა და წერილების ტექსტებისაგან, რომელთაგან ზოგი ამოღებული იყო იმდროინდელი პერიოდული გამოცემებიდან, ნაწილი კი სპეციალურად ამ კრებულისთვის დაიწერა. მიუხედავად ამ ფორმისა, კრებულმა „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, გარკვეულწილად მაინც შეასრულა ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის ფუნქცია, რადგან მასში აღინუს 1907 წლის ურნალ-გაზეთებში ამ თემაზე გამოქვეყნებული მასალების დიდი ნაწილი.

1907 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ილიას სახელი მეტნაკლები ინტენსივობით ჩნდებოდა პრესის ფურცლებზე. ეს ძირითადად მისი დაბადების ან დაღუპვის დღესთან იყო დაკავშირებული. მისი მკვლელობით გამოწვეული აღშუროებისა და გულისტკივილის გამომხატველ მასალებთან ერთად ქვეყნდებოდა სოციალ-დემოკრატების წერილები, რომლებშიც ცდილობდნენ შეერბილებინათ საზოგადოების უარყოფითი რეაქცია მათი ილიასადმი მტრული დამოკიდებულების გამო. 1921 წლიდან 1937 წლამდე, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ილია ოფიციალურად გამოცხადდა თავადაზნაურთა ინტერესების გამომხატველ მწერლად და მის სახელსაც ტაბუ დაედო. შესაბამისად, არც ამ პერიოდში შექმნილა ილიას ნაწერების ან მის შესახებ დაბეჭდილი მასალების რაიმე ფორმის ბიბ-

ლიოგრაფიული მაჩვენებლები.

დიდი დრო დასჭირდა ბოლშევკიურ ხელისუფლებას, რომ თავის მიერ შერისხული მწერლის სახელისათვის კვლავ დაებრუნებინა კუთვნილი პატივი და დიდება. 1937 წელს ილიას იუბილე ფართოდ, მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით აღინიშნა. გამოიცა მისი თხზულებების კრებულები, ითარგმნა ნაწარმოებები საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე, უმეტესად კი რუსულ ენაზე. ამავე პერიოდში დაიწერა ლიტერატურის კრიტიკოსთა ნაშრომები, რომლებშიც უკვე რადიკალურად იყო შეცვლილი შეფასებები მწერლის შემოქმედებისა და მოღვაწეობის მიმართ. ვითარება შეიცვალა ილია ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფიების მხრივაც. 1939 წელს გამოიცა: ილია ჭავჭავაძე: საიუბილეო კრებული (1837-1937). - თბ.: უნ-ტის გამბა და სტამბა, 1939. - [3], 429 გვ. მასში დანართის სახით შევიდა ილიას ბიბლიოგრაფია, რომელიც მოიცავდა პერიოდს 1861 წლიდან 1907 წლის ჩათვლით. მაჩვენებელი შეადგინეს საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის თანამშრომლებმა თინათინ ნაკაშიძემ და ნინო კორძაიამ. ბიბლიოგრაფიაზე დართული შენიშვნა გვაუწეუბს, რომ ეს არის ამონარიდი ილიას უფრო ვრცელი ბიბლიოგრაფიიდან, რომელიც მზადდებოდა წიგნის პალატაში. კრებულში შევიდა მხოლოდ ი. ჭავჭავაძის შესახებ დაბეჭდილი მასალა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პირველი, პროფესიულ დონეზე შესრულებული ნამუშევრი, რომელშიც დაცული იყო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებისათვის აუცილებელი ყველა, იმ დროისათვის დადგნილი, საგალდებულო სტანდარტი.

ამის შემდეგ, 25 წლის განმავლობაში და ისიც ი. ჭავჭავაძის საიუბილეო წლებოთან დაკავშირებით, საქართველოში შეიქმნა მხოლოდ რამდენიმე, მცირე მოცულობის სარეკომენდაციო ხასიათის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი. 1966 წელს, თოთქმის ორი ათეული წლის დაგვიანებით, განხორციელდა მწერლის უფრო სრული ბიობიბლიოგრაფიის გამოცემა: ნაკაშიძე, თინათინ, კორძაია, ნინო. ილია ჭავჭავაძე: ბიობიბლიოგრაფია, 1857-1907 / [რედ. გ. აბზიანიძე]. - თბ.: განათლება, 1966. - 672გვ.

მისი შედანის მთავარი მიზანი იყო სრული ბიბლიოგრაფიული რეგისტრაცია ი. ჭავჭავაძის ნაწერებისა და ლიტერატურისა მის შესახებ, რომლებიც მწერლის სიცოცხლეში დაიბეჭდა. წიგნი ორი ნაწილისგან შედგება. პირველ განყოფილებაში, რომელიც მოიცავს ილიას ავტორობით შექმნილ თხზულებებს, შემდგენლები შეეცადნენ თავი მოეყარათ ცალკე წიგნებად გამოცემული ან კრებულებ-

სა და ურნალ გაზეოებში გამოქვეყნებულ ყველა მისი ნაწერისათვის – დაწყებული პირველი პუბლიკაციით (1857 წ.) და დამთავრებული მისი ტრაგიკული აღსასრულის წლით (1907 წ.).

მთავარ სირთულეს ქმნიდა მწერლის ხელმოუწერელი წერილები, ოუმცა, როგორც ნაშრომის ჟესავალშია აღნიშნული, შემდგენლების მიზანს არ წარმოადგენდა მათი იდენტიფიცირება. ისინი დაეყრდნენ ილია ჭავჭავაძის აკადემიურ გამოცემასა და გამბა „ქართული წიგნის“ მიერ გამოცემულ ათტომეულს. ასევე, მუშაობის პროცესში გამოიყენეს საქ. ეროვნული ბიბლიოთეკის (მაშინ საქ. სახელმწ. საჯარო ბიბლიოთეკა) მიერ შედგენილი ქართული პერიოდული გამოცემების ბიბლიოგრაფია და ალ. კალანდაძის მონოგრაფია „საქართველოს მოამბე“. მეორე ნაწილში შევიდა ლიტერატურა ი. ჭავჭავაძის ჟესახებ. ორივე განყოფილებაში მასალა განლაგებულია ქრონილოგიურად თიორეული ჩანაწერი ანოტირებულია, რაც აზუსტებს მათ შინაარსსა და დანიშნულებას. ბიბლიოგრაფიას ახლავს საკმაოდ მრავალუროვანი საძიებო პარატი. ასეთი მდიდარი სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი მაღვე გადაიქცა ი. ჭავჭავაძისა და, ზოგადად, ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების მკვლევართა სამაგიდო წიგნად. სამწუხაორდ, მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო წრეებში ამ ბიბლიოგრაფიას ფართოდ იყენებდნენ, პრესაში ეს ამბავი, ფაქტობრივად, არ გაშუქებულა, არც რეცენზია დაწერილა.

საქ. სახელმწ. წიგნის პალატაში ი. ჭავჭავაძის ბიობიბლიოგრაფიის გაგრძელების საკითხს აქტიურად განიხილავდნენ, მიო უშეტეს, რომ ილიას ჟესახებ მასალების საკმაოდ მდიდარი რესურსი ჰქონდათ წიგნებისა და ურნალ-გაზეოების სტატიების მატიანების სახით. ამ დაწესებულების ხელმძღვანელი ვ. გოგოლაძე გაზეო „წიგნის სამყაროს“ უურცლებებზე გამოქვეყნებულ წერილი „მკითხველი მოელის“ (26.08.1970), წერდა: „ბიობიბლიოგრაფია მოიცავს 1857-1907 წლების პერიოდს. მაგრამ 1908 წლიდან ხომ ი. ჭავჭავაძეზე ზღვა ლიტერატურა შეიქმნა? მკითხველი მოელის ამ ლიტერატურის საძიებლის გამოცემას“ [1]. გაუგებარია, რა მიზეზით შექვენდა ილიას ბიბლიოგრაფიის გაგრძელების გამოცემა. ფაქტი კი ისაა, რომ ასეთი გამოცემა განხორციელდა მხოლოდ 43 წლის შემდეგ, 2007 წელს, როდესაც ჟესრულდა ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 170 და დალუკვიდან 100 წელი. ამ თარიღებთან დაკავშირებით საქართველოს რამდენიმე ინ-

სტიტუციამ ერთობლივად მოამზადა ილიას ბიბლიოგრაფიის გაგრძელება: ილია ჭავჭავაძე : ბიობიბლიოგრაფია. II: 1907-2007 / ილია გოგოლაძე, მაია მიქაელიძე, თინა ლომჯარია, ნანა ბარნაბიშვილი. - თბ. : [ილიას ფონდი], 2007 - 1317 გვ.

ბიბლიოგრაფიის შედგენას ხელმძღვანელობდა მხცოვანი ბიბლიოგრაფი ილია გოგოება. მთავარი რედაქტორი იყო თსუ-ს ილიას კაბინეტის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, პროფესორი ლადო მინაშვილი. მასალებზე მუშაობდნენ საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები, ხოლო თვით გამოცემა დააფინანსა საგურამოს ილიას სახლ-მუზეუმთან არსებულმა „ილიას ფონდმა“.

ნაშრომის მნიშვნელობას, პირველ რიგში, განსაზღვრავდა მისი მასშტაბურობა - 100 წელი. 1907-დან 2007 წლის ჩათვლით საქართველოში მრავალჯერ ჩატარდა ილიას იუბილებთან დაკავშირებული დონისძიებები - გამოვიდა მწერლის თხზულებათა მრავალგვარი გამოცემა, საქართველოს სხვადასხვა ბიბლიოთეკებში შეადგინეს ილიას შემოქმედებისა და მოღვაწეობის ამსახველ სარეკომენდაციო მაჩვენებლები, უცხო ენგბზე ითარგმნა და დაიბეჭდა ილიას ნაწარმოებები, დაიწერა მრავალი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი. ბიბლიოგრაფიის შედგენა თუნდაც იმიტომ იყო აუცილებელი, რომ ქართული ლიტერატურის მკვლევარებს მეტნაკლებად ხრული ინფორმაცია პქონოდათ ამ სფეროში ჩატარებული სამეცნიერო მუშაობაზე, რაც მათ თავიდან ააცილებდა დამოხმავებებს ერთონა და იმავე საკითხების დამუშავების დროს.

მასალების მოძიებაზე მუშაობდა ოთხი ბიბლიოგრაფი, რომელთა განკარგულებაში იყო ერთვნული ბიბლიოთეკაში დაცული წიგნადი ფონდი და პერიოდულ გამოცემათა ყველაზე სრული კომპლექტები. ამავე დროს, დამუშავდა ამ ასი წლის განმავლობაში სხვადასხვა ბიბლიოთეკისა თუ სამეცნიერო დაწესებულებების მიერ შედგენილი ყველაზე დირებული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები, საქართველოს მსხვილი წიგნსაცავების საძიებო სისტემები ელექტრონული კატალოგების ჩათვლით.

როგორც ადინიშნა, 2007 წელს გამოცემული ბიბლიოგრაფია მოიაზრებოდა, როგორც 1966 წლის გამოცემის გაგრძელება, მისი მე-2 ტომი, რაც მიეთითა კიდევ სათაურის შემდეგ. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების დიდი ნაწილი ანოტირებულია. ბიბლიოგრაფია იმეორებს ძველი გამოცემის სტრუქტურას. მხოლოდ, დამატების სახით დაერთო 1966 წლის გამოცემაში გამორჩენილი მასალები.

გარდა ამისა, პირველად, წყაროს სახით გამოყენებულ იქნა ლიტერატურული ინტერნეტ-საიტი, რომლებშიც ილიას ნაწერები იყო განთავსებული.

დღეისათვის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გრძელდება მუშაობა ი. ჭავჭავაძის ბიობილიოგრაფიის მესამე ნაწილზე, რომელშიც შევა 2007-2017 წლების მასალები.

საიუბილეო 1987 წელს ი. ჭავჭავაძის შესახებ მომზადდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი, რომელიც ყველა, ზემოთ ჩამოთვლილი ბიბლიოგრაფიებისაგან განსხვავდება სტრუქტურითა და ფორმით:

გორგაძე, ილია, გურგენიძე, ნოდარ. ილია ჭავჭავაძე. ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე: ბიობილიოგრაფიული ქრონიკა, 1837-1907 / რედ.: ს. ხუციშვილი; საქ. სსრ მეცნ. აკად., ცენტრ. სამეცნ. ბიბ-კა. - თბ. : მეცნიერება, 1987. - 366გვ.

როგორც 1966 წლის გამოცემა, ეს წიგნიც ქრონილოგიური თანმიმდევრობით აღრიცხავს ილიას ყველა გამოცემას მის სიცოცხლეში, ლიტერატურულ და საზოგადოებრივ გამოსკვლებს, მოგზაურობათა ქრონიკებს, საქმიან და პირად მიმოწერას, რომლებსაც რაიმე დირექტულება აქვს მწერლის შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესასწავლად. ამავე დროს, წიგნში მითითებულია ყველა მნიშვნელოვანი ლიტერატურული გამოხმაურება ილიას შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე, მასთან სხვადასხვა საკითხებზე გამართული პოლემიკა და ა. შ.

„ქრონიკა“ იმით განსხვავდება წინა გამოცემებისაგან, რომ ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების ნაცვლად მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე მოწოდებულია თხრობის სახით. კონკრეტული ნაწერის გამოქვეყნების ფაქტს ახლავს მისი შექმნის მიზეზებისა და სხვა თანამდევი პროცესების აღწერა. მოწოდებული მასალა გამჟარებულია ილიასავე შემოქმედების მოხმობით, მის თანამედროვეობით, მოგონებებით, დოკუმენტებით. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის ასეთი ფორმა დოკუმენტური პროზის ელემენტებს შეიცავს. ფაქტების სისუსტესთან ერთად, მის დირსებას განსაზღვრავს ავტორთა ლიტერატურული თხრობის ნიჭიც. ილიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მასშტაბებიდან გამომდინარე, წიგნის ავტორებს არ შეეძლოთ მისი ცხოვრების ქრონიკის სრული აღწერა, ამიტომ მხოლოდ მნიშვნელოვანი მოვლენებით შემოიფარგლებ.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, თბილისის სახელმწის უნიტისა და შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ერთობლივად მომზადდა ასეთივე დასახელების ნაშრომი. იგი მოცულობით სამჯერ აღემატება ი. გორგაძისა და ნ. გურგენიძის წიგნს, რადგან დაემატა ბოლო 30 წლის განმავლობაში გამოვლენილი მასალა. ეს ნაშრომი ბეჭდური ფორმით არ გამოცემულა და არსებობს მხოლოდ ელექტრონულად - (http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/204739/1/Ilia_Chavchavazis-Cxovrebis_da_Shemoqmedebis_Matiane.pdf).

ქართულ მასალას ერთვის მატიანის ინგლისური ვერსიაც, რაც უცხოელ მეცნიერებს გაუადვილებს ილიას შემოქმედების კალევის პროცესს.

ი. ჭავჭავაძის დაბადებიდან 170 წლის იუბილეს ფარგლებში უკრნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“ (2007, №3,4; 2008, №1) დაიბეჭდა „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ასპექტები: (მოკლე ბიობიბლიოგრაფიული ქრონიკა)“ (შემდგენელი ალექსანდრე ლორია). იგი შედგენილია ი. გორგაძისა და ნ. გურგენიძის წიგნის „ილია ჭავჭავაძე. ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეს“ მიხედვით. ნაშრომის უპირველესი დირსება მისი კომპაქტურობაა. იგი არ არის ილიას ბიოგრაფიიდან აღებული ფაქტების უბრალო ნაკრები. შემდგენელმა მწერლის როგორც ცხოვრებისა და მრავალგანზომილების მოღვაწეობიდან შეარჩია მხოლოდ უმნიშვნელოვანები და მოგვაწოდა მოკლე ქრონიკის სახით, რომლის უმოავრესი დერძი დროთა კავშირია - ილიას თანამდროული ეპოქისა და საქართველოს დღევანდელი მდგრამარეობის ერთ ჭრილში გააზრება. ასეთი მაჩვენებელი პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს როგორც ი. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარებს, ასევე საზოგადოების სხვა, დაინტერესებულ ფენებს.

ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების სიმრავლისა და მრავალფეროვნების მიუხედავად, ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელების საჭიროება, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, უდავობა. სრულყოფილ, პროფესიულ დონეზე შესრულებული ბიბლიოგრაფიის შესადგენად კი დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ ბიბლიოგრაფთა და ლიტერატურის მკვლევართა ერთობლივი მუშაობას.

ესების თემაზე, ბიობი ბაბუნია

შენიშვნა გ. ი. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ შემდგომი შევსება—სრულყოფისათვის

1 947 წელს თბილისში გამოცემულ გ. ი. ბაქრაძის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ გაზეო „მთლიანი საქართველო“—ს შესახებ ინფორმაცია ამგვარად არის შეტანილი:

„486. „მთლიანი საქართველო“. 1920. ყოველდღიური გაზეოთი. ბათომი. რედაქტორი?

შე ე ნ ი შ გ ნ ა : ბიბლიოოთეკებში არ მოიპოვება; მოხსენებულია „კლდე“—ში, 1920 წ. №69“ (გვ. 65).“

2004 წელს პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ გამოსცა თავის ნაშრომთა ციკლი, სათაურით „მიებანი“, რომელშიც შეტანილია პატივცემული მეცნიერის წერილი „გაზეო „მთლიანი საქართველო“ (იხ.: გვ. 9–29)¹. ამ პუბლიკაციიდან ვგებულობთ, რომ 1920 წელს გამოვიდა სესენბული გაზეოთის სამი ნომერი, რომელთაგანაც ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მე-3 ნომერმა. როგორც ნოდარ ტაბიძე გვამცნობს, ადნიშნული ორგანოს პირველი ნომერი გამოსულა 1 სექტემბერს, მაგრამ „... მეორე დღესვე საგანგებო კომისარმა ბ. ჩხიგვიშვილმა გასცა ბრძანება „მთლიანი საქართველოს“ დახურვის შესახებ...“

ამ დროს უკვე გამოსულა მეორე ნომერი, ხოლო ვიდრე ბრძანებას ჩააბარებდნენ რედაქტორს, მესამე ნომერიც დაიბეჭდა“ (გვ. 109).

„მთლიანი საქართველოს“ რედაქტორი ყოფილა ტიციან ტაბიძე, ხოლო გამომცემელი – იაკობ სულაბერიძე

ნოდარ ტაბიძე თავის გამოკვლევაში საფუძვლიანად მიმოიხილავს მის ხელთ არსებულ „მთლიანი საქართველოს“ მხოლოდ მე-3 ნომერს, რაც გვაფიქრებინება, რომ გაზეოთის

პირველი ორი ნომერი ვერ იძებნება, ხოლო მესამე ნომერი კი პატივცემული პროფესორის პირად არქივში უნდა იყოს დაცული. ეს თუ დადგინდება, მაშინ ნოდარ ტაბიძის ნაშრომზე დაყრდნობითა და ყოველივე ზემოქმედიდან გამომდინარე, გ. ი. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის“ ახალ, შევსებულ—შესწორებულ გამოცემაში გაზეო „მთლიანი საქართველო“ ასე უნდა იქნას აწერილი:

„მთლიანი საქართველო“. 1920. ყოველდღიური გაზეოთი. ბათომი. რედაქტორი – ტიციან ტაბიძე. გამომცემელი – იაკობ სულაბერიძე. გამოვიდა სამი ნომერი:

1920 წ. №1 (1/IX); №2 (2/IX); №3 (3/IX), თოთ. 4 გვ.

შე ე ნ ი შ გ ნ ა : ბიბლიოოთეკებში არ მოიპოვება. გაზეოთის მე-3 ნომერი დაცულია პროფესორ ნოდარ ტაბიძის პირად არქივში.

იმ შემთხვევაში, თუკი პროფესორ ნოდარ ტაბიძის პირად არქივში არ აღმოჩნდება ხსენებული გაზეოთის მე-3 ნომერი, მაშინ ზემოხსენებული „შენიშვნის“ ფორმულირება ამგვარი უნდა იყოს:

„შ ე ნ ი შ გ ნ ა : ბიბლიოოთეკებში არ მოიპოვება; მის შესახებ პუბლიკაცია, სათაურით „გაზეო „მთლიანი საქართველო“, იხ.: ნოდარ ტაბიძე, „მიებანი“, თბ., 2004, გვ. 9–29; „ქურნალისტური მიებანი“, თბ., 2004, VI ტომი, გვ. 105–127.“

¹ ეს წერილი დაბეჭდილია 2004 წელსვე გამოცემულ „ქურნალისტური მიებანი“—ს VI ტომში (იხ.: გვ. 105–127).

ასე ჯარიძე


გაყვითლებულ ფურცელთა ნაამბობი

კარქივო მასალების შესწავლა ფრიად რუტინული, მაგრამ იმავდროულად საინტერესო საქმეა. მრავალნაირ მნიშვნელოვან დოკუმენტს, ფოტოსა თუ ხელნაწერს შეიძლება წააწყდე აქ. მეც გხენი ცნობილი ქართველი მწერლისა და სახოგადო მოღვაწ-

ის იოსებ იმედაშვილის არქივის ძველ საქადაღდებს, საიდანაც გაყვითლებული ფურცელები იცქირებიან, საინტერესო ამბების მოყვლას ლამობენ. თვალს ვაღვინებ თითეულ მათგანს და ჩემ თვალშინ ცოცხლდება ქურნალ „ოფატი და ცხოვრების“ 15 წლის იუბილესთან

დაკავშირებული ამბები. უურნალის საიუბილეო ნომრისათვის შერჩეულ მოგონებებსა და წერილებს შეიცავს იმედშვილის საქადალდე და მეც მათზე მინდა მოგითხოვთ. ყოველკვირველი თეატრალურ-ლიტერატურული უურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1910 წელს გამოიცა თბილისში. იოსებ იმედაშვილი იყო მისი დამაარსებელი და რედაქტორ-გამოცემელი. იმ დროს ეს თითქმის ერთადერთი უურნალი იყო, რომელიც ცდილობდა შესაფერისი სამსახური გაეწია საოპერო ხელოვნებისათვის: აქ იძებნდებოდა რეცენზიები

რად ადრე შეწყვეტდა არსებობას. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი იოსებ იმედაშვილი უურნალის გამოცემის პირველივე წელს დააპატიმრეს რევოლუციურ-პოპაგანდისტული მუშაობისთვის. იმავდროულად შეწყდა უურნალის გამოცემაც. იოსებს 4 წლით კატორდა მიუსაჯეს, რაც, ავადმყოფობის გამო, მეტების ციხეში პატიმრობით შეეცვალა. ციხიდან გამოსულმა იმედაშვილმა ისევ უურნალის აღდგენისაკენ მიმართა ძალისხმევა. 1914 წელს, ბევრი წვალების შემდეგ, გამოცემა განახლდა. შემდეგაც, უამრავი დაბრკოლები-



სპექტაკლებზე, სტატიები თეატრის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე, მსახიობთა პროფესიულ აღზრდაზე, რეჟისორის ოსტატობაზე, მსახიობისა და მაყურებლის ურთიერთობაზე. უურნალის ფურცლებზე დიდი ადგილი ეთმობოდა ასევე ბელეგრიისტიკას, მშობლიურსა თუ უცხოურ პოეზიას, კრიტიკას, მხატვრობას. იძებნდებოდა ლიტერატურული და იუმორისტული ხასიათის წერილები და კარიკატურები. მარტივი არ ყოფილა უურნალის მიერ გავლილი გზა. მისი გამოცემა ხშირად იდგა კითხვის ნიშნის ქვეშ და რომ არა რედაქტორის დიდი შემართება, უურნალი ბევ-

სა და წინააღმდეგობების მიუხედავად, იგი არსებობა განაგრძნობდა. 1925 წელს, უურნალის დაარსების 15 წლისთავთან დაკავშირებით, გადაწყდა, რომ შესაფერისად აღენიშნაონ იუბილე მრავალ ქარტებილგადახდილი უურნალისთვის. საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა მსახიობი ვასო აბაშიძე. საიუბილეო სადამო უნდა გამართულიყო 1 ივნისს რუსთაველის თეატრში, საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად. იმავდროულად უნდა გამოცემულიყო უურნალის საიუბილეო ნომერი გაფართოებული სახითა და საგანგებოდ შერჩეული მასალით.

ხელში ვიღებ დრო და უამისგან გაყვითლებულ ფურცლებს და კითხვას ვიწყებ: იოსები იმედაშვილის მოგონებებია გაკრული ხელით დაწერილი, უურნალ „თეატრი და ცხოვრების“ გამოცემის განახლებას ეხება. ყოველ სიტყვაში იგრძნობა გულისტიკივილი, რომ ციხიდან გამოსულს, უსასესროდ მყოფს, არ ეხმარებიან და არც თანაუგრძნობენ. მაინც არ ეძლება სასოწარგვეთას, მიზნისკენ სვლას განაგრძნობს. ანა უურულს, მწერლის მეუღლესაც უჭირს გამოცემის განახლების ნებართვაზე ხელის მოწერა მის მაგივრად. მათი უფროსი შეილი წყვეტს ამ დილემას მამისადმი უპირობო მხარდაჭერით, დედასაც უადვილებს გადაწყვეტილების მიღებას. თანდათან სხვა დამხმარენიც ჩნდებიან და 1914 წლის მარტი უურნალის გამოცემაც ახლდება. იმედაშვილის მოგონებებში ხმიანობს აკაკი წერეთელის გულთბილი სიტყვები მისდამი: „თავსლაფი შენს ციხეში დამჭერო, თორებ შენ უფრო გალამაზებული ხარ, ცეცხლში გამომწვარი ოქრო“ და კიდევ: „ყოველი მოვაწის შესამკიბელი ეკლის გვირგვინია. ერის მოჭირნახულენი მხოლოდ წამებით გაიყოლიერენ ხალხს მომავლისკენ. საქვეყნო საქმის სამსახურს მხოლოდ რჩეულნი თუ შეძლებენ, რომელთა ხედრია დევნა, შეურაცყოფა“. ამ სიტყვებს ვკითხულო და თითქოს სწორედ მათ მანიშნეს, საქადალდის ფურცელთა შორის თვალში მხვდება მიხეილ ჯავახიშვილის ხელნაწერი. მისი ყოველი ნაწერი, ყოველი ნააზრევი ხომ უმნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან პრწყინვალე მწერლისა და მოღვაწის მოელი არქივი განადგურებულია. ხარბად დავცეკერი ამ ფურცლებს, მიხეილ ჯავახიშვილის მოგონებას იოსები იმედაშვილის შესახებ. 1903 წელს მის დუქან-სამკითხველოში გაუცნია და გონებაში სამუდამოდ ჩაბეჭდვია „ქვაშვეთის“ ქუჩაზე ბუკინისტების რიგის ერთ პატარა ქოხში, დახლს უკან მჯდომი, რიერაჟიდან დაღამებამდე წიგნებში თავზარგული სოსო (ასე მოიხსენიებს მას მწერალი). რუსეთიდან დაბრუნებულს ჯავახიშვილს თითქმის დავიწყებული პქნია ქართული. იოსები იმედაშვილი გახდა ჩემი ქართულის ნათლია, ის იყოო ჩემი ქართულის მასწავლებელი - ისესენებს მაღლიერებით. პირველად იოსები იმედაშვილს წაუკითხავს მიხეილ ჯავახიშვილის პირველი მოთხოვბა „ჩანჩურა“ და მასვე გაუგზავნია „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში. მაშინ მიხეილი მხოლოდ 23 წლის ყმაწვილი იყო, წინ კვლავ როული და ეკლიანი ცხოვრების გზა ელოდებოდა. ხანი გასულა, ერთმანეთს დასკილებიან. 1923 წელს, როდესაც მიხეილ

ჯავახიშვილი 15 წლის შეწყვეტილ საქმეს, ბელებრისტობას დაუბრუნდა, მისი და იოსები იმედაშვილის გზები კვლავ გადაკვეთილა. „იოსები წინ გადამეღობა, წარსული მომაგონა და თავისი „თეატრი და ცხოვრები“ გამახსენა. მე ხალისით მივეცი ორიოდე ნაწყვეტი. არც შემდეგ მოვაკლებ ჩემს თანაგრძნობას და სუსტს ძალდონეს, რადგან, ჩემის დრმარწმენით, იოსები იმედაშვილი და მისი უურნალიც მხნედ და პირნაოლად ემსახურებიან ჩვენს საერთო საქმეს“ - აღნიშნავს მწერალი. ისევ საქადალის ყვითელ ფურცლებს ვარჩევ, ვის ხელნაწერს არ შევხვდი აქ: იოსები იმედაშვილი თუ მიხეილ ჯავახიშვილი, იოსები გრიშაშვილი თუ ლეო ქაბელი, მარიამ საფაროვა-აბაშიძე თუ ეფემია მესხი, ნინო ყიფიანი თუ სოფრომ მგალობლიშვილი, ივანე გომართელი თუ დომინიკა ერისთავი (განდეგილი), ილია ფერაძე თუ ვარლამ ჩლაიძე, ნიკო ჯაფარიძე (ჯაფარ-ფაშა) თუ სილიძისტრო თავართქილაძე (ს. რემონიძე), მიხეილ კონტურაშვილი (იასამანი) თუ ნიკოლოზ კურდელაშვილი (ნარკანი), დავიო გაბრუაშვილი თუ გიორგი სვანიძე, იოსები მაჭავარიანი, სენო წერეთლი, სურქნ ავზიანი, და ცაგარელი და სხვანი. ფურცლები კი თხრიბას განაგრძნობენ. „იმედაშვილი ზეინჯალი, იმედაშვილი მამასახლისი, იმედაშვილი ასოთამწყობი, ბუკინისტი, გამომცემელი, მხედარი, პოეტი, ბელებრისტი, დრამატურგი, მსახიობი, სუფლიორი, რეჟისორი, რედაქტორი და დასახრულ - მოლექსიკონები“ - ასე ახასიათებს იმედაშვილს თავის წერილში ცნობილი პოეტი იოსები გრიშაშვილი. პოეტი იგონებს, რომ „თეატრი და ცხოვრების“ პირველ ნომერში, პირველ გვერდზე დაიბჭდა მისი პირველი ლექსი მესხიშვილისადმი მიძღვნილი. აღნიშნავს, რომ ეს უურნალი ფართო გზას აძლევს ახალგაზრდებს, ყოველთვის სიამოგნებით იკითხება და მას ყველა თვალყურს ადევნებს. უურნალის დირსებად მიიჩნევს იმასაც, რომ „მას ერთი კაცი უძღვება თავის ქესაცი ქისით და 15 წლის განმავლობაში სისტემატიურად გამოდის თავისი ტრადიციებით დატვირთული“. იოსები იმედაშვილის პიროვნულ და რედაქტორულ დირსებებს წარმოაჩენს ლეო ქაბელის მოგონებები. საქართველოდან შვეიცარიაში გახიზნული მწერალი მთაში გაუმწესებიათ ექიმებს და ყველასგან დაშორებული ზემო სავოიაში (საფრანგეთი) ატარებდა დღეებს. „ამ მდგომარეობაში მომაგონდა „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორის თავაზიანობა და გადავწყვიტე მიმემართნა მისოვის. გავუგზავნე ერთი მინიატურა და გვთხოვე უურნალი მოეწოდებინა ჩემს უდ-

აბნო სამყოფელში“ - წერს ქიაჩელი. იმედაშვილს არ დაუყოვნებია და ერთ მშვენიერ დილას ქართული უურნალის ათიოდე ნომერი ქიაჩელისათვის სახლში მიუტანია სოფლის ფოსტალიონს. „ათი წლით სამშობლოს მოშორებულს მაინტერესებდა ყოველი წვრილმანი. „თეატრი და ცხოვრების“ ქრონიკა ამ მხრით დიდ სამსახურს მიწვდა“ - აღნიშნავს მადლიერი მწერალი, რომელსაც უურნალის ფურცლებიდან თვალწინ გადაეშალა მწერლების, პოეტების, საზოგადო მოღვაწეების, მსახიობების, სცენის მოყვარულთა სახეების მოელი გალერეა.

საქადალდის ხელნაწერთა შორისაა თელავის დრამატული წრის დავალებით დაწერილ სოსო მაჭავარიანის წერილი. „ჩვენ ისიც ვიცით, რომ რამდენადაც მწვავდება პოლიტიკური ბრძოლა, იმდენად ნაკლები ყურადღება ექცევა, ან სულ არ ექცევა ხელოვნებას აი, ამ დროს „თეატრი და ცხოვრება“, სრულიად უპარტიო პოლიტიკის გარეშე, თავს დასტრიალებს ქალაქს, სოფელს, ეალერსება, მდაბიო ენიო მოუწოდებს ყველას ხელოვნებისაკენ, საზოგადო საქმის სიყვარულისაკენ და ერთობისაკენ“ - ასე შეფასებული უურნალის შეუცვლელი კურსი, რომ როულ ცხოვრებისეულ ვითარებებშიც, მწვავე პოლიტიკური დაპირისპირებების დროსაც დარჩეს ხელოვნების ერთგულ მსახურად და ერთობისაკენ მოუწოდოს ხალხს. წერილის ავტორი, სოსო მაჭავარიანი, სავარაუდოდ, 1938 წელს დახვრეტილი იოსებ მაჭავარიანია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებლი კრების წერი. საინტერესო სენო წერეთლის მოგონებებიც. მიმივიყოთ აკინძეული მცირე ეპოზოდები, ცალკეული მოვლენები, შენს თვალწინ აცოცხლებს და ერთიან, ნათელ სურათს ქმნის იოსები იმედაშვილის პიროვნებისას: „სტამბა. ... გუნჯულში მიმალული რედაქტორი. ... მიყრუებული სოფელი. ... შარა გზას მიმავალი მგზავრი ნაბით, გალურჯებული სახე ყინვისაგან. ხელში უურნალი და წიგნები - ხალხისკენ, მინარხალებისკენ. იოსები ქადაგებს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში“. შემდეგ ავტორს თვითონვე გადაუხაზავს სიტყვები - „თავისუფალ საქართველოში“.

ოთხად გაკეცილ რვეულის ფურცლებს ვიდებ. ტექსტი მკაფიო ხელითაა ნაწერი, ლამაზი ასოებით გამოყვანილი. ეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრის, მწერალ სილიბისტრო თავართქილამის ხელია. წერილში ხელისუფლების კრიტიკასაც შეხვდებით და

რედაქტორის უანგარო დვაწლის აღნიშვნასაც. „შენ ვერავინ ვერ შეგაშინა, იმიტომ რომ ხალხის სიმპატია შენსკენ არის, იმიტომ რომ შენი თავდადებული შრომა და სიყვარული ამ კულტურული საქმისადმი გულწრფელია, სიმართლე შენსკენ არის და რაც უნდა დაიჩაროს ის, გამარჯვება ბოლოს მაინც მისია“ - წერს თავართქილამე. ის დრო, ეს სიტყვები რომ იწერებოდა, სიმართლის გამარჯვების დრო ნამდვილად არ იყო. 1926 წელს უურნალი „თეატრი და ცხოვრება“ დახურეს. სიმართლის მოყვარე სილიბისტრო თავართქილამე (ს. რემონიძე) 1937 წელს დახვრიტეს. უურადღებას იქცევს კიდევ ერთი ხელნაწერი, რომელშიც ლ. ცაგარელი იხსენებს გიორგი (კომანდო) გოგელიასთან საუბარს უურნალის დანიშნულებაზე. აქ ტექსტის ნაწილი გადახაზულია წითელი მელნით, უხილავი და „ყოვლისშემძლე“ ხელით განათლების კომისარიატის ლიტერატურისა და გამომცემლიბის საქმეების მთავარი სამმართველოს (მთავლიტის) თანამშრომელისა. სწორედ ისინი ახორციელებდნენ ცენზურას ბეჭდვით გამოცემებში. მთავლიტის ბეჭედს „ნებადაროსულია“ შეხვდებით საქადალდებში მოთავსებულ ყველა ხელნაწერზე, თანამშრომლის ჩასწორებები კი მეტ-ნაკლებად შეიმჩნევა. „ამოდენა პოლიტიკას და კარდახშულობას ესაჭიროება უურნალი ან გაზეოთ, სადაც შეიძლებოდეს თავისუფალი ამოსუნთქვა!... ერთმა მწერალმა ინატრა, ნეტავი ერთი რამ დამაწერინა უტენდენციორ. ჩვენს იმ დროინდელ და ეხლანდელ უურნალ-გაზეოთებში გამეცებულია მკაცრი ტენდეცია. ეს კარგიც არის და უხეიროც ...“ - აი, ეს სიტყვები ფრიად არ მოსწონებია ცენზურს ცაგარელის ხელნაწერში და გადაუხაზებით მის თვალს არ გამორჩენია და გადაუხაზების სცენისმოყვარე (ასე უწოდებს თავს) სერგო აუშტაროვის წერილის ტექსტი: „მის (იგულისხმება უურნალი) ფარდებს უკან ბევრი საუკეთესო რევოლუციონერი იწვრებოდა და აწარმოებდა აქტიურ მუშაობას მონარქიზმის დასამხობათ“, შემდეგ ცენზურს გადაუფიქრებია განახენი და ტექსტის გასწრივ მიუწერია „წავა“. ცენზურის კვალი ეტყობა პოეტისა და პროზაიკოსის, ქალთა უფლებების აქტიური დამცველის, დომინიკა ერისთავის, იგივე განდეგილის ნაწერსაც. აღნიშნავს რა იოსებ იმედაშვილის, როგორც რედაქტორის როულ ხვედრსა და დიდ სულიერ ძალას, განდევილი განაგრძობს: „თეატრი და ცხოვრება“ ძალიან ბევრჯერ ერთგვარ საყვირაო ევლინებოდა უიმედობით დასწეულებულ ქართველ მკითხველს, როცა შავ-ბეჭედ გარემოებათა წყალობით იგი მოკ-

ლებული იყო სხვა რამ სულიერ საზრდოს, ევლინებოდა და გულში იმედის სხივს ჩააშუქებდა ხოლმე ...“ ცენტრის აზრით, უმედობით დასხეულებული მკითხველი, მხოლოდ ცარიზმის დროს შეიძლება ყოფილიყო და ამიტომაც სიტყვები, „ცარიზმის დროს“ ჩაუმატებია კიდეც ტექსტში. სხვა წერილები კი, ადრე ნახსენები, და შემდგომიც, ცენტრმა პოლიტიკური ქვეტაქსტების არარსებობის გამო დაინდო და მათში მხოლოდ კორექტურული ხასიათის ჩასწორებები გააკეთა. საქადალდეში ყურადღებას იქცევს ჟურნალ „ოეტრი და ცხოვრების“ 15 წლისთავის აღმნიშვნელი საიუბილეო კომიტეტის სახელით დაწერილი წერილი, რომელიც უცვლელი სახით დაიბეჭდა კიდეც საიუბილეო გამოცემაში. საიუბილეო ნომერში დაიბეჭდა, აგრეთვე ყველა ზემოთ ნახსენები წერილი (რასაკვირველია ცენტრის მიერ ჩასწორებული სახით), გარდა თავად იოსები იმედაშვილის მოგონებისა და იოსები მაჭავარიანის, სენო წერეთლის, სერგო აუშტაროვის, პ. ირინეშვილის წერილებისა.

1926 წლის მარტში ჟურნალმა “ოეტრი და ცხოვრება“ არსებობა შეწყვიტა. ამის მიზეზი გახდა რუსთაველის ოეტრში დადგმული ნატალია აზიანის პიესა „დეზერტირკას“ კრიტიკა. პიესის მიმართ ჟურნალის პოზიცია მკაცრი და შეურიგებელი იყო, პიესა აკრძალეს,

მაგრამ მისმა ავტორმა იოსები იმედაშვილი სამხარეო კომიტეტში დაასმინა. იოსები იმედაშვილის მიერ აზიანის პიესა „დეზერტირკას“ წინააღმდეგ გალაშქრება ხელისუფლებამ საბაბად გამოიყენა და იოსები იმედაშვილს ჟურნალის გამოცემის გაგრძელებაზე უარი ეთქვა. იმედაშვილის საქადალდეში ნახავთ მის მიერ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის - მიხეილ კახიანისადმი მიწერილ წერილს, რომლითაც იოსები იმედაშვილი ეხმიანება პიესა „დეზერტირკას“ გარშემო განვითარებულ მოვლენებს. წერილში მწერალი აღნიშნავს, რომ მის მიერ პიესის შეფასება არაობიერებულად აღიკვეს, პიესის შინაარსი რედაქციის სუბიექტურ აზრად გამოაცხადეს, მიაწერეს ის, რაც აზრად არ ჰქონიათ და მთავლიტის განკარგულებით ჟურნალი დახურეს. წერილში რედაქტორი ითხოვს მთავლიტის სენებული განკარგულების შეცვლას და ჟურნალის გამოცემის გაგრძელებას ქვეყნის საკეთილდღეოდ. სამწუხაროდ, მისი სამართლიანი თხოვნა არ შეისმინეს და ჟურნალმა არსებობა საბოლოოდ შეწყვიტა.

ასე სევდიანად სრულდება გაყვითლებული ფურცლების ნაამბობი. იოსები იმედაშვილის ძველმა საქადალდემ მოგონებები, გარდასული დრიოს ქორნიკა, საქმე და საოქმედი შემოგვინახა.

ბეჭა თაყნიაშვილი

კატარა ქართველების საყვარელი ლექსი

ქართველთა მომავალ თაობას კარგად ახსოვს ბაგშვილაში, დაწყებითი განათლების ასაკში ნასწავლი ლექსი „მე პატარა ქართველი ვარ“. მისი ავტორი გახლავთ დუტუ მეგრელი (დიმიტრი ხოშტარია). პატრიოტულ ოემაზე აგებული ეს ლექსი პირველად გამოქვეყნდა 1901 წელს, ჟურნალ „ჯეჯილში“ (№ 10); შემდეგ ლექსი ავტორმა შეიტანა საკუთარი ლექსების კრებულში, რომელიც გამოქვეყნდა 1909 წელს. ლექსმა იმთავითვე შურადღება მიიყრო როგორც პატრიოტილი სულისკვეთებით აღსავს ქართველი კაცის ქმნილებამ; ლექსმა ადვილად შეაღწია პატარა ქართველების სულიერ სამყაროში, ხოლო მისი ავტორი წარმოაჩინა როგორც ეროვნულ-სარწმუნეობრივი იდეების, შეუპოვარი დამცველი. ლექსი „პატარა ქართველი“ ყველა ქართველის თჯახში იკითხებო-

და, კითხულობდა დიდი, პატარა, იგი სიმღერის საგნად იქცა, მღეროდნენ დები ჯაფარიძეები. ორ საუკუნეზე მეტმა განვლო მისი დაწერილან და ლექსი ვერ დაბინდა, ვერ წაშალა ქართველთა მეხსიერებიდან დროთა დროებამ. ლექსი იმთაც არის წარმატებული, რომ იგი გარდა პატრიოტული სულისკვეთებისა, მოზარდებში აღვივებს მოქმედებისა და მხედობის პათოსს.

დუტუ მეგრელმა ლექსს უწოდა „პატარა ქართველი“. ლექსის ხუთივე ტაები ასახავს პატარა ქართველის წადილსა და მისწრაფებას, რომ იგი, როგორც სახელოვანი ერის შვილი, მზადა იცოცხლის ისევე დირსეულად, როგორც ცოცხლობდნენ და იბრძოდნენ მისი წინაპრები. ლექსის დრმად პატრიოტული შინაარსი და შემართებული სულისკვეთებისაკენ მოწოდების პათოსი, ბეჭა ქართველში აღდ-



რავს ინტერესს მისი ავტორის ვინაობისადმი. დუტუ მეგრელი დაბადებულა 150 წლის წინათ, 1867 წელს, აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში. სწავლობდა ჯერ ქუთაისში, 1887 წელს გიმნაზიის სრული კურსის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა ოდესის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1891 წელს. 1894 წლიდან დაინიშნა ყოფილი ყარსის ოლქის ოლოისის მაზრის გადასახადთა ინსპექტორად. 1900-1917 წწ. მსახურობდა ერევნის გუბერნიის ნახიჩევანის მაზრაში.

საბავშვო ლექსებისა და მოთხოვობების წერა დუტუ მეგრელმა დაიწყო ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „თეატრში“ 1886 წელს „ოტიას“ ფსევდონიმით. პირველი მოთხოვობა გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“ 1888 წელს. დუტუ მეგრელი იყო მწერალი, პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი. იგი მე-19 საუკუნის 80-90-იანი წლების გარდამავალი პერიოდის ცნობილი პიროვნებაა. იგი დაახლოებული იყო ახალ თაობის წარმომადგენლებთან, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში თანმიმდევრულად იცავდნენ ეროვნულ თვითმყოფადობასა და ცნობიერებას. მისი შემოქმედების წარმართველი მოტივია სინამდვილის ასახვა საქართველოს იმდროინდელ სულიერ-ზნეობრივი და პატრიოტულ-რელი-

გიური სინამდვილისა, რომელიც ხასიათდებოდა მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე არსებული წინააღმდეგობრივი თვისებებითა და ნიშნებით. დუტუ მეგრელი სამართლიანად მიიჩნიეს რეალისტური სკოლის იდეების გამგარძელებლად. იგი დირსეული მემკვიდრეა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა ძირითადი ხაზისა და მიმართულებისა, რომელსაც ასაზრდოებდა ყოველგვარი ქართული ცნობიერება. დუტუ მეგრელის შემოქმედება განხილული აქვთ ქართული მწერლობისა და კრიტიკის დირსეულ წარმომადგენლებს: თ. სახოკიას, დ. კლდიაშვილს, ი. გომართელს, ეკ. გაბაშვილს, ი. ვართაგავას და სხვებს. დუტუ მეგრელი ახლოს მეგობრობდა კიტა აბაშიძესთან, რომელსაც მან რამდენიმე ლექსიც მოუძღვნა.

მისი შემოქმედება არაერთხელ გამხდარა ქართულ საბჭოთა კრიტიკოსთა ტენდეციური მსჯელობის საგნად; 1936-37 წწ. ქართველ კრიტიკოსთა ერთი ნაწილი დუტუ მეგრელს მიიჩნევდა „მუშა მწერლების“ წარმომადგენლად. დუტუ მეგრელის შემოქმედებამ, მისმა საბავშვო მოთხოვობებმა და პატრიოტულ მოტივზე დაწერილმა ლექსებმა სულ სხვაგვარი პიროვნება წარმოაჩინა ქართველ მკიონხელის თვალში. მისი საბავშვო მოთხოვობა „ქანაქანა“ და ლექსი „პატარა ქართველი“ სამართლიანადა მიჩნეული ქართული მწერლობისა და პოეზიის ნამდვილ შედევრად.

ლექსი „პატარა ქართველი“ იაკობ გოგებაშვილმა შეიტანა „დედაენის“ 1912 წლის გამოცემაში, ამავე საოაურით. ლექსიდან ამოღებულია ერთი სტროფი :

„ქვენის თვალი ეს ქვეყანა
ლვოსმშობლისა არის წილი,
ბევრ მწარე დღეს მოსწრებია
და უნახავს ბევრი ტკბილი.“

ამ ლექსის იდეური ხელყოფა დაიწყო ი. გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ. საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოებიდან ამოღეს ლექსის მე-3 და მე-4 სტროფები. „პატარა ქართველი“ ასევე შეიტანა ი. გოგებაშვილმა „ბუნების კარში“. „საყვარელი სამშობლოს“ პირველი 2 ტაქია შეტანილი 1913, 1914, 1919, წლების გამოცემებში. 1917 წლის გამოცემებში, მე-2 ნაწილში შეიტანეს ამავე საოაურით, აქაც პირველი 2 ტაქი. ლექსი არ არის შესული ასევე ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას მიერ შედგენილ „დედა ენაში“, რომლებიც გამოიცემოდა 1938-1939 წლებში.

1940 წელს საზეიმოდ აღინიშნა ი. გოგებაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავი. საქა-



როველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში არაფერი არ იყო ნათქვამი „დედა ენის“ გამოცემების შესახებ.

1940 წელს გამოიცა ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას მიერ შედგენილი „დედა ენის“ ორივე ნაწილი, მე-15 გამოცემა. აქაც არ იქნა შეტანილი დუტუ მეგრელის არც ერთი ლექსი. „დედა ენის“ ე. წ. საბჭოური გამოცემა დაიბეჭდა 1944 წელს. შედგენილ ნ. ბოცვაძისა და კ. ბურჯანაძის მიერ. ამ გამოცემებში შეიტანეს „საყვარელი სამშობლოს“ პირველი და მეორე სტრიქონები, აგრეთვე დუტუ მეგრელის ლექსი „დედა და შვილები“. ასევე 2 ტაქტია შეტანილი ვ. რამიშვილის მიერ შედ-

გენილ „დედა ენაში“, რომელიც დაიბეჭდა 2002 წელს.

როგორც ჩანს, ი. გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ „დედა ენის“ ყველა შემდგომ გამოცემებში „საყვარელი სამშობლო“ ქვეყნის მხრიდან მხოლოდ პირველი და მეორე ტაქტების სახით.

აღნიშნული ლექსი არ არის შეტანილი დაწყებითი განათლების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში, ლექსი დღესაც არ კარგავს თავის პატრიოტულ და ადმინისტრობით დირსებას. მის ავტორს დუტუ მეგრელს შეუსრულდებოდა დაბადებიდან 150 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით საჯარო ბიბლიოთეკებსა და სკოლებში ტარდება დონისძიებები.

1970 წელს ცალკე გამოიცა ეთერი კუბლაშვილის რედაქტორობით ლექსი „საყვარელი სამშობლო“ ილუსტრირებული გამოცემა. მისასალმებელი იქნება თუ ასეთი გამოცემის ლექსის სრულ ვარიანტს დაგენერირებულ დიდი ტირაჟით და სასწავლო წლის დასაწყისისათვის საჩუქრად დავურიგებთ პირველ კლასების.

ლიტერატურა:

მეგრელი, დუტუ წ. 1 . - ლექსები . - ტვ. 1909

მეგრელი, დუტუ, წ. 2 . - მოთხრობები . - ტვ. 1920

მეგრელი, დუტუ თხზულებანი . - თბ., 1998

მეგრელი, დუტუ მოთხრობები . - თბ., 1939

რადიანი, შ. მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურა, თბ., 1945

ქიქოძე, გ. - წერილები, ესეები, ნარკვევები . - თბ., 1935

ლომთაძე, ნ. დუტუ მეგრელი - ცხოვრება და შემოქმედება . - თბ., 2005

ფილოლოგიური ძირანი

აუსელან ნაუცი

0ლია ჰავაზაძე ეპიკული ენის შესახებ

ცერგდალეულებმა, ილიას ხელმძღვანელობით, წინ წამოსწიეს ეროვნული პრობლემა - ქართული ენის ფუნქციონირების აღდგენისა და მისი დაცვის

საკითხი. ილიასა და მისი თანამოაზრების ბრძოლა ენისათვის - ეს იყო, უპირველესად, პოლიტიკური ბრძოლა.

თუ წარმოვიდგენთ საქართველოს, რო-

გორც უუფლებო მხარის, მაშინდელ ვითარებას, როცა მშობლიურ ენაზე ლაპარაკიც კი იდექნებოდა, ცხადი გახდება, რატომ გადაიქცა ენის საციონი ახალი თაობის პირველი იერიშის საგნად.

ილიას ბრძოლა ქართული ენის გადასარჩენად, არის ეროვნულ-განმათვისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. ქართული ენისათვის უკომპრომისო ბრძოლა მან გადააქცია ეროვნულ-განმათვისუფლებელი მოძრაობის ძირითად მიმართულებად, რასაც მოლიანად საქართველოსათვის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა პქონდა.

ილია ჭავჭავაძის სტატია „ორიოდე სიტყვა თავად რეგაზ შალვას-ძე ერისთავის კოზლოვიდან „შეშლილის“ თარგმანზე ყუმბარის აყეოქება იყო.

გაოცებულია ილია, ერისთავმა „შეშლილი“ რომ თარგმნა: „ოუ კაცს რუსულიდან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი როგორ უნდა დაგვიწყდეს და მივარდეს წირპლიანს კოზლოვსა, მერე ნეტავ იმის ცუდ პოემებში უცუდესი მაინც არ ამოერჩივა თავად ერისთავს.“

„დიახ, კარგად მოქცეულა თავადი ერისთავი, რომ პუშკინისა და ლერმონტოვისათვის ხელი არ უხდია, თორემ ამათ ქმნილებაც ისე წარეხდინა, როგორც წარუხდენია კოზლოვის „შეშლილი“, სწორედ დავთის გმობა იქნებოდა.“

ილია აღნიშნავს, რომ „თარგმანი“, როგორც თარგმანი ხომ არ ვარგა, ენა უფრო უვარგისი აქვს თავად ერისთავსო .როცა ვკითხულო „შეშლილს“, სწორედ უნდა მოგახსენოთ, რომ ხან გვეცინებოდა, ხან გვეწყინებოდა, რომ ეგრე უენო ენად ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენა, რომელზედაც დაიღიძინა ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი“, ის ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი დავთიური სიმღერები თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ, კაცმა როგორ უნდა გაიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გაუმეტნია! ამისთანა წერაში არამც თუ იყოს ენის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიობაა და სიძულვილი“.

აქვე აკრიტიკებდ ილია ქურნალ „ცისკრის“ რედაქტორს კერესელიძეს, რომელმაც აღნიშნული თარგმანი დაბეჭდა და ამ თარგმანს „საშიშ თარგმანს“ უწოდებს.

„სამი დავთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპაოაგან: ენა, მამული, სარწმუნოება, თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემო შოამომავლობას? სხვისი არ ვიციოთ და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ

დავუომობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საცუორებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.“

„სადაც აზრი არ არის, წერს ილია, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია. მერე მე არსად გამიგია, რომ უაზრო ენა იყოს სადმე, აზრი და მხოლოდ აზრი აძლევს ენას მნიშვნელობას...უნიჭო და უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისას“. ილია წერს:

„სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვიდოდა-და ქართული, რაც ჩვენ თვითონ, ჩვენდა დასადუპავად ქართველობაზედ ხელი ავიდეთ? გონებით რომ ადარ ვცხოვრობთ, ქართულ ენას აზს როგორდა გამოვათქმევინებთ? ერთობისათვის რომ ადარ ვართ, ერთნაირი სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვთხოვთ ჩვენს ენას?..საერთო სახელი ქართველი კერძოობითად გავხადეთ, მამული დანეხვილ ნაფუძვრად გადავაქციეთ, პატივი - ნეხვად, თავი - გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდენ მივიყანეთ, რომ კაცი კაცს ადარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ და ამის შემდეგ კიდევ გინდათ, რომ ენა გვქონდეს?“

ილიას ენა ეროვნულობის არსებით ნიშნად მიაჩნია, ენა და ერი მჟიდორი კავშირში არიან ერთმანეთოან. ენის ამაღლება ერის ამაღლებას ნიშნავს, ენის დაცემა, ერის დამდაბლების, ერის კულტურის დაცემის მაუწყებელია.

„მტერობა ენის, არს მტრობა ქვეყნის - მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენ,“ - ასე მიაჩნდა ილიას.

ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ ენა ისტორიული მოვლენაა და დროთა ვითარებაში ის ვითარდება. „მამების“ მოსაზრებას, თითქოს ენის ფორმები მარად უცვლელი და ერთნაირი ყოფილიყო, ილია პასუხობდა, რომ ენა ისევე ემორჩილება განვითარების კანონებს, როგორც სხვა მოვლენა. ამდენად, მველი თაობის ანტიმეცნიერულ შეხედულებას უპირისპირდება ილიას სადი აზრი, მეცნიერული შეხედულება ენის ბუნებისა, კანონისა და განვითარების შესახებ. ილია ენას ერის განძს უწოდებდა.

80-იან წლებში ილია იბრძვის ქართული ენის უფლების დასაცავად სკოლებში. საქმე იქამდე მივიდა, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ 1881 წელს განიზრახა ქართული ენის სრულად გაძევება სკოლიდან.

ილია სასტიკად შეებრძოლა იანოვსკის და მის დამქაშებს. „ჩვენთან რომ ეგრე დაუინებით და უკან დაუხევლოდა ვთხოულობთ დედა-ენი-

საოცის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სახავლებელში, - ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგდის, ვთხოვლიბო და ვნატრულობო იმიტომაც, რომ უდედა-ენაოდ გონების გახსნა ბავშვისა, ყოვლად შეუძლებელია, მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა.“

ილიას ბრძოლა უშედეგოდ არ დამთავრებულა, მინიმალური უფლებები, რომელიც ქართულ ენას შერჩა სკოლებში, შედეგი იყო თავგამოდებული და შეუნელებელი ბრძოლისა ქართული ენის უფლებებისათვის, რომელსაც ილია და მისი თანამოაზრები აწარმოებდნენ.

1881 წლის მარტში „შინაურ მიმოხილვა-ში“, რომელიც „ივერიაში“ დაიბეჭდა, ილია გაბედულად აყენებს საკითხს მშობლიური ენის მაღალი უფლების შესახებ, „არ სებითი ნიშანი ეროვნულობისა, მისი გული და სული - ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა, ყველაზე უწინარეს ენას მისწვდა.

1884 წლის 14 იანვარს იანვარსკიმ ხელი მოაწერა დადგენილებას ქართული ენის აკრძალვის შესახებ სამეგრელოს სკოლებსა და ეკლესიებში. ამ ვერაგულმა განხრახვამ უდიდესი აღმფოთება გამოიწვია სამეგრელოს მოსახლეობაში, ამ პროტესტის დროს მათ გვერდით ედგათ ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფინი, აკაკი წერეთელი და პროგრესულად მოაზროვნე ქართველობა დასი.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება,“ რომელიც ილიას ინიციატივითა და ძალისხმევით დაარსდა, მიზნად ისახავდა, წინააღმდეგობა გაეწია

ველიკორუსული შოვინიზმისათვის, რომელიც ემუქრებოდა ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ქართულ ენას, ქართულ სკოლას.

ილია დიდ როლსა და მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულ თეატრს. წერილში, რომელიც „ივერიაში“ დაბეჭდა 1879 წელს, იგი წერდა: „ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს საგარჯიშო, ჩვენი ეგრეთ წოდებული მაღალი საზოგადოება თავის სამარცხინო თავილობს თავის დედა-ენის ლაპარაკსა. ნათქამია, თევზი თავიდან აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც, ჩვენს ეგრეთ წოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკირდებით, ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური საუბარი, ის სამური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა, აღარ ისმის, აღარ არის, გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგან ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ თბება. ამისთანა სავალალო და სამარცხინო მდგომარეობაში ქართული სცენა სწორედ ცის ნამია დამჭკნარი ყვავილისათვის... ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვაქმნება, საცა ჩვენის ენით ვიდესნო, ჩვენის ენით ვინაღვლებო, ჩვენის ენით მოწყალებით გავატარებო თვალწინ ჩვენს ცხოვრებასა.“

ლიტერატურა:

ბაქრაძე, აკაკი. ილია ჭავჭავაძე. - თბ., 1984.

ხუნდაძე, ტ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. - თბ., 1960.

ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი 1935წ.

მეუნარგია, ი. ილია ჭავჭავაძე. - თბ., 1937.

ცაჟავჩა ბუნი

თეოდო სახორპია და იაკობ გოგიაშვილი



ედო სახორპიასა და იაკობ გოგებაშვილს - ასაკობრივად საუკუნის მეოთხედი აშორებდათ ერთმანეთს, თუმცა ეს სრულებით არ იყო მთავარი განმსაზღვრელი მათი ურთიერთობისა, ორივე მათგანმა, საქართველოს მსახურებაში გალია ცხოვრება.

XIX ს.-ის მეორე ნახევრისა და XX ს.-ის პირველ ნახევარში საზოგადოებრივ სამსახურში მოღვაწე ქართველის, ერთიანად უხდებოდათ ბრძოლა ქართველი ერის სულიერების აღო-

რძინების, საუკუნეებგამოვლილი - ქართული ცნობიერების, ქართული იდეალების, ქართული ენის დაცვა-შენარჩუნებისათვის.


თეოდო სახორპია დაიბადა სამეგრელოში, იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენის“ სწავლამ, ჯერ კიდევ სამეგრელოში (მარტვილში) არ-სებულ ერთადერთ სასწავლებელში მოწყია. მეტად საინტერესოდ აღწერს თეოდო სახორპია თავის მოგონებანში „როგორ ვიზრდებოდით ძველად“, სასწავლებელს და იქაურ სწავლას, საუბრობს „დედა-ენის“ პირველად გამოცემა-

სა და ამ „დედა-ენიო” სწავლის დაწყებაზე.
 „იაკობ გოგებაშვილის „დედაენა”, რომელ-
 ზედაც აღიზარდა ჩემი შემდგომი თაობა,
 პირველად 1876 წელს გამოვიდა და ბავშვებს
 სულზე მოგვისწრო მეორე მოსამზადებელში.
 ეს იყო პირველი სახელმძღვანელო ქართულ
 ენაზე ქართული ენისათვის შედგენილი, ქა-
 რთულ ცხოვრებაში ან შეფარდებით. როცა
 მასწავლებელმა თბილისიდან ჩამოიტანა და
 ორ-ორ აბაზად დაგვირიგა ეს წიგნი, ყველას
 უზომოდ გვიხაროდა. გვახარებდა მისი ყდა
 და სურათები. გვიხაროდა მისი ფურცელი.
 სოფლის ნაცნობი ცხოვრების სურათების
 ნახვა, ოუმცა როგორც პირველი გამოცემა,
 ძალიან განსაზღვრულ რიცხვს შეიცავდა
 სურათებისას. გარეკანს მაშინვე ქადალდი
 შემოვაკარით გარედან და ასე სათუთად ვი-
 ნახავდით. ადვილად და ხალისით ვკითხუ-
 ლობდით შეიძლებულ
 მოთხოვობებსა და ლექსებს,
 ოუმცა ბევრი სიტყვისა არა
 გვესმოდა რა, ასეთები იყო ქა-
 რთლები ხმარებული ქართლელ
 ბავშვებისათვის საყველპურო
 სიტყვები, განსაკუთრებით საო-
 ჯახო და სამეურნეო იარაღების
 სახელები, მაგალითად: გუთანი,
 არნადი, კვრი, კალო, ხვავი და
 სხვა. რაც სახელმძღვანელოში
 საზეპირო იყო, ვზეპირობდით,
 „დედაენის” საზეპიროსაც არ
 გავურბოდით, მით უფრო, რომ ეს
 უკანასკნელი უფრო გასაგები
 იყო, ოუმცა ვერ ვიტყვით, ხალ-
 ისიანად ვსწავლობდით მეთქი”.

(1)

XIX ს-ის დასასრულს თედო სახოკია აფხ-
 აზეთში აგრძელებს თავის საზოგადოებრივ
 საქმიანობას. თავისი სიტყვით, ებრძვის რუ-
 სულ იმპერიალისტურ პოლიტიკას აფხაზ-
 ეთში, საერო და სასულიერო სფეროში ქარ-
 თული ენის სწავლის აკრძალვას. 1890-იანი
 წლებიდან ვიდრე გადასახლებამდე, ის იყო
 აფხაზეთში „ქართული პარტიის“ სახელით
 ცნობილი პარტიის ხელმძღვანელი. თედო
 სახოკია ერთ-ერთი იმათოგანია, რომელიც
 ყველაზე მეტად ხედავდა აქაურ მკვიდრთა ქა-
 რთული სულიერებისაგან მოწყვეტას, იძრძო-
 და რუსული ბიუროკრატიზმის მიერ საქართ-
 ველოს ამ მხარის გარუსების წინააღმდეგ.

აქ მიმდინარე პროცესები დაედო სათავედ
 თედო სახოკიას საზოგადოებრივი სარბიე-
 ლის საწყისებზე მოვლენათა შუაგულში
 ტრიალს. აქედან იწყება თედო სახოკიას
 დაახლოება ქართველ ინტელიგენციასა და



თედო სახოკია

საზოგადო მოდგაწებოან, რომელთა დახ-
 მარებით იქ აფხაზეთში აკეთებდა ქართულ
 საქმეს.

იაკობ გოგებაშვილმა ჯერ კიდევ სასულიე-
 რო სემინარიაში სწავლის დროს ფილტვების
 ანთებით დაავადებულმა, 1875 წლის ზამთარი
 სოხუმში გაატარა, „იქაური თბილი ჰარიო
 დასასვენებლად და სამკურნალოდ”(2) და ამ-
 დენად, კარგად იცნობდა აფხაზეთს, იქ მიმ-
 დინარე მოვლენებს, რომ, სოხუმელთა საერთო
 სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახ-
 უებული.

თედო სახოკიასა და იაკობ გოგებაშვილ-
 ზე საუბარს თედო სახოკიას მოგონებიდან
 „ჩემი საუკუნის ადამიანები” - დავიწყებ. მოგონებიდან ირკვევა, თუ რა ახლო ურთიერ-
 თობა აქვს მას, ქართველი ერისათვის საა-
 მაყო შვილთან - იაკობ გოგებაშვილთან; მას
 ბედმა არგუნა, - „გამოსული-
 ყო საზოგადო სამსახურის ას-
 პარეზზე იმ დროს, როცა მის
 გარშემო წყვდიადი მეფობდა, ყო-
 ფილიყო ქართული მოაზროვნე
 საზოგადოების იმ მცირე ჯგუ-
 ფის წევრი, რომელსაც წილად
 ხვდა „ქართველთა შორის
 წერა-კიოხევის გამავრცელებე-
 ლი საზოგადოების” დარსება
 და მხარში ამოსდგომოდა დიმი-
 ტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძეს,,
 მშობლიური ენა დევნილი იყო
 სკოლებში. არისტოკრატიას ერ-
 ცხვინებოდა ქართულად ხმის
 ამოდება, თავმოსაწონად მიაჩნ-
 და რუსულად ლაპარაკი, ისე-
 დაც თითზე ჩამოსათვლელი

ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსუ-
 ლადვე მეტყველებდა... ქართული ენის შეს-
 ასწავლად ორგვერდიანი ანბანი არსებობდა...
 (3)

1898 წლიდან კი თედო სახოკიამ, როგორც
 ქართული უურნალ-გაზეთების ფურცლებზე,
 ასევე იმპერიის მასშტაბითაც დაიწყო აფხ-
 აზეთის შესახებ მასალების გამოქვეყნება, რო-
 გორც ზემოთ აღვნიშეთ, ის იქაური მკვიდრი
 იყო და მჭიდრო კავშირი ჰქონდა აფხაზეთის
 მოსახლეობასთან, ხშირად ჩადიოდა სოხუმში,
 ხანგრძლივად ცხოვრობდა იქ და ადგილო-
 ბრივ სახელმწიფო საქმეებში მონაწილეო-
 ბას იღებდა. ამავე პერიოდში მეფის მთავ-
 რობამ გააძლიერა აფხაზეთში კოლონიური
 პოლიტიკა. აფხაზეთის თავისუფალ მიწა-წე-
 ალზე ასახლებდა გერმანელებს, ესტონელებს,
 რუსებს, ბერძნებს, ავიწროებდა აფხაზებს და
 ქართველებს. რუსეთის კოლონიური პოლი-

ტიკის მიზანი - აფხაზეთის ჩამოცილება საქართველოდან და მისი ასიმილაცია იყო. ამ მიზნით ცხადი იყო, რომ აფხაზეთიდან იდევნებოდა ქართული ენა, დევნილი იყო საქართველოს ეკლესიაც, ქართული კულტურა. აფხაზები მოსწყდნენ ქართულ სამყაროს.

და აი, ასეთ დროს საქართველოში, იგივე ითქმის აფხაზეთის სინამდვილეზე, გამოდის იაკობ გოგებაშვილი თავისი „დედაენიო“ და ცდილობს, დანერგოს სკოლებში ქართული ენა, მოწაფეს მშობლიური ენის შესათვისებლად, - „დედაენა“ ჰქონდეს საძირკველად ყრმის.

აფხაზეთის სინამდვილის რეალური სურათი ქართულ საზოგადოებას დაანახა თედო სახოკიამ. სკოლა, რომელიც მთელ აფხაზეთში ერთადერთი იყო, სადაც მხოლოდ აფხაზ ბავშვებს იდებოდნენ, („მთიელთა სკოლა“ («Горская Школа»)). ამ სკოლას პანსიონი ჰქონდა და აფხაზ ბავშვებს სახელმწიფო ხარჯით ზრდიდნენ. „სწავლა, რა თქმა უნდა, რესულად წარმოებდა. ვერც-კი წარმოებდინათ, თუ არა რესულით, სხვა ენის საშუალებით წერა-კითხვის სწავლება შესაძლებელი ერთილიყოს“ (4)

თედო სახოკიას ერთ-ერთ ხელნაწერში აღწერილი აქვს „მთიელთა სკოლის“ ისტორია, „დაარსდა ეს სკოლა 1863 წელს აფხაზების მიზნით, შესდგებოდა ორი ძირითადი და სამი მოსამზადებელი კლასისაგან. სწავლობდნენ აფხაზეთის სოფლებიდან ჩამოვანილი ბავშვები.... ესმოდათ მხოლოდ და მხოლოდ რესული ენა, ენატრებოდათ თავისი დედაენის გაგონება, თავისიანებოთან ყოფნა. ამ ანტიპედაგოგიურ ატმოსფეროს, იშვიათად თუ ვინმე უძლებდა ბოლომდე, ბავშვების უმეტესობა მეორე მესამე მოსამზადებლიდან გამოდიოდა და ადარ უბრუნდებოდა სატანჯველად მოვლენილ მასწავლებლებს. განსაკუთრებული ნებისყოფისა და ნიჭის მქონე ბავშვი თუ ახერხებდა „მთიელთა სკოლის“ კურსის დამთავრებას, ამ სკოლაში კურსდამთავრებულებს, გიმნაზიაშიც გზავნიდნენ, მაგრამ არა მახლობელ ქუთაისის თუ თბილისის გიმნაზიაში, არამედ შორს რესეტში სტავროპოლის გიმნაზიაში, რომ სოხუმში დაწყებული აფხაზეთის ბავშვებისა გარუსება, რესეტის გიმნაზიაში დამთავრებულიყო. თვლიდნენ, რომ საქართ-

ველოში ჩამოსული რესი მოხელეების მსგავსად, ადგილობრივი მკვიდრნიც ძალაუნებურად შეიქმნებოდნენ რესეტის ხელმწიფის სამსახურისა და სამკერატორო კარის ინტერესების დამცველნი თავიანთ მშობლიურ, მკვიდრ ქვეყანაში. (5)

თედო სახოკიას აღწერილი აშკარაა, თუ როგორი მდგომარეობა იყო იმ პერიოდის სოხუმის სინამდვილეში სწავლა-განათლების მხრივ, აქედან გამომდინარე, ცხადია, რამდენად ახლო მიმოწერა ენებოდა თედოს ამ საკითხებზე იაკობ გოგებაშვილთან.

1896 წელს რესეტში გამოვიდა ვინმე პოპოვის მიერ შედგენილი რესული ენის სახელმძღვანელო. ეს წიგნი, რესეტის ბუნებასთან თუ ცხოვრებასთან შეფარდებული, რესი ბავშვებისათვის შედგენილი, სოხუმის საეპარქიო მთავრობამ აფხაზეთისა და სამურზაფანოს აფხაზურ და მეგრულ სკოლებში სახელმძღვანელოდ შემოდო, რითაც დარღვეული იყო სადი პედაგოგიკის ფოგლგვარი ელემენტარული მოთხოვნილება - ცოდნის შეფიცება ბავშვებისათვის გასაგები ენის საშუალებით. ხოლო ეს წიგნი აიძულებდა მეგრელ და აფხაზ ბავშვებს მათვის გაუგებარი რესული ენის საშუალებით ესწავლათ რესული ენაცა და საგანიც. ამგვარად, მათინჯდებოდა მათი გონება, და ენას, რომელიც თუთუყშივით უნდა ეზეპირებინათ, სამუდამოდ შეიძლებადნენ.

სწორედ ამ წიგნს სოხუმის დან უგზავნის თედო იაკობ გოგებაშვილს და სოხოვს, დაწეროს რეცენზია რომელსამე რესულ გაზეთში, „თავისი ავტორიტეტული ხმა აიმაღლოს, მეგრელ-აფხაზი ბავშვების გონებრივი დაჩლუნგების წინააღმდეგ“. წერილის პასუხი იაკობმა სოხუმელებს წერილოთვე აცნობა. მოგვყავს ამ წერილის ამონარიდები:

ბ ა ტ ო ნ თ თ ე დ თ!

ოქვენი ორივე წერილი მივიღე თავის დროზედ, პირველ წერილთან მომივიდა ორი რესული წიგნი გასარჩევად. ეს წიგნები მეკარგა ხანია მოპოვებული მქონდა. მაგრამ არ გავარჩიე, რადგანაც ცხადზე უცხადესია, რომ წიგნი, შედგენილი რესი ბავშვებისათვის, არ გამოდგება აფხაზებისა და მეგრელებისათვის. მე იმ აზრისა ვარ, რომ საქმიო უნდა ვებრძოლოთ მანდ უკუდმართობას და არა მარტო წერითა. ერთი დიდი და უდიდესი საქმე



იაკობ გოგებაშვილი

კერძო სკოლის გახსნაა მანდ, იმისთვისა სკოლისა, როგორიც არის ბათუმში. წერა-კითხვის საზოგადოებას არ მისცემენ ამის ნებას. ქართული სკოლის გახსნას, სხვაგანაც კი გზები შეუკრეს, - კერძო პირს კი უარს ვერ ეტყვიან, რადგანაც კერძო სკოლის გახსნის უფლება აქვს ყველას. ვისაც კი განათლების ცენზი მოუპოვებით. ამისთვისა კერძო სკოლა შეიძლება გახსნას ან ერთმა პირმა, ან ორმა, ფასი დააწესოს სწავლისა და დაქმაროს მანდაური საზოგადოება ... წერა-კითხვის საზოგადოება შეეწევა წიგნებითაც და ფულითაც. ხარჯის შესამცირებლად სკოლა ჯერჯერობით იქნება ერთკლასიანი, ოთხი წლის კურსით. მხოლოდ, ორი განყოფილების მეტი არ ჰქონდეს. ბავშვები უნდა მიიღებოდნენ ორ წლიწადში ერთხელ. ამისთვის სკოლა უპანსიონიდ წლიწადში დაჯდება ოთხმოცი თუმნიდან ას თუმნამდე. მასში უნდა იარებოდნენ როგორც ვაკები, ისე ქალები ერთად. იგი იქნება რუსულ-ქართული. სჯობია, სწორედ ისეთი, როგორც ბათუმში. ამის უფლება კერძო სკოლის დამაარსებელს ყოველთვის აქვს. მას შეუძლიან, სადაც უნდა, დაარსოს თუნდა ნებეცური, მხოლოდ რუსული საგადადებულო უნდა იყოს.

ძალიან კარგს იზამთ, თუ კორესპოდენციას გამოვზავნით რომელსამე რუსეთის გაზეთში შესახებ იმისა, თუ რამდენად აბრკოლებს მანდაურს სკოლებში რუსული ენის წარმატებას, შესწავლას პოპულის წიგნი, რომელიც შედგენილია არა აფხაზეთის ბავშვებისათვის, არამედ რუსებისათვის.

იმედი მაქვს, თქვენ მანდ ძლიერ დაეხმარებით გაძლიერებას იმ წარმართი მიმართულებისას სოხუმის საზოგადოებაში, რომელსაც ასეთი მტრული თვალით უყურებენ უშუალმართნი და ადამიანის მოძულე პირი.

ვისურვებ თქვენს სიცოცხლეს და ნაყოფიერს მოქმედებას საზოგადო ასპარეზზედ ჩვეულებრივ მნიერით. თქვენი ერთგული იაკობ გოგებაშვილი. (6)

მიმოწერა შემდგომ წლებშიც გრძელდება; თედო სახოკია იტყობინება აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს: „აქეთკენ ჩვენი საქმე სულ უარესად მიდის, ეპისკოპოსმა აქაურმა, ლამის არის, ჩვენი ხორცი შესჭამოს. წმ. ნინობას ქართული წირვის ნება ვსოხვეთ, კინადამ გადაირია ბრაზისაგან. ამიერიდან არ მოხვიდეთ და მაგგვარი რამ არა მოხვიდოთ. ვინ ნინო, ვინ წმინდანიო!... ვაპირებთ უმაღლესი მთავრობის წინაშე ვუზივლოთ. აქაურმა საბჭომ (სამოსწავლომ) ამაზე წინად დაადგინა აქაურს სამრეკლო სკოლებში დავიცეის სახელმძღვანელო შემოიდონ”.(7)

1899 წელს სოხუმში პირველად იქნა შე-

მოდებული საქალაქო ოვითმართველობა, ქალაქის საბჭოს ხმოსნების გადაწყვეტილებაც ქალაქისოფად აერჩიოთ ალექსანდრე სარაჯიშვილი, ამის თაობაზე რჩევა საზოგადოების მეთაურ და ცნობილ ადამიანებს პკიოტებს; თედო სახოკია ასახლებს რა თქმა უნდა, იაკობ გოგებაშვილს, რომელმაც პასუხად მოსწერა: „საერთოდ მანდაურ ქართველობას გმართებოთ დიდი ტაქტით მოიქცეოდ და რუსებსა და ქართველებს შორის არ გაამწვაოთ ურთიერთობა. ყოველი ჯგუფი ადამიანებისა, მაშინ დაიმსახურებს პატივისცემას და გავლენას, როდესაც ღირსეულად, დარბაისლურად იცავს თავის საზოგადო ინტერესებს და ამავე დროს არ არღვევს სხვების კანონიერ ინტერესებსა. ჩვენში ამ მხრივ თრი უკიდურესობა არსებობს: ზოგნი ლაქტიურად ელაქტცებიან რუსებსა და იმცირებენ თავსა, ზოგნი მამლაყინწურად ამაყობენ, წილაკიანობას მისდევენ და საზოგადო საქმეს აფუჭებენ. ერთადერთი ღირსეული გზა კი იმაში მდგრმარეობს, რომ შეგნებით და დარბაისლურად დავიცეათ ჩვენი ინტერესები და სხვებსაც წყენა და ვნება არ მივაყენოთ მათს კანონიერს და სამართლიანს მოთხოვნილებაში. თუ ტაქტით და წინდახედულობით მოვიქცევით და ამავე დროს ყოველს ჩვენს საარსო მოთხოვნილებას, ინტერესს, ფხიზედ გუშაგად აღმოვუჩნდებით”.(8)

კიდევ ერთ შესვედრას იხსენებს იაკობ გოგებაშვილთან თედო სახოკია 1905 წლის გაზაფხულზე: „როცა ამ წლის რევოლუცია იწყებოდა, როცა გულში გვესახებოდა ტახტიდან რუსი ხელმწიფის ჩამოგდების იმედი, როცა ვფიქრობდით მალე გვენასა განთავისუფლებული საქართველო, ულმობელი მტრის კიროებისაგან განთავისუფლებული ქართული ენა, თავისუფალი ქართველი მშრომელი ერი... იაკობს ამ საერთო მხიარულებისა და აღტაცების უამს დაკიწყებოდა თავისი განუწყვეტელი ჩივილი ავადმყოფობაზე, 65 წლის კაცს თვალები 25 წლის ახალგაზრდასაციო უბრწყინვადა, მოელ სახეს სიხარულის სხივი გადაჰყენოდა, წლებში გასწორებულიყო, თავი მაღლა აეღო, ხმას მეტი რიხი და სიოამამე მოამატებოდა. - მგრინი გვეშველოს, - მითხრა მხიარულად იაკობმა, - რაც ამდენ ხანს, ოცნების საგნად მიგაჩნდა, ახლა რეალობად გახდეს, შრომამ ფუჭად არ ჩაგვიაროს... ბედნიერები ხართ ახალგაზრდები, რომ ყველაფერს მოესწრებით... მე კიდევ ვეცდები, ჩემი „დედაენა“ უკეთესად გადავაკეთო, გადავახალისო, შევავსო განახლებულ თანამედროვე ცხოვრებისა და პირობათა მიხედვით, ამდენი ხნის მონობისგან განთავისუფლებული ხალხის საჭიროებისა და მოთხოვნილების

თანახმადო”.(9)

იაკობ გოგებაშვილი თავისი „დედაენითა” და საზოგადოებრივ სარბიელზე თავისი სამართლიანი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდა „ჩვენი საზოგადოების გამოფხიზლებისა და ეროვნულობის გზაზე დაყენებისათვის”. (10)

ამ შეხვედრის შემდგომ მოვლენები სხვაგვარად წარიმართა: თედო სახოკია საქართველოში იარაღის შემოტანის საქმესთან დაკავშირებით გადასახლებულ იქნა შორეულ ციმბირში „საუკუნო საცხოვრებლად”, თავად გადმოგვცემს: „1905 წელსავე რევოლუციამ დამაშორა იაკობ გოგებაშვილსა და თბილისს. 1908 წელს ამ რევოლუციასთან დაკავშირებით ციმბირიც ვნახე. 1909 წელს გაზაფხულზე განვითარა იქიდან ვტოლვილვიყავ და რადგან ამისათვის, უწინარეს, ფული იყო საჭირო, იაკობ გოგებაშვილს წერილით ვაცნობე ჩემი განზრახვა და ვთხოვე ტელეგრამით მოეწოდებინა ხუთი თუმანი. ჩემი წერილი მოსვლოდა თუ არა, დაუყოვნებლივ გამოეგზავნა ნათხოვნი თანხა. „უნდა ვიოტო... სამშობლოში მეგობრებსა და პატივისმცემელთ ვუზიარებო ჩვენს განზრახვას და ვთხოვთ შეგვაძლებინონ აქედან გასვლა აწ განსვენებულმა იაკობ გოგებაშვილმა და თედო ქორდანიამ დაუყოვნებლივ ხუთ-ხუთი თუმანი მომაწოდეს ტელეგრამით. (11)

შემდგომ ამისა, დაბრუნებული თედო სახოკია მიემგზავრება ემიგრაციაში: - საფრანგეთში ვიდრე 1916 წლამდე, სანამ მისი განთავისუფლება არ მოხდა.

თედო სახოკია მოგონებათა კრებულში კი ასე ამთავრებს თხრობას იაკობ გოგებაშვილის შესახებ: „1912 წელს იაკობ გოგებაშვილი ავად გამხდარიყო. ჩვენი საყვარელი მწერალი და მისი ნამოწაფარი და მეგობარი ნიკო ლომოური მისულიყო სანახავად. მოეკითხნა, ნუგაში ეცა, მალე მორჩენა უსურვებია და გამოთხვებისას ხელზე მთხვევია. იაკობს უთაკილია ასეთი პატივისცემა და უთქვამს: - შე კაი კაცო, დეკანოზი ხომ არა ვარ, ხელზე რომ მემთხვევიო ?!

- შერცხვეს ის დეკანოზი, შენზე მეტად დირსი იყოს ხელზე მთხვევისაო, - უპასუხა, თურმე მისმა უსაზღვროდ პატივისცემელმა და მათაყვანებელმა ნიკო ლომოურმა.

მომაკვდავისათვის მეტად აუზუყებია გული ნიკო ლომოურის მხრივ ასეთი ყურადღებისა და სიყვარულის გამოხატვას და ოვალებზე ცრემლი მოპრევია.

ასეთი სიყვარული და ასეთი პატივისცემა დიახაც, დაიმსახურა იაკობ გოგებაშვილმა თავისი მადლიერი ერისაგან ... ნიკო ლომოური მხოლოდ გულწრფელი გამომხატველი იყო ამ საერთო სიყვარულისა.” (12)

ამ ორმა პიროვნებამ, საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებულად საინტერესოდ დაიმკვიდრეს ადგილი: - ერთმა „დედაენის” შექმნით და მეორემ, ამ „დედაენით” - აღზრდილ და ერისათვის დამაშვრალად მებრძოლ, ქართული სიტყვიერების დაცვით.

თედო სახოკიასა და იაკობ გოგებაშვილის ურთიერთობა ფასდაუდებელი განძია ქართველი ხალხის ისტორიაში. იაკობ გოგებაშვილმა „დედაენით”, - მამული, ენა, სარწმუნოებას - დაუმატა მეოთხე - ქართული სკოლა, მომავალი თაობის აღზრდის სათავე. ამით ქართველი ხალხის ცნობიერება ახალი შარავანდებით შემოსა.

თედო სახოკიას ცხოვრება ერის სამსახურში ყოფნა იყო, იგი სიტყვითა და საქმით რუსულ იმპერიალისტურ პოლიტიკას. ქართული უპირისპირდებოდა „რუსიფიკატორულ პოლიტიკას”.

ამ ორმა პიროვნებამ საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. ერთმა „დედა-ენის” შექმნით, მეორემ, როგორც ამ „დედაენით” აღზრდილმა და ერისათვის დამაშვრალად მებრძოლმა - ქართული სიტყვიერების დაცვით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სახოკია თედო - მოგონებანი: - „როგორ ვიზრდებოდით ძველად” – თბ., საბლიოგამი, 1955. გვ. 77.
2. სახოკია თედო - მოგონებათა კრებული: „ჩემი საუკუნის ადამიანები” – თბ., 1985. გვ.43; 49.
3. სახოკია თედო - კრებული; თბ., 1956. გვ. 204.
4. პ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი: თედო სახოკიას პირადი ფონდი; №73, ფ.125.
5. გიორგი ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი. ბ. - 11154.
6. პ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი - იაკობ გოგებაშვილის პირადი ფონდი ბ. №158.
7. გიორგი ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი. ბ. - 11156.
8. სახოკია თედო - მოგონებათა კრებული: „ჩემი საუკუნის ადამიანები”. თბილისი 1985. გვ. 51.
9. ენა, მამული, სარწმუნოება. - თბ., 2010. გვ. 382.
10. სახოკია თედო – ციმბირში მოგონებანი: 1905 წლის რევოლუციის დროიდან – თბ., 2012. გვ. 139.
11. სახოკია თედო - მოგონებათა კრებული: „ჩემი საუკუნის ადამიანები”. – თბ., 1985. გვ. 43.

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიას
ბიბლიოთეკარის რეცეპტი**

მომზადების დრო:	2 თვე
სირთულე:	
ყველაზე მეტად უხდება:	<p>ყველა ასაკის მომზადებლის, განსაკუთრებით ახალგაზრდების სიძნელებისა და სურვილების შესწავლა, მათი დახმარება.</p>

რა იყო „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკის“ წარმატების რეცეპტი საყულიას ბიბლიოთეკაში?

ამ პროექტში ჩართვამდე ჩემი სოფლის ბიბლიოთეკა, სავალალო მდგომარეობაში იყო, როდესაც ამ პროექტში ბიბლიოთეკის მონაწილეობა გადაწყდა, ბიბლიოთეკის მდგომარეობით მთელი სოფელი, მუნიციპალიტეტი და კერძო ბიზნეს სექტორიც კი დაინტერესდა.

სოფლის ბიბლიოთეკას გადმოგვეცა 3 თანამედროვე კომპიუტერი, ინტერნეტითა და ძლიერი Wi-Fi-ით, ასევე პრინტერი, ქსეროქსისა და სკანერის აპარატი.

ამის შემდეგ სოფლისა და ბიბლიოთეკის ცხოვრების სრულად ახალი ეტაპი დაიწყო. ბიბლიოთეკა ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ ცენტრად, დღეს სოფელში არ არსებობს ისეთი საკითხები, რომლის მოსაგვარებლად და საკითხის გადასაჭრელად ბიბლიოთეკაში არ იკრიბებოდნენ.

**მზარეული ბეჭან კოლუაშვილი,
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიას
ბიბლიოთეკარი**



ინგრედიენტები :

- კომპიუტერული ტექნიკის არსებობა
- მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი, Wi-Fi
- კომპიუტერული უნარ-ჩვევების ცოდნის ამაღლება
- ადგილობრივი გამგეობის მხარდაჭერა
- თანამშრომლობა სკოლასთან, საბავშვო ბაღთან, კულტურის ცენტრთან
- ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა
- ბიბლიოთეკის გვერდის არსებობა
- ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნების შესწავლა

კომპიუტერული ტექნიკის მიღების

შემდეგ დავიწყე ბიბლიოთეკაში

არსებული კომპიუტერული სერვისების

რეკლამირება, ამას ვახერხებდი სოფლის

თავშეყრის ადგილებზე, გაჩერებებზე და

სამარშუტო ტაქსებში ინფორმაციის

გამოკვრით.

ბიბლიოთეკაში ამან ყველაფერმა

შეიძლება ითქვას, რომ 4-5-ჯერ გაიზარდა

მოსახლეობის ვიზიტორთა ნაკადი,

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ დღეს

ბიბლიოთეკარი ყველა ასაკის ადამიანებს

აქვს შესაძლებლობა წიგნთან ერთად ელ-

სერვისების საშუალებით მიიღოს

სასურველი ინფორმაცია.



ბიბლიოთეკაში კომპიუტერული სერვისებს ყველა ასაკის მომხმარებელი იყენებს.

ისინი დიდი ინტერესით ეუფლებან კომპიუტერულ კურსებს. მათ შორის მოსწავლეები, სკოლისა და საბავშვო ბაღის პედაგოგები, ამბულატორიის ექთანი და ექიმი, სოფლის საკრებულოს თანამშრომლები.

ისინი სერვისებს ღებულობენ სრულიად უფასოდ.

„შეფ-მზარეულის“ რჩევები:

მეგობრებო, კოლეგებო, ბიბლიოთეკაში შექმნით მყუდრო, საინტერესო გარემო მომხმარებლისათვის და აქციეთ თქვენი ბიბლიოთეკა სოფლის მოსახლეობის თავშეყრის საყვარელ ადგილად.

**რა უნდა
გააკეთოთ თქვენ:**



- იყავით ინფორმირებული და მიზანდასახული
- მომხმარებელთა რიცხვის გასაზრდელად გაზარდეთ საინფორმაციო კამპანია
- მუდმივად დაინტერესდით მომსახურების სიახლით
- შეძლებისდაგვარად გაზარდეთ თანამედროვე ლიტერატურით ბიბლიოთეკა
- გაიღრმავეთ კომპიუტერული უნარ-ჩვევები
- კომპიუტერი აქციეთ საბიბლიოთეკო მომსახურებად.

ეორესპონდენციალი

მაის მუსაშავის

თეოტიონის მუნიციპალიტეტის
სოფ. ასუხეთის ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკაში

გერმანული სოფელი თეთრიწყაროს რაიონში

ც ეთრიწყაროს სოფელი ასურეთი თბილისიდან 29 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. სოფელი გერმანული დასახლებაა, იგი საქართველოს სხვა სოფლებისაგან განსხვავდება გამორჩეული არქიტექტურული ნაგებობებითა და საინტერესო ისტორიით. სოფელი გერმანელმა კოლონისტებმა ააშენეს 1817 წელს, რუსეთის მეფის

წლებიდან იყო ერთ-ერთი განვითარებული სოფელი ქართლში; სოფლის წამყვანი სასოფლო-სამეუნეო დარგად ითვლებოდა მევენახეობა-მეღვინეობა. სოფელში თანდაობით აშენდა საცხოვრებელი სახლები, დაინის მარანი, ლიტერანული ეკლესია, სკოლა, ბიბლიოთეკა, ოეატრი, საავადმყოფო, გოგირდის აბანო, წყალსაცავი, მოწესრიგებული წყალგაყვანილობა, საირიგაციო სისტემა, ფოსტა, სამჭედლო. სოფელში გააშენეს ადგილობრივი ფურმის ჯიში „შალა“, ეს იმ გლეხია გვარია, რომელმაც ტყიდან ჩამოიტანა ველური ჯიშის ვაზი. სოფელი გამოიჩინდა სტუმართმოყვარეობით, გამრჯე გლეხობითა და მეურნეობის მოწყობის რაციონალური მიღებით. სოფლიდან 7 კილომეტრის მოშორებით მდინარე ალგეთის ნაპირზე დგას უნიკალური გერმანული არქიტექტურის ნაგებობა-მარანი, რომელიც სამსართულიანია. ის აშენდა 1931 წელს. მარანში ყოველწლიურად 5000 ტონამდე ღვინოს აყენებდნენ. მთავარი მედვინე ყოფილა გერმანელი კოლონისტი ევგენი რეიტენბახი. მარანის ეს უნიკალური შენობა დღეს ფუნქციადაკარგულია. 1871 წლიდან სოფელში ფუნქციონირდა გოთური სტილით ნაგები რვა წახნაგა გუმბათიანი ლუთერიანული სტილის ეკლესია, ძვირფასები ბროლის ჭადით. 1930-იანი წლებიდან საბჭოთა მთავრობის პირობებში ეკლესია გადაკეთდა კლუბად. 1981 წელს ხანძარმა მოლიანად გაანადგურა ეკლესია. 1925-1929 წწ. სასოფლო კლუბი წარმატებით ფუნქციონირებდა, აქ იმართებოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები; თვითონ სოფლის განაპირას, ტყეში თოთოეულ ოჯახს თავისი კუთხე ჰქონდა. 1933 წლიდან სოფელში გაიხსნა აბანო. აბანოს პქონდა სამკითხველო დარბაზიც. უნიკლაური აბანო 1980-იან წლებამდე ფუნქციონირებდა. საინტერესო იყო საცხოვრებელი სახლის კონსტრუქცია, თოთოეული სახლი ითვლიდა სამ ოთახს მაინც, იყო ღვინის მარანი, კედელში ჩაშენებული პქონდათ ბუხარი. ყველა სახლს ამშვენებდა ხის აივანი. ზოგიერთ სახლში დღესაც არის დარჩენილი საოჯახო ნივთები, ავეჯი, წიგნები, ნახატები, ცნობილი საკერავი



ალექსანდრე პირველის გადაწყვეტილებით. სოფელს ეწოდა ელიზაბეტბალი მეფის მეუღლის პატივსაცემად. თავიდან სოფელში ბინა დაიდო 72 ოჯახმა, თოთოეულ ოჯახს იმდროისათვის გამოუყვეს 32 დესეტინა მოწის ნაკვეთი (20 პეტრარზე მეტი) და 700-700 მანეთი პირველად, რა თქმა უნდა გაუჭირდათ მუხის გაუვალი ტყის მასივში სოფლის გაშენება, მაგრამ მეზობელი ქართული სოფლების დახმარებით მაღე დაძლიერ გაჭირვება. ეს სოფელი მე-19 საუკუნის 50-60-იანი



მანქანა „ზინგერი“. სოფელში შემორჩენილია გერმანელების სასაფლაო, რომელიც 2001 წელს განაახლეს გერმანიიდან ჩამოსულმა გიმნაზიის მოსწავლეებმა. სოფლის კლუბში, ე.წ. საბჭოს შენობაში ყოფილა სამკიონეველო, სადაც დაცული იყო ქართული, რუსული და ბერძნულებრვანი წიგნები. მოგვიანებით ამ სოფელში ჩამოასახლეს რაჭელები, სამკიონეველოს უძღვებოდნენ მარგალიტა და მართ ჭელიძეები. ბიბლიოთეკა ამჟამად მუშაობს, ემსახურება სოფლის მოსახლეობას, სკოლის

მოსწავლეებს. გერმანელები ასურეთითან გაასახლეს შუა აზიაში 1941 წელს.

ადგილობრივი ოვითმართველობისა და გერმანელ მხარეთა მოლაპარაკების შედეგად ასურეთში დაწყებულია გერმანული მემკვიდრეების სრულყოფილი რეაბილიტაცია. პროექტი ხელს უწყობს გერმანიისა და საქართველოს ურთიერთობის შემდგომ გადრმავებას. პროექტის დასრულების შემდეგ თეორიუმართვის მუნიციპალიტეტში იქნება ნამდვილი ევროპული სოფელი - ასურეთი.

მაჩინე სამაღალი

გამოუთხმელი შუამავალი

Гვრიპიდეს მართებული შენიშვნით, ხელოვნების გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ხელოვნება ზეცის მაღლია და გამოუთქმელის შუამავალი. ხელოვნება მიზანი კი არა, საშუალებაა, რომ კაცობრიობას მიმართო. ლელა თეორაძეს ადამიანებთან საურთიერთობო მხატვრობა აურჩევია.

ამა წლის 1 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ლელას პერსონალური გამოფენა. იგი ჩვენი მკიონეველია. მისმა ბავშვობამ ჩვენ თვალ-

წინ გაიარა. მომავალი მხატვარი ხშირად სტუმრობდა საბავშვო განყოფილებას და აქტიურად მონაწილეობდა ბავშვებისთვის გამართულ ხატვის კონკურს-გამოფენებში. შემდგომში ფუნჯისა და ფერთა ტრფიალი პროფესიად ექცა. მას შესანიშნავი გემოვნება აქვს. იცის, რომ ხელოვნებაში არსებობს სრულყოფის საზღვარი და ამ სრულყოფისთვის დამთავრა თბილისის სამსატვრო აკადემიის გრაფიკული დიზაინისა და ვიზუალური კომუნიკაციების ფაკულტეტი. სრულყოფამდე ჯერ ბევრი უკლია... ახლა კი ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდაზე ზრუნავს.

ესთეტიკა მოძღვრებაა მშვენიერებასა და ამაღლებულზე. იგი გვასწავლის, რა არის მშვენიერი ან ამაღლებული. მშვენიერი ესთეტიკურად გვატკბობს, ამაღლებული შთაგვაგონებს და გვანცვიფრებს.

ანუის თქმით, მშვენიერება უიშვიათესი სასწავლია, რომელიც აქარწყლებს ჩვენს დაჭვებას დმერთის არსებობაში. ხელოვნება ხომ დმერთისა და ადამიანის თანამშრომლობაა.





ლელას ხელოვნება შემეცნებაცაა, შემოქმედებაც და ურთიეროობის საშუალებაც. მისი ნამუშევრები გვიტაცებს, გვაღელვებს და გვამაღლებს. იგი სინამდვილეს ასახავს მსგავსებისა და განცდის გზით. პირველ შემოხვევაში ასახვის ობიექტია კონკრეტულ-საგნობრივი სამყარო, მეორეში კი სულიერი მდგომარეობა.

ლელას შემოქმედება მოიცავს პორტრეტს, ნატურმორტს, პეიზაჟს, ნიდებებს, გრაფიკას.

მხატვარ ლელა თეთრაძეს ხელოვნება უყვარს საკუთარ თავში და არა საკუთარი

თავი ხელოვნებაში. მის ხელში მახინჯი, ულამაზო საგნებიც სასიამოვნოდ გამოიყურება, რადგან მშვენივრად გამოსახავს მათ.

ლელას ფანტაზია გონებასთანაა შერწყმული. მისი ფანტაზია იმისთვის სცილდება საგანს, რომ უფრო დაუახლოვდეს მას. საერთოდ, ხელოვნების ნაწარმოები მართალია მისთვის ნიშანდობლივი სიცრუის წყალობით. პაპლო პიკასოს თქმით „ხელოვნება არის სიცრუე, რომლითაც ჭეშმარიტებას ვწვდებით.“ ლელას აქვს საოცარი უნარი, ირეალური რეალურად გვაჩვენოს. მან კარგად იცის, რომ „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად“ და „მძიმეა მხატვრის ტვირთი“... მიუხედავად ამისა, თავდუზოგავად ემსახურება მხატვრობას. დმერომა ქნას, შვიდფერ მუზას არასდროს ედალატოს მისთვის!

ბიბლიოთეკის ურთიერთობა საზოგადოებასთან

ხელვაჩაურის ცენტრალური ბიბლიოთეკა ყოველთვის გამოირჩევა შინაარსიანი დონისიებების ჩატარებით. მათში აქტიურად მონაწილეობენ სოფლის ინტელიგენცია, მოსწავლე-ახალგაზრდობა. ბიბლიოთეკა დიდ როლს ასრულებს მოსახლეობის ინფორმირებისა და წიგნიერების გარემოს შექმნაში.

მიმდინარე წლის 16 თებერვალს წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ხელვაჩაურის საბიბლიოოთეკო გაერთიანების თანამშრომლები იმყოფებოდნენ ქ. ბათუმის 32-ე საბავშვო ბაღში. ბიბლიოთეკარებმა პატარებს წაუკითხეს ზღაპრები, განიხილეს წაკითხული წიგნების შინაარსი.

28 თებერვალს კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკაში ჩატარდა საბავშვო მწერლ-

ის არჩილ სულაკაურის დაბადებიდან 80 წლისთვისადმი მიძღვნილი დონიძიება. სადამოზე ნაჩვენები იყო არჩილ სულაკაურის მოთხოვნების მიხედვით შექმნილი დოკუმენტური თუ მხატვრული ნაწარმოებები, ფილმებადარი „სალამურას თავგადასავალი“.

25 აპრილს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა წიგნის და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დონიძიება. დამწყებმა პოეტებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები; დამსწრე საზოგადოებამ ერთხელ კიდევ აღნიშნა ბიბლიოთეკის როლის შესახებ ახალგაზრდობის სწავლისა და განათლების საქმეში. დამწყები პოეტების შესახებ ისაუბრეს ბიბლიოთეკარებმა, ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

ეოდორ გოგიანი

ქ. ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანების მონაცემები

ცითქმის საუკუნოვანი ისტორია აქვს. ფოთში ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა პირველი ბიბლიოთეკები, ნიკო ნიკოლაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკაც - ქალაქის ერთ-ერთი უძველესი კულტურული დაწესებულებაა. საუკუნის განმავლობაში იგი მრავალი თაობის ფოთელი მოზარდების



ცოდნის ქერაა. აღნიშნული ბიბლიოთეკის მშენებლობის გადაწყვეტილება 1908 წელს იქნა მიღებული ნიკო ნიკოლაძის მიერ. მოსახლეობა აქტიურ მონაწილეობას იღებდა როგორც ფიზიკური მაღიით, ასევე ფულადი შემოწირულობებით. ცნობილია ქალაქის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები - გ. საბახტარაშვილი, ალ. ჩახავა, ა. ხოშტარია, გ. დიდია და სხვ. მშენებლობა 1909 წლისათვის დასრულდა და ორიგინალურმა არქიტექტურულმა ნაგებობამ ქალაქი მნიშვნელოვნად დამზუენა. 70-იან წლებში შეიქმნა პირველი საბიბლიოთეკო ქსელიც, რომელიც 20-ზე მეტ ბიბლიოთეკას აერთიანებდა.

1998 წელს უკვე სავსებით ახალი სისტემა იქმნება - საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანება, ამამად 2007 წლიდან ქ. ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანებას არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსი აქვს მინიჭებული.

ჩვენი საქმიანობა, პირველ რიგში, ტრადიციისა და ტექნოლოგიური სიახლეების სინთეზია, ის პროცესია, რომელიც დვაწლობილი და დამსახურებული ბიბლიოთეკარების გამოცდილებაზე დგას (ნიკოლოზ გუჯაბიძე, თამარ ქავთარაძე, ტატული ლაშებია, ვალია პერტია, ლოლა გუჯაბიძე, თამარა ჩოჩია, მარგო შეროზია, თინა სალაყაია, თამარა დოლიძე, ვენერა ქაქუთია, დოდო გეგეშიძე), შურა

კობახიძე, ლამარა ბახტაძე, ზორა კორტავა, გენრიეტა ლემონჯავა, როზა მიქაძე, როგნერა ლორთქიფანიძე, ნინა გაბუნია, ლია კომპანეებია, ტატიანა ცომაია, სონია ტიკარაძე, ნადია სანაძე).

90-იანი წლებიდან ქ. ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანებას ენერგიული და სანიმუშო ხელმძღვანელი, ქ. ფოთის საპატიო მოქალაქე - ქალაქის ნუნუ ჭელიძე მართავს. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში მრავალ პრექტისა თუ ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი, მეცნიერებად გაიზარდა ბიბლიოთეკის როლი მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებით საქმიანობაში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქალაქო ქსელის ოპტიმიზაციის, საბიბლიოთეკო ფონდების ინვენტარიზაცია-რეორგანიზაციის საქმეში, მოხდა ათწლეულ კლასიფიკაციაზე გადაწვანა, ელექტრონული კატალოგის შექმნა და ფონდების კომპიუტერიზაცია, რისთვისაც ქ. ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანებას საბაზო ბიბლიოთეკის სტატუსი მიენიჭა. მისივე ავტორობით, გამოსაცემათ მზადდება წიგნი - „ფოთის ბიბლიოთეკის ისტორია“, რომელიც კიდევ ერთხელ უკვდავყოფს და პატივს მიაგდს თითეული იმ დვაწლობის ბიბლიოთეკარის ხსოვნას, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქ. ფოთის საბიბლიოთეკო ცხოვრების განვითარებაში.

დღეისათვის მოსახლეობას მომსახურებას უწევს გაერთიანების 1 ცენტრალური, 1 ცენტრალური საბავშვო და 2 მასობრივი



ბიბლიოთეკა-ფილიალი, რომელიც აქტიურად ახორციელებს მკითხველთა საცნობარო საინფორმაციო მომსახურებასა და მეორდური მუშაობის სრულყოფას. ბიბლიოთეკების ერთ-ერთ პრიორიტეტს, რაც შეიძლება მეტი მკითხველის მოზიდვა, მათი ასაკისა და ინ-



ტერესების გათვალისწინებით, მრავალფეროვანი საინფორმაციო გარემოს შექმნა და სკოლის ბიბლიოთეკებისათვის მეთოდური დახმარების გაწევა წარმოადგენს.

ბიბლიოთეკას ემსახურება შემდეგი განყოფილებები: აბონომენტი, საკითხეველო დარბაზი, უცხოური ენის ფონდი, მეთოდურ-ბიბლიოგრაფიული განყოფილება და სხვა. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბი, ინგლისური ენის კაბინეტი, წიგნის რესტავრაციის დაბორატორია, ბიბლიოთეკასთან არსებული ლიტერატურული სალონი და საბავშვო თეატრი. წიგნის პრეულარიზაციის მიზნით, ბიბლიოთეკა აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა მიზნობრივ, არამიზნობრივ ღონისძიებებს, თანამშრომლობს საჯარო სკოლებთან, უწევს მათ მეთოდურ დახმარებას. ასევე თანამშრომლობს მწერლებთან, პოეტებთან, ნიჭიერ შემოქმედებით ახალგაზრდებთან, სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, ქვემოქმედ ორგანიზაციებთან. ინერგება თანამედროვე სტანდარტები. 2005 წლიდან საბიბლიოთეკო სისტემა აქტიურადაა ჩატარებული წიგნის კომპიუტერიზაციის პროცესში (ელექტრონული კატალოგის წარმოება).

მკითხეველებთან ურთიერთობა შემოქმედებითი პროცესია, მათი ინტერესების აქტიური გათვალისწინება, რომ თავიდან აცილებულ იქნება ფორმალიზმი ადამიანებთან ურთიერთობაში. ჩვენი კვალიფიციური ბიბლიოთეკარებიც სწორედ ამ საქმეს ემსახურებიან და საესებით წარმატებულადაც. აღნიშნულმა ღონისძიებებმა მკითხევლთა რაოდენობა, ახალგაზრდების საბიბლიოთეკო საქმესა და კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობა მნიშვნელოვნად გაზარდა.

ბიბლიოთეკა მკითხევლს შემდეგი სახის სერვისებით ემსახურება:

- » უფასო რეგისტრაცია;
- » ბიბლიოთეკიდან წიგნების გარკვეული გადიოთ გატანა;

- » სამკითხველო დარბაზით სარგებლობა;
- » საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება;
- » საბავშვო ლიტერატურით უზრუნველყოფა;
- » უცხოენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფა;
- » ინტერნეტით წვდომა და უფასო WiFi;
- » მკითხევლთა მომსახურება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით: ელ. ფოსტა, ინტერნეტით სარგებლობა, პრეს-რელიზის მომსახურება, სოც. ქსელებში მუშაობა;
- » უდიო-ვიდეო საშუალებები, ხმოვანი წიგნების გამოყენება;
- » პერიოდული გამოცემებით უზრუნველყობა (ჟურნალ-გაზეთები);
- » თემატური ღონისძიებები;
- » წიგნის პრეზენტაციების ჩატარება;
- » ლიტერატურული სადამოების გამართვა;
- » მწერლებთან, პოეტებთან და ხელოვან ადამიანებთან შეხვედრები;
- » კიონჩენებები, ფოტო-გამოფენების მოწყობა;
- » საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების განხორციელება;
- » საქველმოქმედო პროექტებით უზრუნველყოფა;
- » სკოლის მოსწავლეებისათვის ბიბლიოთეკის ექსკურსიების ორგანიზება.



როგორც აღნიშნეთ ჩვენი საქმიანობა, პირველ რიგში, ტრადიციისა და ტექნოლოგიური სიახლეების სინოეზია, ამიტომაც აქტიურად ვართ ჩართული ბიბლიოთეკის მოდერნიზაციის პროცესში, ის უნდა გადაიქცეს მრავალფუნქციურ დაწესებულებად, კულტურულ-საინფორმაციო ცენტრად, სადაც არამარტო ტრადიციულად განათლების, არამედ ინფორმაციის მიღებაც, გამოცდილების გაზიარებაც იქნება შესაძლებელი. ცენტრალური ბიბლიოთეკა გახდება ახალგაზრდების კულ-

ტურული მომსახურებისა და თავისუფალი დროის გამოყენების ცენტრი, გაერთიანდება: მწიგნობართა კლუბი, ინფორმაციის პაბინეტი, მუსიკალური ოთახი, ფილმის კლუბი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, ახალგაზრდა ხელოვანთა კლუბი და სხვა.

თანამედროვე ბიბლიოთეკა არამარტო მომსახურეობის სერვისებით, არამედ თანამედროვე და სასიამოვნო დიზაინით უნდა ქმნიდეს მკითხველისთვის კომუნიკაციულ გარემოს, ვმუშობო დარბაზის რეკონსტრუქციის პროექტზე, რომელიც ითვალისწინებს დარბაზის სრულ გარდაქმნას. ბიბლიოთეკას გააჩნია ულამაზესი ბაზი - სამკითხველო დია ცის ქვეშ, რომელიც არაერთი საინტერესო დონისძიების - პოეზიის საღამოს,

ფილმების ჩვენების თუ ახალგაზრდობის თავშეერის ერთ-ერთი საყვარელი ადგილი გამხდარა; ეწყობა მუსიკალური საღამოებიც. მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებით ცხოვრებაში სამკითხველოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია, თუმცა საჭიროებს ტენიკურად დახვეწვას, ინვენტარისა და დიზაინის განახლებასა და თანამედროვე სტანდარტზე გადასცვას.

ამგვარად, გვაქვს მრავალი ჯანსაღი და ნათლად გამოხატული ხედვა, იმედი გვაქვს, უახლოეს მომავალში შევძლებო ჩვენი გეგმების ეტაპობრივ რეალიზებას და საუკუნოვანი ისტორიის მქონე ჩვენი სისტემა კვლავაც ტრადიციულად გააგრძელებს ნოვატორულ და წარმატებულ საბიბლიოთეკო გზას.

ნერო ფაჩვანია

საინტერესო თემატური საღამო



ცვითმმართველი ქალაქ თელავის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარ ბიბლიოთეკაში 6 ივნისს ჩატარდა თემატური საღამო „საქართველო და ევროპის ქვეყნები“. ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ნატო ნაცვლიშვილმა, თამარ წიკლაურმა, მანანა სუმბაძემ, ქეთევან რაჯებაშვილმა და ლელა დარიაბაშვილმა ისაუბრეს საქართველოსა და ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ისტორიაზე, ქართველ მოღვაწეებზე, რომლებმაც დრმა კვალი დატოვეს ევროპის ისტორიაში. დონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მოწვევლა სტუმრებმა: თელავის ი. გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერ-

სიტემის პროფესორმა დავით ჯავახიშვილმა ისაუბრა საქართველოს და ჩრდილოეთ ეპროპის ქვეყნების ურთიერთობაზე შეა საუკუნეებში, ხოლო პროფესორმა შალვა ჭავაძემ – ევროკავშირის ისტორიაზე, თანამედროვეობასა და პერსპექტივებზე.

საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა მავგალა წიკლაურმა საღამოს დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ჯუანშერ ვათევიშვილის წიგნი „საქართველო და ევროპის ქვეყნები“, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა 7 ტომად.

დონისძიების თემის აქტუალობიდან გამომდინარე, საღამომ საინტერესოდ ჩაიარა და მკითხველობა მოწონება დაიმსახურა.



მანანა ზაჟიძე

მცხეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკას
მთავარი სპეციალისტი

აქცია – წიგნის პოპულარიზაციის საინტერესო მეთოდი

ცხეთის შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკას დაარსებული ბიდან დღემდე დიდი და საინტერესო ისტორია აქვს და, რაც მთავარია, ის მუდმივად განახლების პროცესშია. წლების გან-



მავლობაში ბიბლიოთეკა ატარებს უამრავ საინტერესო დონისძიებას: კონკურსებს, შეხვედრებს, პოეზიის და ოქმატურ სადამოებს, სალონურ დონისძიებებს; დიდი ყურადღება ეთმობა წიგნის პრიპაგანდას, განსაკუთრებით ბავშვთა შორის. ბავშვებში წიგნის სიყვარულის გაღვივების მიზნით, ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მოიფიქრეს და საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად განახორციელეს აქციის სახის დონისძიებები.

მაისის ბოლოს საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვას მიეძღვნა პირველი აქცია, რომლის დევიზიც იყო: "იკითხე წიგნები, უკეთესი იქნები". აქცია ჩატარდა მცხეთის №1 საჯარო სკოლის მეორე კლასებისთვის, სკოლის ეზოში არსებულ ხეებზე ფერადი ბაფთებით ჩამოვალეთ ფაილში ჩაწყობილი საბავშვო

წიგნები; გაკვეთილებიდან გამოსული ბავშვები ლამაზ ზდაპარში აღმოჩნდნენ, ისინი ხეებიდან აღფრთვანებული და გაოცებული ხენიდნენ წიგნებს და იქვე იწყებდნენ კითხვას.

პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის დღისადმი ჩავატარეთ თრი ულამაზესი აქცია დონისძიება: "ეძებ შენი წიგნი" და "იპოვნე შენი ბიბლიოთეკა". თრივე აქცია განკუთვნილი იყო მცხეთელი ბავშვებისთვის და ჩატარდა ბიბლიოთეკის ახლოს მდებარე სკვერში; ბავშვები დიდი ინტერესით ეძებდნენ ბუჩქებში სპეციალურად მათვის დამალულ წიგნებს, პოულობდნენ და გახარებულები წიგნით ხელში მირბოდნენ სკვერის ბილიკებზე, სადაც მათვის უზარმაზარი წიგნები იყო დახატული და ეს წიგნები მიასწავლიდნენ გზას საბავშვო ბიბლიოთეკისკენ; იქ მათ დახვდათ ბიბლიოთეკის თანამშრომლები სა-



ბავშვო სპეციალური, რომელიც მცხეთის №4 საბავშვო ბადის გამოსაშვები ჯგუფის ბავშვების მონაწილეობით იყო მომზადებული; დღემ ძალიან ლამაზად ჩაიარა, ბავშვები უზომოდ კმაყოფილნი ჩანდნენ, მათ აღარ უნდოდათ ბიბლიოთეკიდან წასვლა. აღსანიშნავია, რომ ამ აქცია-დონისძიებებმა საბავშვო ბიბლიოთეკას ასობით პატარა მკითხველი შესძინა. სამივე აქციას დიდი გულისყრით აღევნებდნენ თვალს ხელისუფლების წარმომადგენლები, ქალაქ მცხეთის მერმა – ავთანდილ ნემსიწვერიძემ პირადად გამოგვიცხადა მადლობა და მოგვიწოდა, არ შევწყიო მსგავსი დონისძიებებით ბავშვების გახარება.



ნაზი ცომაძე

ბათუმის სახახო ბიბლიოთეკის
განყოფილების გამგე

ქალბათონი თანამედროვეობის განცდით

Бათქვამია „სხვისი კითხვისთვის წიგნის შერჩევა – ეს არამარტო მეცნიერება, არამედ ხელოვნებაცაა. მის განვითარებას კი ზღვარი არა აქვს“. სწორედ ამ ხელოვნების განვითარებას თითქმის ნახევარი საუკუნეება ემსახურება ქალბათონი მედეა კალანდარიშვილი. იგი 17 წლის გოგონა იყო, როცა უმაღლესი განათლების მისაღებად იზურგეთიდან, ბათუმში ჩამოვიდა.

ჩამოვიდა და სამუდამოდ დარჩა. ბედი ერთ ქალაქელ, ინტელიგენტ კაცს – ზურაბ კალანდარიშვილს დაუკავშირდა და ასე ერთ-სულ და ერთხორც

შედუღაბებულ-ნი. ორი არაჩვეულებრივი შვილი აჩუქეს ქვეყანას. ხარობენ დღეს მათი მონაგარით. ასევე შესანიშნავად შეუთავსდაა ქალბათონი მედეამ საოჯახო საქმიანობას. პროფესიულ საქმიანობას ინსტიტუტის დამთავრებისთანავე შეუდგა. მუშაობა დაიწყო ქალაქ ბათუმის №1 ბიბლიოთეკაში. ეს იყო 1970 წელს. გონიერმა და ინტელექტუალურმა გოგონამ მაღე მიიქცია ყურადღება და მას მეტად საპასუხისმგებლობის დამთავრებიული განყოფილება ჩააპარეს; განყოფილება, სადაც ყველაზე მეტად ვლინდება ადამიანის განათლება და ნიჭიერება. ქალბათონი მედეა გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, საქმიანობით, ინტელექტით და დიდი იუმორით. ამიტომაც, 1988 წელს, როდესაც ვაკანსია გამოაცხადდა დირექტორის თანამდებობაზე, მოელმა 150 კაციანმა კოლექტივმა, ერთხმად აირჩია იგი დირექტორად. 11 წლის მანძილზე, ვიდრე ის ხელმძღვანელობდა ქალაქ ბათუმის საბიბლიოთეკო გაერთიანებას, არაერთ წარმატებულ პროექტს გამოიწვია.



ის მიხედვით სექტორების შექმნა; ტარდებოდა და ღონისძიებები, რომლებსაც უსადაგებდა თანამედროვეობას; ეწყობოდა ქუჩის დღე-სასწაულები, ღონისძიება-აუქციონები, სადაც იყიდებოდა ზემდეტი ეგზემპლარი წიგნები, ბიბლიოთეკართა ხელნაკეთობები, შემთხვევით თანხით კი იძენდა ფონდისთვის აუცილებელ წიგნებს.

იგი დღესაც, 70 წლის ასაკში, ძალას და ღონებს არ იშურებს, რათა თითოეულ მოზარდში ადრეას წიგნის სიყვარული, ჩაუნერგოს მათ კითხვის კულტურა და შეაყვაროს ბიბ-

ლიოთეკა, ყველა ბავშვის მრჩეველი და მოამაგება. ამიტომაც არის, რომ წუთს ვერ ნახავთ, მკითხველები არ იყოს. მისი ერუ-დიცია და ინტელექტი კი თითქმის გველას აკმაყოფილებს, ყველას-თვის პასუხი ყოველოვის მზად აქვს, რასაც საკუთარ თავზე მუდმივი მუშაობით აღწევს.

ის ამ ასაკშიც კი მუდამ იმადლებს ცოდნას. ქალბათონ მედეაზე საუბარი დასრულებულად შეიძლება, მისი ინტელიგენტური გარეგნობა, ენციკლოპედიური ცოდნა, გულისხმიერება, რომელსაც ყველას მიმართ იჩენს მხოლოდ იდეალურ ადამიანებს გააჩნიათ და მე ბედნიერად ვოვლი თავს, რომ ასეთი კოლეგა და შეგობარი მეგას.

ამბობენ, ადამიანი მოგზაურობაში გამოიცდება. შემიძლია პირადი გამოცდილებიდან გიორგათ, რომ ერთი დიდი ბედნიერებაა ქალბათონ მედეასთან ერთად მოგზაურობა. ცეკვა, სიმღერა და იუმორი მისი თანამდევია და ეს დიდად უწყობს მას ხელს კომუნიკაციელურობაში. ამიტომაც უყვარს იგი ყველას, მკითხველებსა და კოლეგებს.

დაგვიანებული ინტერვიუ ანუ წიგნის განხილვა „კათარზისის“ ბიბლიოთეკაში

ც ბიბლიოსის საერთაშორისო პუმანიტარული ორგანიზაცია „კათარზისის“ სააქტო დარბაზი მაყურებლებით გაიგვი. ყველა დამსწრეს დიდი სურვილი ჰქონდა პირადად გასცნობოდა მეტად საინტერესო წიგნს „უშგული - სვანეთის, საქართველოს, ევროპის სათავე“. თემა მართლაც საინტერესოა, მოლოდინი და ინტერესი დიდი. წიგნი მრავალფეროვანია: ისტორია-ეთნოგრაფია, ფილოლოგია, განათლება, რელიგია, სადღესასწაულო რიტუალები, ლექსი-შაირი, სიმღრები-მუსიკა, საარქივო და საეკლესიო ჩანაწერები და სხვა მრავალი.

წიგნი დიდი ინტერესით იკითხება და ფასდაუდებელია ქართველი ხალხის ისტორიის შესწავლისათვის. ღონისძიება თავისი შინაარსითაც და ფორმითაც ნამდვილად განუმეორებელი იყო, რასაც დამსწრეთა მხრიდან გამოვლენი აქტიურობა ადასტურებს.

სადამოზე გახსენებულ იქნა 2016 წლის 31 მაისი, დღე, როდესაც „კათარზისის“ ბიბლიოთეკის ლიტერატურულ-მუსიკალურ სალონ „საპოვნელაში“ საინტერესო სადამო გაიმართა. ამ სადამოზე სიტყვით გამოვიდა ახალი სტუმარი - პოეტი და მწერალი, პედაგოგი, განათლების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის ლექტორი, კათედრის გამგე, სოფელ უშგულის მკვიდრი ნაპო (გიორგი) კაკრიაშვილი. მან დიდი მოწონება გამოიქვა გამართულ სადამოზე და მოკრძალებით გადმოგცა თავისი წიგნები, რომელთა შორის იყო წიგნი სოფელ უშგულზე. ყველა დამსწრებ დიდად მოიწონა ჩვენი ბიბლიოთეკისთვის გადმოცემული ეს საინტერესო გამოცემა. აღნიშნეს, რომ ასეთი წიგნები ხშირად უნდა გადაცეს „კათარზისის“ ბიბლიოთეკას. ნაჩუქარმა წიგნმა ჩემი ყერადღება მიიპყრო ყდამაც კი, რომელზეც გამოსახული იყო კავკასიის ზეიადი მთები. ამ სურათმა ჩემში გააღვიძა მშვენიერი მოგონება, როდესაც 1971 წელს ვიმყოფებოდი კისლოვოდსკში. ამ კურორტზე მე ბევრი სილამაზე ვნახე, მაგრამ ყველაზე წარუშდელი შოაბეჭდილება ჩემზე მოახდინა დონბაიმ, ბაქსანის ხეობამ და იალბუზის მთამ. შვილებთან ერთად გავემგზავრე ბაქსანის ხეობით იალბუზისკენ. მნელია სიტყვებით გადმოსცე ის

ხიბლი და სილამაზე, რაც გააჩნია იალბუზის მთას. საბაგირო გზამ მწერვალზე აგვიყვანა და არწივების საბრძანებელში აღმოვჩნდი. ადრე მე ძალიან მიკვირდა იმ ადამიანების, ვისაც მთების მიმართ ნოსტალგია გააჩნდათ, განსაკუთრებით ალპინისტების, რომლებიც წელიწადის ყველა დროს მთებში ატარებენ და ღრმა სიბერემდე არ ტოვებენ ალპინიზმის ბილიკებს. როდესაც თბილისში დავბრუნდი, მეც დიდი ნოსტალგია დამემართა მთა იალბუზის მიმართ. თითქოს ჩემი გულისტკივილი შეიტყო საქართველოს ტელევიზიამ თითქმის ერთგვირიანი გადაცემების ციკლი გადასცა კავკასიის მთებსა და მის ტურისტულ ბილიკებზე.

როდესაც სოფელ უშგულზე წიგნი ვნახე, დავრწმუნდი, რომ ეს იყო პიმი მთებისადმი და გადავწყვიტე, რომ მისთვის ჩვენი „საპოვნელას“ ეგიდით სადამო მიმედვნა, რადგან წიგნი ფატიბრივ ეთნოგრაფიული ენციკლოპედიაა ამ პატარა მხარისა და მისი მშვენიერი სოფლის.

სადამო ამ წიგნის შესახებ თითქმის სამი საათი გაგრძელდა და დასრულდა გერმანელი ცოლ-ქმრის ვაისერმანების მიერ 1926 წელს სვანეთზე გადაღებული ფილმის ჩვენებით. საქართველოს ამ კეთილმა სტუმრებმა იმოგზაურეს რა სვანეთში, არაჩეულებრივად აჩვენეს ამ ქართული კუთხის ყველა დეტალი და ნაწილი, ყველა სილამაზე და სიხალისე. ფილმის ჩვენებისას ბატონი ნაპო ძალიან საინტერესო კომენტარებს ურთავდა. ფილმში გამოჩნდა კადრები, სადაც ჩანდა დიდი ქართველი მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის ვაჟი გიორგი. ამ სადამომ დიდი ინტერესითა და ყურადღებით ჩაიარა. იყვნენ სასიქადულო სტუმრებიც: კობა არაბული, მირონ ფირცხელანი, აკაკი გასვიანი, გურამ კუპატაძე და სხვანი. სადამოს დაესწრო ახალი სტუმარიც - გულადი ხუბუ; მან, ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონადან, ემოციური და თბილი სიტყვა წარმოსთქვა წიგნის, „კათარზისის“ ბიბლიოთეკისა და ჩვენი „საპოვნელას“ მისამართით. სადამოს დასასრულს ბატონმა ნაპო თავის ლექსიც მოგვიძვნა სათაურით „ჩემი წიგნის „უშგული-სვანეთის, საქართველოს, ევროპის სათავე“ განხილვა „კათარზისში“ (30. 11. 2016 წელი).

ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკის ორი პროექტი

ხობის მუნიციპალიტეტის თედო სახოგიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა 2016 წლიდან ანხორციელებს ორ პროექტს: „ხდაპრის დილა“ - სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში და „ვიმოგ-



„ხაუროთ ერთად წიგნის სამყაროში“ - ხობის საჯარო სკოლების I-IV კლასებში.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები თვეში ორჯერ გადიან როგორც ბაგა-ბადებში, ასევე სკოლებში. წინასწარ არჩევენ შესაბამის ლიტერატურას. ბაღში მიაქვთ ილუსტრირებული ზდაპარი, რადგან ბავშვის წიგნთან ურთიერთობა ილუსტრაციებით იწყება, მერე იკითხება ზდაპარი და იმართება მსჯელობა მის გარშემო, ხოლო სკოლაში კითხულობენ ასაკის შესაფერის ნაწარმოებს, აწარმოებენ მათ ირგვლივ საუბრებს, მართავენ წიგნების

გამოფენას და ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას.

ორივე პროექტის მიზანია, ახალი თაობა უფრო მეტად დავუმეგობროთ წიგნს. ბაგა-ბადის აღსაზრდელებმა, კერძოდ, უფროსი ასაკის, რომლებიც ემზადებიან სკოლაში წასავლელადდ უნდა იცოდნენ, სად მოიძიონ საჭირო ლიტერატურა და, რაც მთავარია, მოვახდინოთ ინტეგრირება სკოლასა და ბიბლიოთეკას შორის.

პროექტის ფარგლებში საბავშვო ბადის აღსაზრდელები პედაგოგებთან ერთად რეგულარულად სტუმრობენ ბიბლიოთეკას. პატარები იხსენებენ წაკითხულს, ტარდება ზდაპრის იხსცენირება, ლექსების მხატვრული კითხება.

ასევე პროექტის ფარგლებში მეორე საჯარო სკოლის IV-ბ კლასის მოსწავლეებმა (დამრიგებელი მაია ნოდია) ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით სასწავლო წლის დასასრულს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გამართეს ლიტერატურული ვიქტორინა „წიგნების თარო“. ვიქტორინის დასასრულს ბავშვებმა წაიკითხეს თვითინი საყვარელი პოეტების ლექსები. გამარჯვებულები სიგალებით დაჯილდოვდნენ.

„რაც დაიწყო, ადარ უნდა შეჩერდეს“ - ციცერონის ეს გამონათქვამი ზედგამოყრილია ზემოთ აღნიშნულ პროექტებზე, რადგან პროექტებში ჩართულობამ უდიდესი როლი ითამაშა მკითხველთა რაოდენობის ზრდაზე.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი ქალაქი

ხმბროლაურის ქალაქის ბიბლიოთეკის მიერ ორგანიზებული „ხაფხულის საღამო“ ტრადიციულ ხასიათს ატარებს, რომელიც გასართობი და კულტურულ - შემეცნებითი ხასიათისაა. დონისძიება ახალგაზრდა მკითხველების ინტერესების გათვალისწინებით ტარდება და ყველა თაობის მსმენელისათვის საინტერესო და მისადებია.

გურამ გორდეზიანი პოეტი

„უკვე რამდენიმე წელია, ამბროლაურის მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ორგანიზებით, წარმატებით ტარდება ახალგაზრდობისათვის განსაკუთრებულად საყვარელი გასართობი დონისძიება „ზაფხულის საღამო“. ზეიმით მოიცავს შემეცნებითი და გასარ-



თობი მიმართულებების შეუმჩნეველ სინოეზს, რაც ძალიან იზიდავს ახალგაზრდებს და იმართება შეჯიბრი ლექსის წაკითხვასა და ცეკვა-სიმღერაში, სწრაფ და ზუსტ აზროვნებაში. ღონისძიების სცენარის ავტორებად და წამყვანებადაც ბავშვები გვევლინებიან, რაც კიდევ უფრო სახალისოს და საინტერესოს ხდის ღონისძიებას, ამაღლებს საზეიმო განწყობას. შიგადაშიგ გამოჩნდებიან ცნობილი პოეტებიც და ხელოვნებისა და კულტურის ღვაწლმოსილი წარმომადგენლები, რომლებიც ახალგაზრდული შემართებით მონაწილეობენ სახალხო-ახალგაზრდულ გართობაში, მაგალითად წელს, 18-აგვისტოს სხვებთან ერთად, ერთ-ერთი ასეთი მონაწილე ვიყავი მეც. დაჯილდოების პროცესი დამოკიდებულია მაყურებელთა ტაშზე, მაშასადამე, საზოგადოებრივი ოვაციების ფონზე ვლინდებიან გამარჯვებულები, რაც სამართლიანობის მეტ მარცვალს შეიცავს და არ იძლევა მიკერძოების საშუალებას. „ზაფხულის სადამო“ არის ძალიან სახალისო და ორგანიზებული, ლამაზი, შინაარსის კარგი ღონისძიება, რაც ძალიან სასიხარულოა.

ამასთანავე მინდა აღინიშნოს, რომ 18 აგვისტოს ამბროლაურში მიმდინარეობდა ელექტრონული მუსიკის ფესტივალი და ეს დიდებული ღონისძიებაც მოლიანად ახალგაზრდულ მასაზე ელექტრონული მუსიკის

მოყვარულებზე იყო გათვლილი... ჩემი გაოცება, გამოიწვია იმან, რომ ბავშვებისა და ახალგაზრდობის რაოდენობით, თამამად შეიძლებოდა გეოქვა, რომელი-რომელს?!..

ჩემი აზრით კი, ამბროლაურის მთავარი ბიბლიოთეკა, ანუ ზოგადად ბიბლიოთეკა... ჯერ კიდევ დომინანტ ორგანიზაციად რჩება. მადლობა ბიბლიოთეკის მესვეურებს ამ დიდებული „ზაფხულის საღამოსათვის“.

ქვეთი ბერაძე:

„მე ვცხოვრობ აქ და მიყვარს ჩემი ქალაქი.

ქალაქის ცენტრში „ზაფხულის საღამო“ ჩვეულ სასიამოვნო ვითარებაში მასპინძლობდა ადგილობრივ მკითხველს თუ ჩამოსულ სტუმარს. ლექსი, ცეკვა, სიმღერა... რაც მთა-



ვარია, უამრავი ღიმილიანი სახე და მომავლი-სადმი იმედიანი განწყობა.

ძალიან, ძალიან საყვარლები ხართ. დიდი მადლობა ბავშვებო ასეთი ლამაზი საღამოსთვის!

მრავალ წარმატებებს გისურვებო ბიბლიოთეკის თანამშრომლებო! მადლობა ყველას!

მომავალ აგვისტომდე, მეგობრებო!“

მშობლების სახელით:
მანანა გაგოშიძე, ნესტან დვალი,
თამარ ჯაფარიძე

ქართველი ნიაჲიძე

ტრადიციული ლონისძიება

მირზა გელოვანი - 100

ამჟამად დარღვეულა, მით უმეტეს რომ ეს წელი მირზა გელოვანის საიუბილეო წელია, 2 მარტს მირზას დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა.

გირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა ტრადიციულად ყოველთვის აღნიშნავს მირზა გელოვანის საიუბილეო თარიღს, ტრადიცია არც

მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში დილიდანვე საზეომო განწყობა სუფერდა, ოუმცა ცოტა მდელვარებაც შეინიშნებოდა, რადგან საიუბილეო საღამოზე, რომელიც ჩატარდა ამა წლის 26 აპრილს, ბევრი საპატიო სტუმარი მობრძანდა - ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ზურაბ წერეთელი, გენერალური დირექტორის მოადგილეების ბოკუჩავა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სოფო სიხარულიძე, პოეტი ჯანსუდ ჩარკვიანი, მწერალი თამაზ ტყვამალაძე, ლიტერატურამცოდნე, უურნალისტი და ფილოლოგი თამარ კაპანაძე, თიანეთის მირზა გელოვანის სახელობის მემორიალური

ბიდან, მის პირვენებაზე და შემოქმედებაზე, ასევე გარდაცვალების, დაკრძალვისა და მირზას საქართველოში გადმოსცენებასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობები მიაწოდეს დამსწრე აუდიტორიას ჩვენმა სტუმრებმა: ჯანსუდ ჩარკვიანმა და თამაზ ტყვამალაძემ, თამარ კაპანაძემ და ციცო გაბიდაურმა. მისა-სალმებელი სიტყვით გამოვიდა მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ზურაბ წერეთელი.

მირზას ლექსები წაიკითხეს ბიბლიოთეკის მკითხველებმა თათია ტოტოჩავამ, №23-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ ლუკა ბურდულმა და №141-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ სალომე გოგიგიშვილმა.



სახლ-მუზეუმის დირექტორი ციცო გაბიდაური, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის მეტყველების პედაგოგი ეკა ქუთაოველაძე, ჩვენი კოლეგები მთავარი ბიბლიოთეკიდან მზია არმშიძე, ნანა ხომერიკი, თიკო ბედიანაშვილი, ლევან როსებაშვილი, ლადო ასათიანის სახელობის ბიბლიოთეკის უფროსი ნაირა სონღულაშვილი, №7 ფილიალის უფროსი ეთერ ქამუშაძე, №42 ფილიალის უფროსი მანანა საგანელიძე, № 3 ფილიალის უფროსი თამარ ცხოვრებაშვილი, №32 ფილიალის უფროსი ლია უხურგუნაშვილი, №12 ფილიალის უფროსი ციალა შუბითიძე, № 57 ფილიალის უფროსი თამარ არათანაშვილი და სხვა.

საიუბილეო საღამო გახსნეს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის პირველკურსელებმა, რომლებმაც წარმოადგინეს მირზა გელოვანის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია.

მოგონებები მირზა გელოვანის ცხოვრე-

სადამო მუსიკალურად გააფირომეს კერძო სკოლა „აისის“ მოსწავლეებმა (პედაგოგი ნინო კახელიძე) და თბილისის სხვადასხვა კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (პედაგოგი ბაჩანა ტიტინიძე).

საიუბილეო სადამოს ესტრებოდა მირზა გელოვანის დისტვილი ქალბატონი ნანა ჭყონია, რომელმაც მაღლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის მესვეურებს და ლონისძიების ორგანიზატორებს.

ორი განსხვავებული ლონისძიება

მირზა გელოვანს და ლადო ასათიანს თოთქოს განგებამ ერთნაირი ბედი არგუნა, ისინი თოთქმის თანატოლები იყვნენ და მიუხედავად იმისა, რომ ორივე ძალიან ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, სამარადისოდ დაიმპაკიდო ადგილი ქართულ პოეზიაში და ქართველი მკონეველების გულში მარად ჭაბუბ პოეტებად დარჩნენ.

მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრ-



დობის ბიბლიოთეკაში ა. წ. 3 მაისს ჩატარდა პოეზიის საღამო - „მარად ჭაბუკი პოეტები“, რომელიც მიეძღვნა მირზა გელოვანისა და ლადო ასათიანის ხსოვნას.

პოეზიის საღამოზე მოწვევლი იყვნენ ერკლე სარდლიანი, ზოია გაშაკიძე, გულნაზ ხარაიშვილი და იზა ჭიკაიძე.

პოეტმა ერკლე სარდლიანმა, უურნალისტმა და ლიტერატურათ-მცოდნე ქალბატონ თამარ კაპანაძემ ძალიან ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრეს მოწვეულ სტუმრებთან მირზა გელოვანისა და ლადო ასათიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

დონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სხვადასხვა კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, სტუდენტებმა და ბიბლიოთეკის მკიონებებმა. მირზას და ლადოს ლექსები წაიკითხეს: თათია ტოტოჩავამ, გიორგი პაიჭაძემ, სარდიონ ხარჩილაძემ, სალომე გოგიოზიშვილმა, გია ბოლქვაძემ, დავით მანჯგალაძემ, გიგი აბდუშელიშვილმა და სხვ.

მირზა გელოვანისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ზოია გაშაკიძემ და გულნაზ ხარაიშვილმა.

პოეზიის საღამოზე მუსიკალური ნომრები შეასრულეს: №159 საჯარო სკოლასთან არსებულ ანსამბლმა „ლალემ“ (ხელმძღვანელი ლეიილა ჭიროკაძე), №120 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მარიამ ჩილინდრიშვილმა, მარი ბეგურაშვილმა და ლუკა ჩლაიძემ.

ეს იყო კიდევ ერთი ლამაზი, დაუვიწყარი

საღამო როგორც ბიბლიოთეკის თანამშრომლებისათვის, ასევე ჩვენი სტუმრებისთვისაც, რომელსაც არ აკლდა სიობო და სიყვარული.

მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში ხშირად ვაწყობო შეხვედრებს დამწყებ და ახალგაზრდა პოეტებთან, არაერთი ახალგაზრდა და დამწყები პოეტის ახალი წიგნის პრეზენტაცია ჩაგვიტარებითა. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა პოეტი წარმოვაჩინოთ და გავაცნოთ საზოგადოებას.

გამონაკლიისი არც 10 მაისი იყო, როდესაც მოეწყო ახალგაზრდა პოეტის ნიკა ძამიაშვილის წიგნის „როცა მზე ჩავა“ პრეზენტაცია. პოეტმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო თავისი სულიერი სამყარო, წარმოაჩინა საკუთარი მე და ისაუბრა სამომავლო გეგმებზე; დასასრულს კი წაიკითხა ლექსები თავისი ახალი წიგნიდან.

პოეტი ნიკა ძამიაშვილის ახალი წიგნის „როცა მზე ჩავა“ შესახებ

საკუთარი მოსაზრებები გამოოქვეს მისმა მეგობრებმა ლაშა მარგიანმა,

დიმა მასპინძელაშვილმა და დალი ბიბილურმა.

ამავე დღეს მოეწყო პოეტის ახალი წიგნების გამოფენა-გაყიდვა.

მეცნი წარმატები

ბათუმის მთვარი ბიბლიოთეკაში,
მთვარი ბიბლიოთეკაში.

პეტრე გარებულის სიყვარული

ეინდა წარმოვაჩინო ქ. ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბაგშვილისალგაზრდობის განყოფილება. ჩვენი განყოფილება არაორდინალურია. რამ განაპირობა ეს? განყოფილება ფიზიკურად არ მდებარეობს საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში. იგი განთავსებულია ჯავახიშვილის 72-ში, ბიბლიოთეკისათვის სპეციალურად აგებულ შენობაში. ბიბლიოთეკა არის მეტად მყუდრო, თანამედროვედ მოწყობილი და პასუხობს ყველა იმ მოთხოვნას, რაც გააჩნია თანამედროვე მკითხველს. ასევე არაორდინალურია განყოფილების შექმნის ისტორია. იგი შეიქმნა ორი დიდი ბიბლიოთეკის - ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის და აჭარის საბაგშვილისას შექმნით. თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 21 ადამიანს. დაკომპლექტებულია, როგორც გამოცდილი, ასაკოვანი თანამშრომლებით, ასევე ახალგაზრდებითაც. განყოფილებას ხელმძღვანელობს განათლებული, შრომისმოყვარე ინოვატორი ქალბატონი ინგა გოგიძერიძე.

ქალბატონი ინგა არა მხოლოდ კარგი ორგანიზაციონი და ხელმძღვანელია, არამედ წარმატებული მწერალი. თავს არ ზოგავს და პოპულარიზაციას უკეთებს ახალგაზრდა მწერლებსა და პოეტებს, ამიტომაც ჩვენი განყოფილება წარმარტებული ახალგაზრდების მუდამივი მასპინძელია. განყოფილებაში 6 დარბაზი მუშაობს და მისი თანამშრომლები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ თავი დაიმკვიდროს და იყვნენ გამორჩეული არა მხოლოდ ქალაქში, არამედ მოელ ქვეყანაში. თანამედროვე კონკურენციის პირობებში ცოტა ძნელია წინა პლანზე წიგნის წამოწევა, ვგულისხმობ ტელევიზიას, ინტერნეტს, მაგრამ როცა მოელ შენს ენერგიას, შრომისმოყვარეობას, პროფესიონალიზმს მოახმარ შენს საქმიანობას წარმატების მიღწევა შესაძლებელია. ჩვენ წიგნის პრო-

პაგანდაში ყველა ცნობილ საბიბლიოოთეკო ფორმას და მეორდს ვიყენებთ. განყოფილების გამგე კი წარმატებით იყენებს სოციალურ ქსელს, რაც დადებითად აისახება ბიბლიოთეკის მუშაობაზე. როგორც თავში მოგახსენეო განყოფილებაში ექვსი დარბაზი მუშაობს. ესენია:

1. საზღაპრეთი, რომელიც ემსახურება სკოლამდებარებულ და I-III კლასის მოსწავლეებს. საზღაპრეთში კვირაში ერთხელ ტარდება ზღაპრის დღეები, დიალოგები ბავშვებთან, შეხვედრები საბაგშვილ პოეტებთან და მწერლებთან, შემოქმედ დამაიანებთან. შევხდით საბაგშვილ მწერლებს: მარიამ წიკლაურს, მანანა ტონიას, გურამ პეტრიაშვილს... უნდა



ადგნიშნოთ, რომ ბატონი გურამი ჩვენი ხშირი სტუმარია.

2. მოსწავლეთა დარბაზი, რომელი ემსახურება IV-VIII კლასებს მკითხველებს. დარბაზში მუშაობს მკითხველთა კლუბი, სადაც ტარდება საბიბლიოოთეკო გაკვეთილები სხვადასხვა თემებზე, წიგნების პრეზენტაციები, შეხვედრები, ვიქტორინები და კონცერენციები.

3. საერთო დარბაზი, რომელიც ემსახურება IX კლასიდან დაწყებულ ყველა ასაკის მკითხველს. დარბაზში მუდამ ხალხმრავლობაა, აქ თავს იყრიან შემოქმედი ადა-



მიანები, მწერლები, პოეტები. ბევრ ახალბედა პოეტსა და მწერალს, შეიძლება ითქვას, ჩვენი საერთო დარბაზიდან აენთო მწვანე შუქი. განყოფილებაში ჩატარებული ღონისძიებების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ რამდენიმე ინიციატივის შესახებ, რომელიც ქალბატონ ინგა გოგობერიძის აქტივში ირიცხება: ეს არის გასვლითი ღონისძიებები სკოლებში, ბაღებში, რეგიონის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში, განსაკუთრებით მთიან აჭარაში და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროექტით 5000 წიგნი გადაეცა საჩუქრად მთიან აჭარა-

ში მცხოვრებ ბავშვებს, რაც კერძო შემოწირულობებით დაკოპლექტდა.

4. პრესის დარბაზი, რომელიც დაკოპლექტებულია საქართველოში გამომავალი უურნალ-გაზეოებით. იგი მუდამ სავსეა მკითხველებით, მუშაკები ხშირად ატარებენ მიმოხილვებს, კეთდება ანალიტიკური კარტოვეკები.

5. კომპიუტერული ცენტრი, სადაც 13 კომპიუტერია ჩართული ინტერნეტში. ხელმისაწვდომია ნებისმიერი მკითხველისათვის. სარგებლობა რა თქმა უნდა უფასოა. ასევე უფასოდ მუშაობს კომპიუტერის შემსწავლელი წრე. თვეში ერთჯერ კომპიუტერული ცენტრის ოანამშრომლები მკითხველი ბავშვებისათვის აწყობენ კინო ჩვენებებს, სადაც, ძირითადად, პოპულარიზაცია ეწევა ქართულ ფილმებს.

6. დამუშავება - დაკოპლექტების დარბაზი, რომელიც შეიძლება ითქვას ხერხემალია ბიბლიოთეკის, ოაროზე სწორად განლაგებული წიგნი ხელს უწყობს მკითხველის ოპერატორ და ხარისხიან მომსახურებას. ამჟამად სისტემაში მიმდინარეობს ფონდების უნიკალურ ათწილად კლასიფიკაციაზე გადაყვანა, მისი ინვენტარიზაცია და შეფასება. ასევე შესაბამისი კატალოგის შედგენა, რასაც წარმატებით ართმევენ თავს აღნიშნული დარბაზის თანამშრომლები.

... აქ მოტანილი რამდენიმე ეპიზოდი ზღვაში წვეთია იმ კოლოსალურ სამიანობაში, რაც განყოფილებაში მიმდინარეობს და რის გამოც განყოფილება ცნობილი და წარმატებულია; განყოფილების უფროსი ინგა გოგიბერიძე საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, 2016 წელს დამსახურებულად წარადგინა ასტრიდ ლინდგრენის საერთაშორისო პრემიაზე.

ნოდარ დუმბაძის ხსოვნას მიეძღვნა

ც ელავის მთავარ ბიბლიოთეკაში მიმდინერე წლის 14 ივლისს გაიმართა ნოდარ დუმბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიტერატურული სადამო „მზიანი გულის მწერალი“. ნოდარ დუმბაძე იმ ბედნიერ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ერთნაირად უყვარს სრულიად საქართველოს ყველა თაობის მკითხველს. მთავარი ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ისაუბრეს ნოდარ დუმბაძის ცხოვრებასა და შემოქ-

მედებაზე, მისი ნაწარმოებების მიხედვით გადაღებულ ფილმებზე, თეატრალურ წარმოდგენებზე. პატარა მკითხველებმა სალომე ვალაშვილმა და თამარ სვანიძემ წაიკითხეს ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსები, ბიბლიოთეკის ახალგაზრდა აქტივისტებმა ქოთი მთავრაშვილმა, თამარ თათულაშვილმა და ელიზბარ ნერსესოვმა წაიკითხეს ნაწყვეტები მწერლის შემოქმედებიდან.

თელავის მერიის კულტურის, ძეგლთა



დაცვის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსმა ფიქრია უურშიტაშვილმა საინტერესოდ ისაუბრა ნ. დუმბაძის იმ სპექტაკლებზე, რომელიც თელავის თეატრის სცენაზე დაიდგა. ნაჩვენები იქნა მცირე ნაწყვეტი თელავის თეატრის სპექტაკლიდან „თეოთრი ბაირადები“. ლიტერატურული საღამოს სტუმრებს და მასპინძლებს ცრემლი

მოგვარა ნოდარ დუმბაძის სიმღერამ, რომელიც მან გარდაცვალების წინ მეგობრებოან ერთად შეასრულა. მთავარი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შეკრებილი ადამიანები კიდევ ერთხელ ეზიარნენ იმ სიხარულს, რომელსაც ნოდარ დუმბაძის მრავალფეროვან შემოქმედებასთან შეხვედრა იწვევს.

რეცენზიანი

ალექსანდრე ცოჩია

ქართველ ბავშვები მშობლიური ენის დაუფლების მაცნიერული ძიება

ც ანამედროვე პედაგოგიურ სამყაროში როგორც მთელ მსოფლიოში, ისე ჩვენშიც თანხაოთან სულ უფრო ღრმად და საფუძვლიანად იკიდებს ვაჟებს ფსიქოლოგიური კალების შედეგების პრაქტიკულად და ანერგიის ტრადიციები. ერთ-ერთ პრობლემატურ და საყურადღებო სფეროს წარმოადგენს ბავშვების მიერ ენის დაუფლების საკმაოდ ძნელად ასესნილი მოვლენები. ამდენად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მიმართულებით კვლევა-ძიების წარმართვას. ყველა სპეციალისტი, რომელსაც კავშირი აქვს ბავშვთა განვითარების პრაქტიკასთან, უდავოდ დაინტერესებულია იმით, თუ როგორ ხდება ბავშვების მიერ საკმაოდ ადრეულ ასაკში მშობლიური ენის დაუფლება. ამდენად, არ შეიძლება გვერდი აუქციონ შესაბამისმა სპეციალისტებმა თეორიულ-მეთოდიკური საკითხების შესწავლას, რომელსაც მეცნიერები სოავაზობენ. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი გამოცემით გამდიდრდა


პროფესიული ლიტერატურა მიმდინარე წელს გამოქვეყნებული წიგნით : იმედაძე ნათელა. ბავშვის მიერ ქართულის, როგორც მშობლიური ენის, დაუფლების საიდუმლოებები: ფსიქოლინგისტიკური პერსპექტივა . - ობ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017 . - 123 გვ.

ქალბატონი ნათელა იმედაძე, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და წარმატებით მოღვაწობს ილიას უნივერსიტეტში, იგი დარგის საქვეჭნოდ აღიარებული სპეციალისტია, დამსახურებული მოღვაწე, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, თვალსაჩინო მეცნიერი და ექსპერიმენტატორი, დაწყლობოსილი პედაგოგი. ამდენად, მისი ეს ნაშრომი, ცხადია, განსაკუთრებულ უურადღება იქცევს.

სასწავლო წელის დასასრულს ილიას უნივერსიტეტში გაიმართა დასახელებული წიგნის პრეზენტაცია. ესწრებოდნენ როგორც ძველი თაობის წარმომადგენლები, კოლეგები და სტუდენტები, ისე სკოლებისა და ბა-

გა-ბადების მუშაკები, მკითხველი საზოგადოება.

წიგნი სტრუქტურულად მრავლწახნაგოვანია. დაყოფილია ოქმატურ თავებად და პარაგრაფებად. წინ უძღვის ავტორის წინათქმა, რის შემდეგაც ნაშრომი იწყება საკმარიდ ვრცელი შესავლით, რასაც მოსდევს თავები: 1. ბავშვის მეტყველების კვლევის მეთოდოლოგიისათვის; 2. ქართულენოვანი ბავშვის მიერ და-დაენის დაუფლების პირველი ეტაპი (ფსიქოლინგვისტური ანალიზი); 3. ქართულენოვანი ბავშვების წარმატებების თავისებურებანი; 4. ენის გავლენა საგანთა კლასიფიკაციაზე, ანუ ლინგვისტური ფარდობითობის პიპოთეზის ექსპერიმენტული ვერიფიკაცია; ნაშრომი მთავრდება ზოგადი დასკვნით. წიგნში ჩართულია სქემები



და საილუსტრაციო მასალა, ახლავს რეზიუმე ინგლისურ ენაზე და საკმარიდ ვრცელი ბიბლიოგრაფიული ნუსხა.

როგორც ავტორი წინათქმაში აღნიშნავს, „წარმოდგენილი ნაშრომი ეხება იმ სფეროს, რომელშიც გადაიკვეთა ბავშვის ფსოქოლოგიის და ლინგვისტიკის კანონზომიერებები. სწორად ასეთ გადაკვეთაზე წარმოდგენილ პრობლემებს შეისწავლის შედარებით ახალი დარგი - განვითარების ფსიქოლინგვისტიკა“.

ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ ჩვენს ბიბლიოთეკებში მრავლად აღმოჩნდებიან მკითხველები, რომლებიც უდავოდ დაინტერესდებიან შემოთავაზებული გამოცემით.

ბეჭედ თაყნიაშვილი

ლიტერატურულ ლაბირინთებში მოგზაურის ნაფიქრალი

კართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს გიორგილაძეს ბიბლიოთეკარები და მკითხველი საზოგადოება იცნობს როგორც მრავალი საინტერესო პროექტისა და იდეების ავტორსა და ლიტერატორს. მისი ხელმძღვანელობით შედგა ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურული ფორუმი „ებლითებო“, გამოიცა წიგნების სერია „საუბრები ლიტერატურაზე“. განსაკუთრებული ინტერესის საგანთა ბიბლიოთეკარებისათვის არის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიმდინარე პროექტი „საჯარო ბიბლიოთეკა - სკოლას“. სკოლებთან ბიბლიოთეკის ურთიერთობის საკითხებზე გიორგილაძეს ჩატარებული აქვს რამდენიმე საჯარო ლექცია, დაბჭიდილი აქვს წერილები შურნალში „საქართველოს ბიბლიოთეკა“.

2016 და 2017 წლებში მისი ავტორობით გამოიცა ორი მხატვრულ-ლიტერატურული ქანრის კრებული: „სხვის წიგნებში მოგზაურის ფიქრები“ და „გულსაგლეჯიდან პიგ-

ელწყარომდე“. როგორც პირველი წიგნის რედაქტორი მ. ტურავა აღნიშნავს, „სხვის წიგნებში მოგზაურობა“ იმითაც არის საინტერესო, რომ მკითხველი სხვადასხვა მხატვრული ნაწარმოებების პერსონაჟებთან ერთად, ეცნობა ავტორის ბავშვობისა და ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს. გ. კილაძე ქართველ და უცხოელ მწერალთა ნაწარმოებების პერსონაჟებთან პარალელური გავლებით გვესაუბრება საკუთარ ცხოვრებაზე, ოჯახზე, მშობლებზე, რომელთა წიაღშიც იშვა იგი, როგორც მოქალაქე და ლიტერატორი. ავტორი პერსონაჟებს ახასიათებს გულწრფელად, მარტივი სიუჟეტით; თხობა მისი სახალისო და წარმტაცია იმითაც, რომ მასში შენივთებულია გულწრფელი იუმორი. ორივე წიგნში შთამბეჭდავადა გადმოცემული ავტორის ჭაბუკური სილადე, რომლის ძარღვში ასე ძლიერად ფეოქავს დედულეთის ძარღვი.

მეორე წიგნის შესავალ წერილში - „კეთილი ჩინოვნიკის ფიქრები“, იკა ქადაგიძე აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს გ. კილაძის პირველი წიგნის „სხვის წიგნებში მოგზაურის ფიქრების“ შესახებ და აღნიშნავს, რომ




გიო კილაძე ამ წიგნში „პატიოსნად ამზე-ურებს სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებებსა და შეხედულებებს“. წიგნებში მოგზაურთა ფიქტურის შეფერხება არ უყვარს, და როგორც ი. ქადაგიძე შენიშნავს, პირველი წიგნის შთაბეჭდილებები არ იყო დამცხრალი, რომ გ. კილაძემ მეორე წიგნი შესთავაზა მკითხველს.

გ. კილაძის წიგნების შესახებ საინტერესო მოსაზრებები ჩამოაყალიბა მარსიანმა თავის წერილში „შემოგვამწერლდა“. მისი აზრით, გ. კილაძის ორივე წიგნი დოკუმენტური პროზის უანრის განეკუთვნება. ავტორი შთამბეჭდავად, „გადამდები ემოციურობით, შესაშური უშუალობით“ აწვდის მკითხველს საკუთარ შთაბეჭდილებებს წაკითხულის შესახებ;

წინამდებარე წერილში ჩვენ ვერ ჩამოვთვლით იმ ქართველ და უცხოელ ავტორებს, რომელთა წიგნებშიც იმოგზაურა გ. კილაძემ. „იმოგზაურა, იბოდიალა“, თუ „იხეტიალა“ - ეს მისი მიერ გამოყენებული მეტაფორებია, თორებ ჩვენ მის მოგზაურობას წიგნებში ვერ ვუწოდებით „ხეტიალს“, ან „ბოდიალს“ - ვინც გულდასმით გაეცნობა გიოს ორივე წიგნს, დამემოწმება, რომ ეს მოგზაურობა წიგნების წიაღში არის გზა გონიერია და გუმანით გაცისკროვნებული; ვინაიდან მისი მიერ პერსონაჟთა თუ ავტორთა დახასიათება, მათში საკუთარი ცხოვრებისეული ეპიზოდების ასევე

გონივრული შერწყმა, თუ გნებავო ჩართვა, ისეთი მხატვრული და მხიარულ ტონზეა შესრულებული, რომ მკითხველი ადვილად შეიგრძნობს გიოს ლიტერატურულ გემოვნებას, მრწამსს, ანალიზისა და დასკვნების საოცარ უნარს.

გ. კილაძის, როგორც მკითხველის, წაკითხულის ანალიზის უნარის გამომუშავებაში დიდი როლი შეასრულა ოჯახმა, განსაკუთრებით მამამ. საინტერესოა მის მიერ შვილისათვის წიგნის შერჩევის მეთოდი - უსიტყვოდ, ძალდაუტანებლად. მამამ კარგად უწყის, რა წაიკითხა შვილმა და ახლა რას კითხულობს. მამა თვითონ ურჩევს წიგნს, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. თვითონ გიო წერს კიდევ ერთ ადგილას: „რა დაძალება, რის დაძალება“. მამა შერჩეულ წიგნს მაგიდაზე უდებს შვილს; არც ეკითხება წინა წიგნი წაიკითხა თუ არა. წიგნის შერჩევის ეს მეთოდი - უსიტყვო, ძალდაუტანებლად, რეკომენდაციისა და დარწმუნების გარეშე, ნაცადი მეთოდია გამოცდილი ბიბლიოთეკარებისათვის; განსაკუთრებით საბაზშვო ბიბლიოთეკებში. გამოცდილმა და ნაკითხმა ბიბლიოთეკარმა იცის, დღეს რომელი მოგა, რა წაიკითხა, შეიძლება არც გამოკითხოს ბავშვს წაკითხულის შესახებ. იგი წინასწარ შერჩეულ წიგნს ატანს მკითხველს, და ასე პედაგოგიური ტაქტითა



და მეთოდით ზრდის მკითხველს – წიგნიერს, განათლებულს, მიზანდასახულს. წიგნის შერჩევის მამისეული მიღობიდან ჩანს მამის წიგნიერებისა და პედაგოგიური ტაქტის სურაო – უსიტყვო, ძალდაუტანებელი, მაგრამ მიზანმიმართული. წარმოდგენილი მაქს, რომრი ბიბლიოთეკარი იქნებოდა გიოს მამა.

დღეს ბევრი კითხულობს წიგნს- ბეჭდურს, ელექტრონულს, კითხულობს დიდი, პატარა, მოსწავლე, სტუდენტი, მეცნიერ-მუშაკი. ზოგი პროგრამულ კითხვას მისდევს, აუცილებელს, ზოგი კითხულობს უსისტემოდ, „გადახტომებით“. მაგრამ ნაკლებად მეგულება ნაკითხი, ბევრი წიგნის წამკითხველი, რომელსაც ასე გიოსებურად შეეძლოს წაკითხულის სისტე-

მაში მოყვანა, დალაგება, ანალიზი, კრიტიკა და, მით უმეტეს, ცალკეულ ეპიზოდებში საკუთარი ცხოვრებისეული სურათებისა თუ მომენტების მხატვრული მიღობით ჩართვა, შენივება, როგორც ეს გ. კილაძემ შეძლო. წიგნები ახლადგამოსულია დღის სინათლეზე და ნელა იკვლევს გზას წიგნების უკიდევანო სამყაროში. ინფორმაციის საუკუნეში ბეჭდური წიგნის გზა მკითხველთა გულგამდე მეტად ძნელია, ზიგზაგებიანი; ყველაფერი დამოკიდებულია ავტორის ლიტერატურულ სტილზე, ხატვის ოსტატობაზე და კიდევ იმაზე, თუ როგორ იცნობს იგი თანამედროვე მკითხველის ინტერესსა და მიღრევილებებს.

ბეჭდი თაუნიაშვილი


ბიბლიოთეკარის ნაშრომი ბიბლიოთეკარებისთვის

ქართულ ბიბლიოთეკარომცოდნეობით დიტერატურას შეემატა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლის გორგი კილაძის ნაშრომი „ბიბლიოთეკარი ბიბლიოთეკარს“. წიგნი გამოსცა ეროვნულმა ბიბლიოთეკამ. მისი ავტორი, პროფესიით ეკონომისტ-მათემატიკოსი, საინტერესოდ, ლიტერატურული გადახვევების მოშველიებით გვიყვება თანამედროვე ბიბლიოთეკის ურთიერთობის შესახებ მკითხველ-მომხმარებელთან; წერს იმის შესახებ, თუ როგორი წარმატებით აგრძელებს ფუნქციონირებას საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 1999 წელს დაფუძნებული სამოქალაქო განათლების განყოფილება; განყოფილების მიერ შესრულებული პროექტები სასარგებლო აღმოჩნდა არა მარტო სამოქალაქო განათლების საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის. განხორციელებული პროექტებიდან წარმატებული იყო პროექტი „საქართველოს სამოქალაქო სახოგადოების ციფრული ბიბლიოთეკა“, აღნიშნული ბიბლიოთეკის ვირტუალურ თაროზე განთავსდა ყველა ის ლიტ-

ერატურა, რომელიც ამა თუ იმ კუთხით ეხება სამოქალაქო საზოგადოებას.

წიგნში ყურადღებას იპყრობს ავტორის პროფესიული მსჯელობა სისტემის შესახებ. ამ თვალსაზრისით, საინტერესო მისი მოსაზრებები ბიბლიოთეკის, როგორც სისტემის შესახებ, წიგნში შემუშავებული წინადადგებები და რეკომენდაციები ბიბლიოთეკარებს საშუალებას მისცემს, ახლებურად გაიაზრონ ბიბლიოთეკის როლი და ადგილი ინფორმაციის საუკუნეში. ნაშრომში ცალკე თავადაა მოცემული – „მომხმარებელი – ციფრული ლექსიკონები“. ავტორს შემუშავებული აქვს წინადადებები, თუ რა არის საჭირო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლექსიკონთა ერთიანი ბაზის სრულყოფისათვის.

ნაშრომში ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი საჯარო ბიბლიოთეკების სკოლებთან ურთიერთობის საკითხებს. ბიბლიოთეკას და სკოლას ავტორი განიხილავს ერთ მოლიან, განუყოფელ სისტემად - „ბიბლიოთეკა-სკოლა“. ავტორი გამოყოფს საკვანძო საკითხებს, თუ რა საშუალებებითა და ფორმებით შეიძლება



მიეწოდოს სკოლას საჯარო ბიბლიოთეკაში ორგანიზებული ბეჭდური თუ ელექტრონული რესურსები. საჯარო ბიბლიოთეკაში და სკოლების ურთიერთობა ჩვენს საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ფრიად დაბალი დონითა და მაჩვენებლით ხასიათდება. ამდენად, აღნიშნულ წიგნში ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება დორული და მისასალმებელია. კიდევ ერთი პროექტი, რომელზედაც წიგნშია დაპარაგი, არის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტი „სასკოლო ლიტერატურა“; პროექტი დაიწყო წელიწადნახევრის წინ და იგი უკვე ინტერნეტ-სივრცის კუთვნილებად იქცა. პროექტის მიზანს ეროვნული ბიბლიოთეკაშია და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან (პედაგო-

გები, მოსწავლეები) და საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან ურთიერთობის გაძლიერება წარმოადგენს. საჯარო სკოლების მკითხველს საშუალება აქვს გამოიყენოს ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე განთავსებული სტატიები, ვიდეო, აუდიომასალები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროექტის რეალიზაციის შესწავლა და ანალიზი ცხადყოფს, თუ რაოდენ საჭირო საქმეს აკეთებს ბიბლიოთეკა მოსწავლეთა წიგნიერების დონისა და სწავლების ხარისხის ამაღლების საქმეში.

წიგნი არ დაბეჭდილა მასობრივი ტირაჟი, თუმცა იგი ხელმისაწვდომი იქნება მუნიციპალიტეტების მთავარი ბიბლიოთეკებისათვის.

პოლიტიკური ულტრავენტურიズმი

ლიტერატურული მოღვაწეობის დანართი

ჩვენი უურნალის საშუალებით მკითხვებს არაერთგზის პქონიათ შესაძლებლობა, შედარებით დაწვრილებით გასცნობოდნენ სამტრედის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებას შრომით საქმიანობას. ცხადია, მიღწევები ნაყოფია სწორი მენეჯმენტის, ხელმძღვანელებისა და მუნიციპალიტეტის აქტიური დახმარებისა. ყოველივე ამის მიღწევაში უდიდესი წვლი-

ლი შეაქვთ გაერთიანების დირექტორს ქნლამარა დუნდუასა და მის მოადგილეს ქნმზია ჩიხლაძე-რურუას. ადსანიშნავია, რომ წლევანდელი წელი მათოვის საიუბილეოა.

უურნალი, ულტრავენტურიზმის მათი და მკითხველების სთავაზობს მათი მოღვაწეობის ამსახველ მასალას.

უურნალის რედაქცია

დაუტალავი მოღვაწე და ლვანლმოსილი ხელმძღვანელი

სამარა დუნდუა დაიბადა 1937 წელს სამტრედის რაიონის სოფელ ნაფალაურში. 1955 წელს დაიწყო მუშაობა სარაიონო ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარად. შემდეგ მომსახურების განყოფილების გამგედ. დამთავრებული აქვს პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნებისა და ბიბლიოგრაფის ფაკულტეტი. 1972

წლიდან დაინიშნა სარაიონო ბიბლიოთეკას გამგედ. 1976 წლიდან დირექტორად.

ქალბატონ ლამარას ბავშვობიდან წიგნის სიყვარულმა გადააწყვეტინა ბიბლიოთეკარი გამხადარიყო. ინსტიტუტის დამთავრებამდე ბიბლიოთეკაში დაიწყო მოღვაწეობა. მოედი ცხოვრება ბიბლიოთეკაში აქვს გატარებული. ცნობილია, რომ მმიმე მდგომარეობა შეექმნა ბიბლიოთეკებს. უამრავმა პრობლემამ იჩინა

თავი. ეს აწუხებს ხელმძღვანელს და თავგამოდებით იბრძვის თანამშრომლებისა და ბიბლიოთეკის პირობების გასაუმჯობესებლად.

2009 წელს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ აუქციონზე გასაყიდად გაიტანა ქ. სამტრედის ცენტრალური ბიბლიოთეკა. რომ არა ადგილობრივი ხელისუფლების, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობისა და მთელი კოლექტივის ძალისხმევა, ბიბლიოთეკა გაყიდული იქნებოდა. ამ ფაქტმა არა მარტო მკითხველებში, არამედ რიგით სამტრედიელებშიც გამოიწვია აღშფოთება. „აღნიშნული შენობის შესყიდვის მცდელობა პირველად ჯერ კიდევ 1987 წელს დაუკისირდა, რასაც მაშინაც მოჰყვა დიდი გამოხმაურება“ - იგონებს ბიბლიოთეკის დირექტორი ლამარა დუნდუა.

2010 წელს სამტრედის დაარსების 140 წელთან დაკავშირებით ბიბლიოთეკის საუკუნოვანი ისტორიის აღსანიშნავად ბიბლიოთეკის შენობა კაპიტალურად შეკეთდა. განახლებული ბიბლიოთეკა სახეიმ ვთარებაში გახსნა იმერეთის გუბერნატორმა ლაშა მაქაცარიამ. „ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირსეული ობიექტია, რაც კი ბოლო დროს აშენდა სამტრედიაში“ - აღნიშნა მან.

ახლა ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით.

„განახლებულმა ინტერიარმა და ავეჯმა სულ სხვა ელფერი შესძინა ბიბლიოთეკას - განაგრძობს საუბარს დირექტორი, - საშუალება მოგაცა გაგვეშალა და განყოფილებების მიხედვით მოგვეოვნებინა დარბაზის ფონდი, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს, თავად შეარჩიოს მისთვის სასურველი წიგნი. ამ ფაქტმა გაზარდა მკითხველთა რაოდენობა და დარბაზის ფონდის გამოყენების კოეფიციენტის“.

ბიბლიოთეკის დირექტორმა ლამარა დუნდუას წერილობითი დაუინებული თხოვნის შედეგად მოხდა გაუქმებული 8 ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდისა და ინვენტარის დროებით სარგებლობაში საჯარო სკოლებზე გადაცემა. ამჟამად დარჩენილია 13 გაუქმებული ბიბლიოთეკა. მიუხედავად დიდი ძალისხმევისა ბიბლიოთეკების ადგენის საკითხი და გადაცემა მოუგვარებულ პროცესებად რჩევა, რაც ქალბატონ ლამარას დიდი საწუხარია.

კვალიფიკაციის ამაღლების და მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ყოველი თვის ბოლო

თოხშაბათს ტარდება ბიბლიოთეკართა სემინარი.

სამტრედის მთავრი ბიბლიოთეკა ყოველთვის გამოირჩევა აქტიური და შინაარსიანი მუშაობით. ღირსშესანიშნავ თარიღებითან დაკავშირებით ბიბლიოთეკა ბევრ საინტერესო ღრინიშვნების ატარებს. ამ მხრივ თვალსაჩინო იური ბიბლიოთეკაში მოწყობილი შეხვედრა წარჩინებულ მოსწავლეებთან დევიზით „მიეცი ნიჭისა გზა ფართო“, ადგილობრივი გაზეთის „სამტრედის მაცნეს“ 80 წლის იუბილე, ბიბლიოთეკის პროექტ „ლია გაკვითილი ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში „რუსთაველოლოგიური შეხედულებები და პოემის შესწავლის ასპექტები“, ნიკო ნიკოლაძის 172 წლისათვის მიძღვნილი თემატური კონფერენცია „დიდი ნიკო - ჩვენი თანამედროვე“, მოეწყო დიდი ქართველი ენათმეცნიერის აკაკი შანიძისადმი მიძღვნილი კონფერენცია და სხვა. ბიბლიოთეკაში ჩატარებული ყველა ღონიშვნებია გამორჩეულია მრავალფეროვანი შინაარსითა და ფორმით. ადსანიშნავია მოსწავლეას-აღგზარდობის აქტიური ჩართულობა ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში.

წიგნი და ბიბლიოთეკა კვლავ რჩება აღზრდის, განათლებისა და ინფორმირების დაუშრებელ წყაროდ. ბიბლიოთეკა ყოველთვის ერთგულად ემსახურება სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს. ყოველივე ამაში მუდამ თავისი წვლილი შეაქვს ქ-ნ ლამარა დუნდუას, ის მუდამ ზრუნავს ბიბლიოთეკა-ფილიალების მუშაობის გაუმჯობესების, მეორდური დახმარების, შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე. უყვარს მკითხველებთან ურთიერთობა, იგი საქმისათვის თავდადებით, მაღალი პროფესიონალიზმით ხასიათდება. მის ცხოვრებაში თანაბრადაა ერთმანეთში შეთავსებული პირადი და საზოგადო. ქალბატონი ლამარა წლების მანძილზე მუშაობდა კულტურის მუშაკოა პროფესიალის თავმჯდომარედ. იყო გაზეთ „წინსვლის“ (ახლანდებელი „სამტრედის მაცნე“) შტატგარეშე კორესპონდენტი. იგი დაჯილდოვებულია მრავალი სიგელით. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება. მიღებული აქვს მედალი.

ამჟამად ქალბატონი ლამარა დუნდუა ჩვეული ენერგიით მუშაობს სამტრედის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორად.

საბიბლიოთეკო დარგის ენერგიული ორგანიზატორი

გ ზია სერგოს ასულ ჩიხლაძეს დიდი და სახელმწიფო გზა აქვს განვლილი. იგი დაიბადა 1937 წლის 15 მაისს, სამტრედის რაიონის სოფელ ნაფაღაურში. მშობლები გიმნაზია დამთავრებული იყვნენ. ოჯახში წიგნის კითხვას უკეთაზე დიდი უპირატესობა ჰქონდა. ოჯახის ეკონომიკური მდგრადი მომავალის მიუხედავად, მარტოხელა დედამ სამივე შვილს უმაღლესი განათლება მიაღებინა.

მზია რურუა-ჩიხლაძემ საშუალო სკოლა წარჩინებით დამთავრა, შემდგომ ქუთაისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელი. 1960 წელს კი დამთავრა პუშკინის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ბიბლიოთეკათმცოდნეობა-ბიბლიოთგრაფიის ფაკულტეტი. სტუდენტობის პერიოდში იგი გახლდათ აქტიური სტუდენტი, ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტი.

საწარმოო პრაქტიკა სამტრედიის სარაიონო ბიბლიოთეკაში გაიარა. სამეცნიერო კონფერენციაზე სამტრედიის სარაიონო ბიბლიოთეკის ისტორიით წარსდგა.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1960 წლიდან სამტრედიის სარაიონო ბიბლიოთეკაში მუშაობდა მეთოდისტად (ამჟამად სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის მოადგილეა). პარალელურად უთავსებს სამსახიობო მოღვაწეობას, თეატრსა და ბიბლიოთეკას ერთ ოჯახად მიიჩნევს. პირველი როლი, პირველი წარმატება, პირველი სიგელი დაუვიწყარია მისთვის.

1960 წელს დრამატული კოლექტივების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე წარმოდგენილ სპექტაკლში - დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ ირინეს როლის საუკეთესო შესრულებისათვის დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით. მას 60-მდე მთავარი და ეპიზოდური როლი აქვს შესრულებული. ორგზის მინიჭებული აქვს ლაურეატის წოდება. ათეული წლების განმავლობაში იყო მხატვრული ბრიგადის აქტიური წევრი.

მზია ჩიხლაძესთან ერთად სახალხო თეატრში წლების განმავლობაში მოღვაწეობდა მისი ცხოვრების უერთგულესი მეგობარი ნორმან რურუა, რომელთანაც ბევრი სიხარული განუცდია და საინტერესო როლებიც შეუსრულებია.

კულტურის დარგში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის მზია ჩიხლაძეს მიღებული

აქვს მრავალი ჯილდო. მიუხედავად ასაკისა, იგი დღესაც თეატრის სადარაჯოზე დგას და მონაწილეობას დებულობს იმერეთის ფესტივალზე.

მზია ჩიხლაძე საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტია, თბილი და გულსიხმიერი, სამართლიანი; პროფესიულად ასრულებს თავის მოვალეობას. წიგნის, ბიბლიოთეკარის და მკითხველების ურთიერთობით ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. კარგად ორგანიზებულ კოლექტივში უწევს მუშაობა. მათ მიერ ერთობლივად ჩატარებული მრავალი საინტერესო ღონისძიება ვრცლად შექმნება, ადგილობრივ გაზე „მაცნეს“ ფურცლებზე.

ამჟამად სამტრედიის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში 23 მუშაკია. იგი ხელმძღვანელობს სემინარულ მუშაობას, ხელს უწყობს კადრის საქმიანობის ღონისძიებას, აცნობს მათ სიახლეებს. წლების განმავლობაში მისი უშუალო ხელმძღვანელობით სამჯერ ჩატარდა წიგნადი ფონდის რეკლასიფიკაცია კარგად ორგანიზებულ პროფესიონალ კოლექტივთან ერთად. იგი მუშაკების თანაგრძნობითა და სიყვარულით არის მოცული, მისთვის გულდასაწყვეტი და გულსატაქენია საბიბლიოთეკო ქსელის შემცირება. მისი საბიბლიოთეკო მოღვაწეობის პერიოდში 59 ბიბლიოთეკიდან ამჟამად 9 ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს. წიგნადი ფონდების მოსახლეობის ხელიდან გამოცლას და სოფლის კულტურული დაწესებულებების გარეშე დარჩენას განიცდის. მან დიდი შრომა ჩადო გაუქმებული ბიბლიოთეკების საჯარო სკოლებზე გადაცემაში.

ბიბლიოთეკა, რომელსაც საუგუნოვანი ისტორია აქვს, გამოიჩინება სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებებით და პროექტებით; ქნი მზია უშუალოდ მონაწილეობს მათში. აღსანიშნავია ბოლო წლებში ჩატარებული ღონისძიებები: მარიამ მარჯანიშვილის წიგნის „ლეო ჭეიშვილი-არგენტინაში მოღვაწე“ ქართველი მწერალი და მეცნიერი-პრეზენტაცია; რესპუბლიკაში ცნობილი ექიმის გენო გეგეშის წიგნის „ცხოვრება ექიმი კაცისა“ პრეზენტაცია; მკითხველობა კონფერენცია თემაზე „გენდერული თანასოწორობა და ხელშეწყობა“, თემატური კონფერენცია „დიდი ნიკო - ჩვენი თანამედროვე“; მკითხველობა კონფერენცია „ზნეობრივი გმირის უკვდავება“ - ექვთომე თაყაიშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი; ახალგაზრდა

მხატვარ-კარიკატურისტი შოთა პაპაგას პირველი პერსონალური გამოფენა; საქართველოს სახალხო არტისტ ბათუ კრავეიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო და სხვა.

1981 წელს კულტურის სამინისტროს მიერ მინიჭებული აქვს რესპუბლიკის „საპატიო ბიბლიოთეკარის“ წოდება.

2016 წელს მისი და ბორის ფოცხვერიშვილის ავტორობით გამოიცა წიგნი „ოქატრალური სამტრედია“, რომლის პრეზენტაციაც მოეწყო სამტრედის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში. ამჟამად მუშაობს წიგნზე „სამტრედის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ისტორია“.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მზია ჩიხლაძე-რურუა

დღესაც ბიბლიოთეკაში ახალგაზრდა თაობის წიგნიერად აღზრდის სადარაჯოზე დგას, ამიტომაცაა, რომ ქალბატონ მზიას სამტრედიაში თეატრისა და ბიბლიოთეკის „დიასახლისად“ მოიხსენიებენ.

2017 წელს სამტრედის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო აჯილდოვებს სამტრედის მუნიციპალიტეტის დვაწლმოსილ მოქალაქეს მზია ჩიხლაძე-რურუას სიგალით და ფულადი პრემიით.

გარემონტებული, განახლებული წიგნადი ფონდით, ინტერნეტითა და კომპიუტერით აღჭურვილი - აი, ასე გამოიყურება სამტრედის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა, სადაც ქალბატონი მზია მუშაობს. იგი უკეთესობის იმედს იტოვებს და მომავალს ოპტიმისტურად აფასებს.

მენეჯერი ადამიანური თვისებებით

ანანა საგანელიძე – აშგარა ლიდერული თვისებებით, შინაგანი ცეცხლოვანი ბუნებით დაჯილდოებული ადამიანია. მას მამის – ელგუჯა საგანელიძისა და დედის – ციალა ლაშაურისგან მემკვიდრეობით აქვს მიღებული მისი ვაჟკაცური ბუნე-



ბა კულტურული და წიგნიერი აღზრდა. ის უფროსი ქალიშვილია, ხოლო მექი ბადრი და ავთო საგანელიძეები უმცროსები არიან. მათ ოჯახში მამაკაცები ქალბატონებს სჭარბობენ, მაგრამ მანანა აქაც ლიდერობს. როგორც პიროვნების ფორმირებაში ოჯახს მის ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ეჭირა ყოველთვის. მისი არჩევანი გამოსულიყო ბიბლიოთეკარი და წიგნების მეტად როგორ სამყაროში გარკვეულიყო და ამ საქმეში თავისი

მოკრძალებული კვალი დაემჩნია, წარმართველი როლი ითამაშა ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტის წარმატებით დამთავრებამ. სწორედ ასეთ ადამიანებზე იტყვიან, რომ მან თავისი თავი იპოვა და დღემდე ემსახურება იმ საქმეს, რომელიც უყვარს და კარგადაც ფლობს.

ციფრი „7“-ს მანანა საგანელიძის ცხოვრებაში დადგებითი საკრალური მნიშვნელობა აქვს, რადგან დაბადების წელი 7 რიცხვთან არის დაკავშირებული, შესაბამისად იუბილეც 2017 წელს აქვს, 1977 წლიდან დღემდე ორმოცი წელია, რაც იგი უცვლელად მუშაობს თბილისის საბიბლიოოთეკო სისტემაში. მუშაობის პერიოდში გამოვლილი აქვს ბიბლიოთეკარის, უფროსი ბიბლიოთეკარის, ბიბლიოთეკა-ფილიალების მთავარი სპეციალისტის და ცილიალის გამგის თანამდებობები.

მისი პროფესიონალიზმი, ლიდერული თვისებები, გულისხმიერება, თავდადება, სიკეთე, მკითხველებთან, თანამშრომლებთან, ფართო სამეცნიერო წრესთან ურთიერთობაში მუდავნდება.

ვუსურვებო, რომ 2017 წელი, რომელიც მისი საიუბილეო თარიღია, მისთვის ფეხედნიერი და ახალი წარმატებების მომტანი ყოფილიყოს. როგორც პირად ცხოვრებაში ისე სახოგადოებრივ ასპარეზზე.

არ შეიძლება არ შევეხოთ მის სამსახურ-

ბრივ მოღვაწეობას, როგორც პრაქტიკულ ისე თეორიულ საქმიანობაში, რომელიც მისი უძლიერესი მხარეა და მხოლოდ უმაღლეს შეფასებას იმსახურებს თანამშრომლებისა-

პედაგოგებს, არამედ საბიბლიოთეკო დარგის დვაწლმოსილ მუშაკებსა და იმ მისაბად მკითხველებს, რომლებიც წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის საქმიანობაში. ქ-ნ მანანას ინიციატივით ხშირად ეწყობა შეხვედრები საბიბლიოთეკო დარგის კორიფეულ მოწვევაში, პროფესორებთან, პრატიკულ მოწვევაში, ამ შეხვედრებს არა მარტო ჩვენი ბიბლიოთეკის მუშაკები, არამედ საქალაქო სისტემის თანამშრომლებიც ესწრებიან.

მანანა საგანელიძე არის რეცენზებით ციალა კალმახელიძისა და მზია ტოგონიძის ბიბლიოგრაფიებისა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვავს მის პროფესიონალურ მრავალფეროვნებას.

მანანა საგანელიძის მოღვაწეობა თბილისის საბიბლიოთეკო სისტემაში ღირსეულადაა დაფასებული, რაც გამოხატულებას ჰპოვებს მის კარიერულ წინსვლაში; 2013 წელს მიღებული აქვს საპატიო სიგელი, №42 ბიბლიოთეკას მიღწეული წარმატებისათვის გადაეცა ქალაქ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკარის დიპლომი, რაც მისი დირექტორის დამსახურებაცაა.

დღესაც მანანა საგანელიძე საქმიან და ტრადიციულ თანამშრომლობას ეწევა ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ღირსეულობისასთან და, იმედია, მომავალშიც ეს ურთიერთწლების თავდადებულ შრომას მოხდება.

გან, რომელთაც მის გვერდით უმუშავიათ იმ 40 წლის მანძილზე. იგი კარგად უთავსებდა ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლას და პრაქტიკულ მოღვაწეობას. ეს მეტყველებს მის სიყვარულსა და ერთგულებაზე არჩეული პროფესიისადმი, რომელსაც აუცილებლად მიყვავარო იმ ერთადერთ ჭეშმარიტ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ შენი არჩეული გზის ერთგული მსახური და პროფესიონალი ხარ, რომელიც ათველი წლების თავდადებულ შრომას მოხდება. როდესაც პრაქტიკულ საქმიანობას შესაბამისი სპეციალური თეორიული ცოდნა აღრმავებს, ეს უკვე სრულყოფილი სპეციალისტის გამოვლენაა, რაც წიგნის უკიდეგანო სამყაროში შეუფერხებელი ომედების საწინდარია.

მანანა საგანელიძე არა მარტო პრაქტიკოსი ბიბლიოთეკარი და ხელმძღვანელია, არამედ თეორიული მოღვაწეც, რაც გამოხატულია იმ სტატიებასა და რეცენზიებში, რომელიც საბიბლიოთეკო დარგის განვითარებას უწყობს ხელს. ამაში მას ეხმარება ტრენინგები და პრალიურიკაციის ასამაღლებელი კურსები, კომპიუტერული უნარ-ჩვევები, რომელიც მას გამომუშავებული აქვს სისტემაში მუშაობის დროს. სრულყოფილად ფლობს რუსული და ინგლისური ენებს.

მანანას გამოქვენებული აქვს სტატიები ურნალში “საქართველოს ბიბლიოთეკა”, ეძღვნება არა მარტო მისოვის საყვარელ

კოორდინაცია წარმატებით გაგრძელდება.

ქ-ნ მანანა საგანელიძეს მის საიუბილეულ წელს ვუსურვებოთ არ დაეკარგოს ის ენოუზიაზმი და შემართება, რაც მას ახასიათებს თავისი ნაყოფიერი და სასარგებლო მოღვაწეობის პერიოდში.



პროცესი

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრება: მოვლენები, ფაქტები

- » **10 ივნისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბიბ-
- „ბედი ქართლისას“ ავტოგრაფი, რომელიც თავის დროზე ექვთიმე თაყაიშვილმა შეიძინა პეტერბურგში;
- » **26 ივნისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საქართვე-



ლიოთეკის ფონდში დაცული ბარათაშვილის ნაწარმოებების პირველი ბეჭდური გამოცემები, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უნიკალური ხელნაწერები. მათ შორის 1839 წელს შესრულებული

ლოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმდა მემორანდუმი. დოკუმენტის თანახმად სამხედრო ბაზებზე გაიხსნება წიგნის პუტხეები. პირველ საარტილერიო ბრიგადას გადაეცა 500 ეგზ. წიგნი.





მემორანდუმის მიხედვით ეროვნული ბიბლიოთეკა მიიღებს მონაწილეობას თავდაცვის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკართა გადამზადებაში;

- » **3 ივლისს** ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა „ეკვილიბრიუმის“ ფარგლებში ბათუმის უნივერსიტეტის ეზოში წიგნის ბუდე განთავსდა, საიდანაც ნებისმიერ მკითხველს შეუძლია წიგნის აღება, წაკითხვა და უკან დაბრუნება. მსგავსი წიგნის ბუდეები ეროვნულმა ბიბლიოთეკამ არა ერთ რეგიონში განათავსა;
- » **6 ივლისს** ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობა „ეკვილიბრიუმის“ ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ




იდორის საჯარო სკოლას წიგნები გადაეცა. სკოლის ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდი შეივსო საჭირო გამოცემებით;

- » **12 ივლისს** ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც დაესწენენ: გენერალური დირექტორი გიორგი პაპალიძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი გარიელ ხეჩიგაშვილი, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორი ირაკლი ქორქოლიანი და კომპანია „ფრეგოს“ დირექტორი რუსუდან რამაზაშვილი. შოთანებრძენ, რომ დაიწყება ახალი სოციალური მომრაობა „შემოსე თანამოქალაქე“, ბაგშვებისათვის

შეგროვდა ტანსაცმელი და საომაშოები, რომლებიც დაურიგდებათ რეგიონებში მცხოვრებ სოციალურად დაუკველ ბაგშვებს;

- » **17 ივლისს** ქალბატონმა მზია გომელაური-მარგველაშვილმა (გიორგი მარგველაშვილის დედა) ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა თავისი ნაოქსავების მიხეილ და გიორგი გიუმრელების არქივი და 1000-ზე მეტი წიგნი;
- » **19 ივლისს** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კაკელიძე შეხვდა ირანის ისლამური რესპუბლიკის საელ-



ჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელს მოჯთაბა ქამრანფარდს. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცემა ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი ხოშტარიას ირანში მოღვაწეობის ამსახველი უნიკალური დოკუმენტების ციფრული ვერსია;

- » **1 აგვისტოს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ეწვია აშშ-ს მეორე ლედი კარენ პენსი. სტუმარს საჩუქრად გადაეცა „ვეფხისტეაოსნის“ ინგლისური თარგმანი;



- » **16 აგვისტოს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადაეცა იაკობ გოგებაშვილის სამელნე, ნივთი გადასცა იაკობ გოგებაშვილის ძმის შთამომავალმა ნუნუ მკურნალმა;
- » **9 სექტემბერს** საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა იმგლისური ენის ფილოლოგისა და მთარგმნელის პორფირე იაშვილის პირადი ბიბლიოთეკა;
- » **11 სექტემბერს** გამომცემლობა „ინტელექტისა“ და გამომცემლობა „არტანუჯის“ მოწვევით საქართველოს პარლამენტის



ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა შეხვედრა ნობელის პრემიის ლაურეატ მწერალთან და უერნალისტთან სვეტლანა ალექსივიჩთან. მწერლის წიგნების უმეტესობა ქართულ ენაზეა თარგმნილი;

- » **3 ოქტომბერს** საქართველოს პარლამენ-



ტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა ცნობილი მეცნიერის ერასტი ვაჩნაძის უნიკალური არქივი;

- » **4 ოქტომბერს** საქართველოში აშშ-ის საელჩომ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა პროექტ „მეგილიბრიუმის“ ფარგლებში 56 ყუთი ახალი წიგნები, სხვადასხვა გამოცემები და ენის შემსწავლელი მაგიდის თამაშები, სულ 87 000 აშშ დოლარის ღირებულებისა;
- » **6-8 ოქტომბერს** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „შემოღვამა რაჭაში“ - მწიგნობარი-2017“. კონკურსი ჩატარდა ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით. კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები და საჩუქრები.

